# საერთო გაზეთი

№29 (621)
ოთხშაბათი
11 აგვისტო,
2021წ.
ფასი 1.50 ლ.


გთავაზობთ ინტერვიუებს ცნობილ ქართველ მწერლებთან, რომლებიც დეტალურად იხსენებენ, როგორ დაარბია სააკაშვილის სპეცრაზმმა მწერალთა სახლი



„დილის 4 საათზე მაჩაბლის ქუჩის მაცხოვრებლებმა დაგვირეკეს და მივედით იქ კავშირის თანამშრომლები. ვხედავთ: გადაკეტილია მაჩაბლის ქუჩა. ახლომახლო მცხოვრებლები ფანჯრის ფარდების უკან დგანან და მალულად იყურებიან“.

„იმღამინდელ სპეცოპერაციაში, დაახლოებით, 500 ადამიანი მონაწილეობდა.

მწერალთა შენობაში ყველაფერი დალეწეს, დაამსხვრიეს, გადაყარეს.

შეამტვრიეს ჩემი ოთახის კარიც. ყველაფერი, რაც იქ იყო, ნამსხვრევებად აქციეს და სკამები, მაგიდები, სხვა რამ ავეჯი, რაც იყო, მეორე სართულიდან გადაყარეს ქუჩაში. დატვირთეს ამ ნამსხვრევებით მანქანები და წაიღეს ვანის ქუჩაზე“.

## რა მოხდა მაჩაბლის 13-ში, 2007 წლის 21 აგვისტოს, დილის 4 საათზე?



ირმა ზავრადაშვილი

## მე გეტყვით რაც მოხდა – თავისუფლებასა და თავგასულობას შორის ზღვარი წაიშალა

რამაზ საყვარელიძე

## ქართულმა ოცნებამ ღირსეული ნაბიჯი გადადგა, მაგრამ ახლა მთავარია ამ ღირსეულმა ნაბიჯმა ღირსეულ გამარჯვებამდე მიგვიყვანოს



## ოღრაშები

ივერია ბოლშევიკური სარკოფაგებიდან ამოყრილი პარტიული ნომენკლატურის შვილებმა და შვილიშვილებმა უნდა გააბრწყინონ?

## ნაცკოვიდი და პრეპარატი „კოაბიტაციუსი“

## ინგა, ნიკა, შავნოდარა, ვატო და ყვავის ქონი









## თანამედროვე პროლეტკულტელები და „წმინდანთა“ დისციპლინა...

## თავად სრულყოფილება – ესპანეთის მეფე ფელიპე VI



## „საერთო გაზეთი“ – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის

## რედაქტორის სვეტი



ვახტანგ ხარჩილავა:

პარასკევს დილით რომ დაიწყო, გვიან ღამემდე, სამი ე.წ. ოპოზიციური არხი ერთდროულად უტევდა „საერთო გაზეთს“. ამას დამატებული სოციალურ ქსელებში ატეხილი აჟიოტაჟი „ნაცმოძრაობის“ მიერ დაქირავებული ტროლებისა თუ ბოტების მონაწილეობით. ლანძღვა-გინების კორიანტელი, ცილისმწამებლური, შეურაცხმყოფელი განცხადებების ნიაღვარი, ჟურნალისტების განუწყვეტელი ზარები — ეს იყო ორგანიზებული ფსიქოლოგიური შტურმი, ფსიქოლოგიური ტერორი და ბულინგი რედაქციის წინააღმდეგ.

არადა, რომ ჰკითხო, სიტყვის თავისუფლებისთვის, გამოხატვის თავისუფლებისთვის, დემოკრატიისთვის იბრძვიან, თუმცა, სინამდვილეში, მზად არიან, ჩაგქოლონ, ცოცხლად დაგმარხონ, გაგანადგურონ, თუ რაიმეს ისეთს იტყვი, რაც მათ გაუკუღმართებულ გონებას არ მოეწონება.

37-იანი წლები დაბრუნდაო, მწერლობისა და კულტურის წინააღმდეგ რეპრესიები იწყება და ამ რეპრესიებს კულტურის მინისტრი თეა წულუკიანი ხელმძღვანელობსო, სწორედ მან შეუკვეთა მწერალთა ეროვნულ აკადემიას ის წერილი, რომელიც „საერთო გაზეთში“ დაიბეჭდაო, ამ გაზეთის რედაქტორი ვახტანგ ხარჩილავა კგბ-ის აგენტიაო, „საერთო გაზეთს“ პუტინი აფინანსებსო, შეთავსებით ღარიბაშვილი და თამაზაშვილი უგზავნიან კონვერტებით ათიათაასებსო — რას არ მიედ-მოედებიან, რას არ ბოდავენ, ეს საბრალოები?!.

37-იანი წლების დაბრუნებაზე და რეპრესიებზე ლაპარაკობს ის პოლიტიკური ძალა, რომელმაც ნამდვილი რეპრესიები მოუწყო ქართულ მწერლობას, ხელოვნების მუშაკებს, მეცნიერებს, პროფესორ-მასწავლებლებს, ჟურნალისტებს — თავის დროზე მწერლობისთვის ნაჩუქარი მისი კუთვნილი შენობიდან ძალის გამოყენებით გამოაგდო მწერლები, გამომცემლობა „სამშობლოიდან“, ასევე, ძალის გამოყენებით გამოყარა რედაქციები, უნივერსიტეტიდან, ასევე ძალის გამოყენებით, გამოყარა პროფესორ-მასწავლებლები, დახურა სამეცნიერო დაწესებულებები, დანგრევის პირას მიიყვანა მეცნიერებათა აკადემია და ა. შ. და ა. შ.

აი, ამის გამკეთებელი ადამიანები და მათი მხარდამჭერები ლაპარაკობენ დღეს რეპრესიებზე და სიძულვილის ენაზე, ხოლო ის მწერლები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზებით, მწერალთა ეროვნული აკადემიის ამ წერილს გაემიჯნენ, ნებსით და უნებლიეთ, მოძალადეების, მწერლობისა და კულტურის ამაოხრებელ-გამპარტახებლების მხარეს აღმოჩნდნენ.

— არ წაგვიკითხავს ეს წერილი და ისე აღმოჩნდა ჩვენი გვარ-სახელი ხელისმომწერებშიო, რომ ვიშვიშებთ, როცა წაიკითხეთ, რა იყო იქ ისეთი, რასაც არ ეთანხმდებოდით, რაც სიმართლე არ იყო, რაზეც უამრავჯერ არ გისაუბრიათ პირად საუბრებში და თქვენი აღშფოთება არ გამოგითქვამთ?

წაიკითხეთ და გვარამიებთან და გრიგოლიებთან რომ გაიქეცით „საჩივლელად“, არ გრცხვენიათ?

იმათაც სამსახური დაგიფასეს და მყისვე ნიჭიერის სტატუსი მოგანიჭეს — ამ წერილს იმიტომ გაემიჯნენ, რომ ნიჭიერები არიანო.

ჰოდა, იარეთ ახლა მათ მიერ ნაბოძები ნიჭიერის „დიპლომით“ და თავი მოიწონეთ თქვენი მკითხველის წინაშე, რომელიც, დარწმუნებული ვარ, არასოდეს არ გაპატიებთ იმას, რაც ჩაიდინეთ.

# საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის განცხადება

თავიდანვე გვინდა, კატეგორიულად განვაცხადოთ: სრული სიცრუეა, თითქოს „საერთო გაზეთში“ გამოქვეყნებული მწერალთა აკადემიის წევრთა წერილი საქართველოს კულტურის მინისტრის, ქალბატონი თეა წულუკიანის შეკვეთით იყოს დაწერილი.

ვინც ოდნავ მაინც იცნობს საკითხის ისტორიას, დაგვეთანხმება, რომ ჩვენ ქალბატონი წულუკიანის კულტურის მინისტრად დანიშვნამდე დიდი ხნით ადრე სისტემატურად ვწერდით და ვაპროტესტებდით იმ დანაშაულს, რაც „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს იქნა ჩადენილი, როცა მწერლები ძალის გამოყენებით, ბარბაროსული მეთოდებით გამოყარეს მათი კუთვნილი შენობიდან.

წლები გავიდა მას შემდე, მაგრამ მწერლებმა, მიუხედავად ხანგრძლივი ბრძოლისა და წლების განმავლობაში გაწელილი სასამართლო პროცესებისა, მაინც ვერ მიაღწიეს სამართალს.

სამწუხაროდ, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგაც, მიუხედავად არაერთი დაპირებისა, ვერ მოხერხდა ამ პრობლემის მოგვარება.

ვინც ყურადღებით წაიკითხავს ჩვენს წერილს, მიხვდება, რომ ჩვენ ქალბატონ წულუკიანს კი არ ვუჭერთ მხარს, პირიქით, მისგან ვითხოვთ მხარდაჭერას, რომ სამართლიანობა აღდგეს და მწერალთა შენობა მის კანონიერ პატრონს — ქართულ მწერლობას დაუბრუნდეს.

არ გვინდა, ვინმეს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნას, თითქოს მწერალთა ეროვნული აკადემია თავისთვის ითხოვდეს რამეს.

მწერალთა აკადემია ნაწილია იმ დიდი ოჯახისა, რომელსაც ქართული მწერლობა ჰქვია და რომელშიც შედის მწერალთა არაერთი გაერთიანება, მათ შორის ისეთი მსხვილი ორგანიზაცია, როგორიცაა საქართველოს მწერალთა ეროვნული კავშირი, რომელიც რვაასამდე მწერალს აერთიანებს.

ყველა ეს ორგანიზაცია დღეს უსახსროდ, უპატრონოდ, უსახლკაროდ არის დარჩენილი და ნორმალური მუშაობის არანაირი პირობები არ გააჩნია, სამაგიეროდ, „წარმატებით“ ფუნქციონირებს „მწერალთა სახლი“, რომლის ხელმძღვანელობასაც საერთოდ არ აქვს წარმოდგენა, რა ფუნქცია აქვს, რას უნდა ემსახურებოდეს, რას უნდა აკეთებდეს და ჰგონია, რომ მისი მთავარი მოვალეობა წიგნების განხილვა და საღამოების გამართვაა.

მხოლოდ ეს თუ არის „მწერალთა სახლის“ ხელმძღვანელობის მოვალეობა, ამის გაკეთება ორ-სამ კაცს შეუძლია და ამისთვის სულაც არ არის საჭირო ადმინისტრაციული სტრუქტურის არსებობა, რომელიც საკმაოდ სერიოზული თანხებით ფინანსდება სახელმწიფოსაგან.

„მწერალთა სახლის“ ხელმძღვანელს, ქალბატონ ნატა ლომოურს, წარმოდგენა რომ არ აქვს, რას უნდა აკეთებდეს, ეს იმ ინტერვიუებშიც გამოჩნდა, რომელიც მან ე.წ. ოპოზიციურ ტელევიზიებს მისცა.

სამაგიეროდ, როგორც ირკვევა, ქალბატონი ლომოური შესანიშნავად ერკვევა ბიზნესში, კერძოდ, სარესტორნო საქმეში.

მან მწერალთა კავშირის ისტორიული ბაღი, ფაქტობრივად, კულტურის ძეგლი, სარესტორნო სივრცედ, ხოლო მწერალთა სახლის ზედა სართული საოჯახო სასტუმროდ გადააკეთა.

ასე აქცია ლომოურის ქალმა მწერლებისთვის წართმეული შენობა შემოსავლისა და გამდიდრების წყაროდ (ეს ხდება იმ ქვეყანაში, სადაც მწერლების უმრავლესობას ლუკმა-პურისა და წამლების შესაძენი ფული არ აქვთ).

სხვა რომ არაფერი დაეშავებინა ნატა ლომოურს და მის ჯგუფს, მხოლოდ ამისთვის უნდა იქნას იგი თავის ჯგუფთან ერთად სასწრაფოდ გაყვანილი „მწერალთა სახლიდან“.

ყოველივე ამის შემდეგ ვის მოუტრიალდება ენა თქვას, რომ მწერალთა აკადემიის წერილში რამე მოგონილი და არასწორია?

ზედმეტად აჟიტირებული და ხელოვნურად დრამატიზებული გვგონია ის ამბავი, რომ მწერალთა ერთი ჯგუფი გაემიჯნა ამ წერილს იმ მოტივით, რომ ისინი არ იცნობდნენ ამ ტექსტს და მათი გვარები მათ უკითხავად მოხვდა ხელმომწერთა სიაში.

ჩვენ ამ ადამიანთა უმრავლესობას გავაცანით ტექსტის შინაარსი, თუმცა ზოგიერთთან დაკავშირება ვერ შევძელით, მაგრამ ვიცოდით რა მათი მტკიცედ უარყოფითი პოზიცია მწერალთა სახლთან დაკავშირებით, როგორც მწერალთა აკადემიის წევრები, მაინც შევიყვანეთ ხელმომწერთა სიაში.

ეს ადამიანები დღემდე გვიკავშირდებიან და ხაზგასმით ამბობენ, რომ მთლიანად ეთანხმებიან წერილის შინაარსს, თუმცა ზოგიერთი მკვეთრი გამონათქვამი მათთვის მიუღებელია.

შეიძლება წერილში მართლაც გაიპარა რამდენიმე უხერხული ფრაზა, თუმცა იმ ადამიანებისგან, რომლებიც პირდაპირ ღია ეთერში დედას იგინებიან და ბილწსიტყვაობენ, კრიტიკას ვერ მივიღებთ, ისე, როგორც



ვერ მივიღებთ მორალური ხასიათის შეგონებებს 37-იან წლებზე და რეპრესიებზე მათგან, ვინც აქტიურად უჭერდა მხარს იმ პოლიტიკურ ძალას, რომელმაც 2004–2011 წლებში სასტიკი რეპრესიები მოუწყო მწერლობას.

დაბოლოს, საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია ინიციატივით გამოდის, მოწვეული იქნას სხვადასხვა სამწერლობო გაერთიანებათა წარმომადგენლების საერთო თავყრილობა და ერთობლივად ვიმსჯელოთ იმ უმწვავეს პრობლემებზე, რაც ქართული მწერლობის წინაშე დგას.

ერთ-ერთი მთავარი საკითხი ამ შეკრებაზე, ცხადია, მწერლობისთვის მისი კუთვნილი შენობის დაბრუნება იქნება.

საქართველო ის ქვეყანაა, სადაც არ არსებობს მწერლობის განვითარების კონცეფცია.

ჩვენ შევეცდებით, ამ შეკრებაზე წარმოვადგინოთ ამ კონცეფციის ჩვენეული ვარიანტი და საერთო განხილვის და აზრთა შეჯერების შემდეგ შევქმნათ ის დოკუმენტი, რომელიც ამ ძნელბედობის ჟამს ხელს შეუწყობს მწერლების და მწერლობის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების წინ წამოწევას.

**საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია**

**P.S.** ვასრულებთ ბატონ ლევან ბრეგაძის თხოვნას და ვაცხადებთ, რომ ბატონ ლევანს მწერალთა აკადემიის წერილზე ხელი არ მოუწერია.

# რა მოხდა მაჩაბლის 13-ში, 2007 წლის 21 აგვისტოს, დილის 4 საათზე?

## გთავაზობთ ინტერვიუებს ცნობილ ქართველ მწერლებთან, რომლებიც დეტალურად იხენებენ, როგორ დაარბია სააკაშვილის სპეცრაზმმა მწერალთა სახლი



**„საერთო გაზეთის“ სტუმარია რეზო მიშველაძე, მწერალი, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე.**

**— ბატონო რეზო, როგორ მოხდა მწერლების მწერალთა კავშირის შენობიდან გამოყრა. გაიხსენეთ ის ისტორია...**

— მაჩაბლის ქუჩაზე მდებარე მწერალთა სასახლე 1921 წლის 28 თებერვალს მიეკუთვნა საქართველოს მწერალთა კავშირს. მაშინ მწერალთა კავშირი 4 წლის დაარსებული იყო. ის დაარსდა 1917 წელს.

აი, მე ხელთ მაქვს საქართველოს მაშინდელი რევოლუციური კომიტეტის განკარგულება, რომელიც დათარიღებულია 1921 წლის 28 თებერვლით.

რევკომის დადგენილებით, ე.წ. ხოშტარიას სახლი (მოგეხსენებათ, ეს სახლი სარაჯიშვილის ოჯახმა გაყიდა და ხოშტარიამ იყიდა), რომელიც იმყოფება სერგეევის (ახლანდელი მაჩაბლის) ქუჩაზე, გადაცემულია საქართველოს მწერალთა კავშირისთვის.

ეს ბინა გათავისუფლებულია რეკვიზიის, ჩასახლებისა და შეზღუდვისაგან.

რევკომის თავმჯდომარე შალვა ელიავა.

მდივანი — მიქაძე.

ქვევით მიწერილია: ვადასტურებ არქივის ამ დოკუმენტის სისწორეს დედანთან.

არქივის დირექტორი: ს. ჯაფარიძე“.

მთელი 120 წლის განმავლობაში არავის მოსვლია აზრად, საქართველოს მწერალთა კავშირისთვის ეს შენობა წაერთმია.

მოგეხსენებათ, საქართველოს ახსოვს ავბედითი დღეები — ომები, რევოლუციები, 37 წელი, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, თავს დაატყდა ქართულ მხატვრულ ინტელიგენციას, მაგრამ თვით ლავრენტი ბერიასაც კი არ მოუფიქრებია, შენობიდან გამოეყარა მწერალთა კავშირის წევრები.

2007 წლის 21 აგვისტოს, ღამის 4 საათზე, ეს ჩაიდინა საქართველოს მწერალთმოძულე და ქართული ეროვნული ფენომენის დაუძინებელმა მტერმა მიხეილ სააკაშვილმა. როგორც ყაჩაღთა ბანდას, ისე შემოუსია შენობას ზონდერბრიგადები.

ღამის 4 საათზე მაჩაბლის ქუჩის მაცხოვრებლებმა დაგვირეკეს და მივედით იქ კავშირის თანამშრომლები.

ვხედავთ: გადაკეტილია მაჩაბლის ქუჩა. ახლომახლო მცხოვრებლები ფანჯრის ფარდების უკან დგანან და მალულად იყურებიან. რომ გითხრათ, იმწამსვე მოზვავდა ხალხი ქართული მწერლობის ბუდის დასაცავად, მთელი ქუჩა გარეთ გამოეფინა — რატომ არ ბევთ მწერალთა სახლსო, ტყუილი იქნება. არავინ არ გაჭაჭანებულა, ისეთი ტერორი იყო...

ზუსტად იგივე განმეორდა, რაც იუნკრებს გადახდათ, რუსის მე-11 არმია რომ შემოვიდა და რომ ამოხოცეს ახალგაზრდა მებრძოლები.

იმ დღეს ტაბახმელადან სასწრაფოდ გამოქცეულა კაპიტანი ჯაფარიძე — არიქა, ბავშვებს გვიხოცავენ, საჭმელი და იარაღი გამოგვიგზავნეთო. თითქმის უიარაღოდ იბრძოდნენ თურმე ახალგაზრდები, და დასძენდნენ: იქნება, თბილისში მოგროვდნენ მოხალისეები და წამოგვეხმარონო. მთელ თბილისში განცხადებები გამოუკრავთ — იუნკრებს ვუშველოთო. მეორე დილით, 12 საათზე სერგეევის ქუჩაზე მოგროვებულა მხოლოდ 12 კაცი. მათგან მხოლოდ ორს ჰქონია სანადირო თოფი, ერთს ჰყოლია მხოლოდ ცხენი და სანამ ეს 12 კაცი ტაბახმელას აღმართს ფეხით აჰყოლიან, იუნკრები დაუხოცავთ.

ახლაც ასე ვართ. საჭიროების დროს ერთმანეთის გაწირვა გვახასიათებს, თორემ თუნდაც იმ აგვისტოს რომ გამოსულიყო ხალხი, დაგვდგომოდა გვერდით, სააკაშვილი ამ საშინელებას ვერ ჩაიდენდა.

შფოთვის გარეშე ვერ ვიხსენებ: ღამის 5-ის ნახევარია, ვდავართ მწერალთა შენობასთან და ჩვენს თვალწინ ყრია მთელი ასი წლის განმავლობაში შენახული უძვირფასესი მემორიალური ნივთები და თანდათან ფანჯრებიდან მოცვივა გალაკტიონ ტაბიძის მხრებით მოტანილი კარადა, კონსტანტინე გამსახურდიას სავარძელი, სხვა უნიკალური ნივთები.

მივვარდით სპეცრაზმს — რას აკეთებთ, ბიჭებო, ქართველები ხართ? უცხოელები ხომ არ ხართ-თქო?

— ჩვენო, ბატონოო, გვითხრეს, რომ მწერალთა სასახლეში შეიჭრნენ ლტოლვილებიო და გამოყარეთ ისინიო, მაგრამ რომ წავიკითხეთ ოთახებზე წარწერები: მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, მწერალთა კავშირის მდივანი და ა. შ. მივხვდით, რაც გაგვაკეთებინეს, მაგრამ, რა ვქნათ, ჩვენ პატარა ხალხი ვართო.

ერთი მათგანი, რომელსაც თურმე ჩემი ნაწარმოები ჰქონია წაკითხული, მახსოვს, მთხოვა: თუ შეიძლება თქვენთან ფოტოს გადავიღებო...

2007 წლიდან გავიდა 14 წელი და ჩვენ ვიბრძვით შეუჩერებლივ. ხან სასამართლოებში დავდივართ, ხან — პროკურატურაში, იცვლებიან კულტურის მინისტრები, ეკონომიკის მინისტრები. ჩვენ ისევ ისე ვართ.

ქართველმა ხალხმა ისტორიის სანაგვეზე მოისროლა სააკაშვილი, რომელიც კიევიდან, უკაცრავად და, ყეფს და იღრინება, — მაგრამ...



**— მაგრამ უხეში სიტყვები ამოვიღოთ ლექსიკონიდანო, თქვენმა კოლეგა მწერლებმა — როგორც იცით, გაემიჯნენ „საერთო გაზეთში“ გამოქვეყნებული მიმართვის „უხეშ“ ენას.**

— კაცო, მე ჩემი დამოკიდებულება მაქვს და მომეცით ნება და საშუალება, რომ ვილაპარაკო!

ყველა ხელისუფლებამ აგვავსო ტყუილებით და ბოლოს იქამდე მივედით, რომ მწერალთა სასახლეში, რომელიც 37 ოთახისგან შედგება, ერთი ოთახი არ მოგვცეს.

**— ახლა მწერალთა სახლის დირექტორი ნატაშა ლომოურია.**

— ნატაშა ლომოური მიხეილ სააკაშვილის მიერ არის დანიშნული მწერლის სახლის დირექტორად.

ნატაშა ლომოურთან პირადად უარყოფითი დამოკიდებულება არ მაქვს, მაგრამ ლიტერატურასთან და მწერლობასთან მას არავითარი კავშირი არ გააჩნია.

ქალბატონ თეა წულუკიანს უფრო მეტი აკავშირებს ლიტერატურასთან — მისი ბაბუა გახლდათ ალიო შანიძე, პოეტი, მწერალთა კავშირის წევრი, ავტორი ლექსისა „ჩემო ტკბილო მეგობარო“.

ახლა ორიოდე სიტყვას მოგახსენებთ მწერალთა ეროვნულ აკადემიაზე. ეს არის მწერალთა კავშირის ორგანული ნაწილი, მწერალთა კავშირის განაყოფი. ჩვენ ერთი სხეული ვართ.

სრულიად ვეთანხმები მწერალთა აკადემიის წერილის პათოსს და აქვე დავძენ: ჩვენც ვაპირებთ სექტემბერ-ოქტომბრიდან აქციების გამართვას მოთხოვნით — მწერალთა შენობა დაუბრუნდეს ქართულ მწერლობას!

შეურაცხმყოფელი ფრაზები არ უნდა იყოს, მაგრამ ერთი რამ მაინტერესებს: კაცო, მაკვირვებს ზოგიერთი იმ უნიჭიერესი მწერლის გამოსვლა, რომლებიც ამტკიცებენ: ხელი არ მომიწერია და არაფერ შუაში ვარო.

ეს არის შეშინებული, შემკრთალი, უკანდახეული კაცის პოზიცია, მე ხომ არაფერი მომივას მოტივზე.

რას ჰქვია, ხელი არ მომიწერია, რაც იქ წერია, შენ იმას არ ეთანხმები?

მწერალთა კავშირის შენობა მწერლებს რომ უნდა დაუბრუნდეს, არ ეთანხმები?

ხელი არ მომიწერიაო?!

ჩემი ხელმოწერა რომ ყოფილიყო იქ, იმის მიუხედავად, რომ არავის მოუმართავს და არც მომიწერია, მე არ ავტეხავდი განგაშს, რაც უნდა წერებულიყო შიგ.

ზოგი მწერალი პირველად გამოჩნდა ტელევიზორში, მხოლოდ იმის განცხადებისთვის, რომ ხელი არ ჰქონიათ თურმე მოწერილი.

მაგრამ რაც უნდა იყოს და როგორც უნდა იყოს, მწერალთა კავშირის ნებისმიერი ასოციაციის და დაჯგუფების ხელმძღვანელი უნდა იყოს მწერალი და არა ნატაშა ლომოური.

ის რომ აცხადებს, მწერლებს იქ კაბინეტები უნდათო, რას ჰქვია, კაბინეტები გვინდა.

მწერალთა სასახლეში, ახლა მწერალთა სახლს რომ ეძახის ნატაშა ლომოური, თვითონ ხომ აქვს კაბინეტი და მას არ რცხვენია, რომ გალაკტიონ ტაბიძის კაბინეტში ზის?! არ რცხვენია, რომ გიორგი ლეონიძის, იოსებ ნონეშვილის, ან შოთა ნიშნიანიძის კაბინეტში რომ ზის? ეს არაფერს არ ნიშნავს? არ ეპატარავება თავისი თავი იმ კაბინეტში დასაჯდომად და ჩვენ გვიკიჟინებს, კაბინეტები გინდათო?

ბიბლიოთეკის დარბაზი მაინც გახსნან მწერლებთან შეხვედრებისთვის, მაშინ, როცა მწერალი პრესას, წიგნს ვერ ყიდულობს ამ ქესატობის დროს, მივიდეს, დაჯდეს, როგორც ადრე იყო იმ დარბაზში კონსტანტინე გამსახურდია, სიმონ ჩიქოვანი და სხვანი და სხვანი, გადაფურცლოს ახალი ლიტერატურა და დაისვენოს იქაურ გარემოში. ეს შეუძლებელია?

რამ შეაძულათ ასე მწერალი?

ნატაშა ლომოურს, თავისი პარტიული მიკერძოებულობის გამო, მოგეხსენებათ, ის გახლავთ „ნაცმოძრაობის“ თაყვანისმცემელი, ღმერთმა მოახმაროს, მაგრამ ვკითხულობ, როგორ შეიძლება, ლიტერატურის ჟიურიში შეიყვანოს, მაგალითად, შოთა იათაშვილი, რომელიც ერთ ლექსში წერს: დილაა, ვწევარ, ადგომა მეზარება და ლოგინში საკუთარ ასოს ვეთამაშებიო.

რა პოეზიის თემაა, ჩემო შოთა, საკუთარი ასოს თამაში?

ამხელა ჟიურის წევრი კაცი საკუთარ ასოსთან თამაშით უნდა ერთობოდე?

ამას ვაპროტესტებ მე...

აი, ბილწსიტყვაობა სად არის...

„ლიტერას“ ჟიურიში, ასევე, შეუყვანიათ „ნაცმოძრაობის“ წევრი და „ნაცმოძრაობის“ დროს განათლების მინისტრის მოადგილე, ქალბატონი ბელა წიფურია, რომელიც სათავეში ედგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 1200 პროფესორის ქუჩაში გამოყრას. თვითონ ხელმძღვანელობდა, პირადად, ამას.

ამათნაირებს მოუხმობს ნატაშა ლომოური, ამათ აძლევს პრემიებს, ამათ უშვებს ფრანკფურტში და სხვაგან წიგნის ფესტივალებზე. მწერალთა კავშირს კი, ნამდვილად, პასუხისმგებელ პატრონს, ქართველ მწერლებს, მწერალთა სასახლიდან აძევებენ და აბსოლუტურ იგნორირებას უკეთებენ.

ასეთია, ბატონებო, ჩემი დამოკიდებულება და კიდევ ერთხელ ვიტოვებ იმედს — პატარა ბიჭი არა ვარ, რომ ავღელდე, მაგრამ მინდა მჯეროდეს, რომ თეა წულუკიანი დაამყარებს წესრიგს — ქართველ მწერლებს დაუბრუნებს მწერალთა სასახლეს.

სხვა მხრივ, კეთილად ბრძანდებოდეთ.

დიდი მადლობა.

# რა მოხდა მაჩაბლის 13-ში 2007 წლის 21 აგვისტოს დილის 4 საათზე?



**სოსო სიგუა,**
**ფილოლოგი,**
**კულტუროლოგი:**

2007 წლის 21 აგვისტოს, ღამით, უფრო სწორად, დილის 4 საათზე, სპეცრაზმი შემოიყვანეს მწერალთა კავშირის შენობაში. იმ პერიოდში დაარბიეს გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაც, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ქართულ საზოგადოებაში, ათიათასობით ტირაჟით იბეჭდებოდა და უდიდეს საქმეს აკეთებდა ქართული ლიტერატურისთვის.

იმდამინდელ სპეცოპერაციაში, დაახლოებით, 500 ადამიანი მონაწილეობდა.

მწერალთა შენობაში ყველაფერი დალეწეს, დაამსხვრიეს, გადაყარეს.

შეამტვრიეს ჩემი ოთახის კარიც. ყველაფერი, რაც იქ იყო, ნამსხვრევებად აქციეს და სკამები, მაგიდები, სხვა რამ ავეჯი, რაც იყო, მეორე სართულიდან გადაყარეს ქუჩაში. დატვირთეს ამ ნამსხვრევებით მანქანები და წაიღეს ვანის ქუჩაზე.

5 წლის განმავლობაში მწერალთა კავშირის შენობაში აკრძალული გვქონდა არათუ შესვლა, არამედ, იქაურობის მიკარებაც კი.

5 წლის მერე მაჩაბლის ქუჩაზე მოვხვდი, გულმა გამიწია, შევედი ჩემს ყოფილ ოთახში და გადავიღე სურათები.

რა თქმა უნდა, მეორე, მესამე სართულები პოლიციის მიერ იყო ოკუპირებული და იქ მტვერი და ნაგავი იყო დაგროვილი.

იმ ხანებში ქალაქის მერიაში დაგვიბარეს: მწერალთა კავშირს შენობა უბრუნდება, რის გამოც შაბათ-კვირას 40 დამლაგებელს გამოგიყოფთ და იქაურობა დაალაგეთო. დავიწყეთ დალაგება. 40 დამლაგებელი შაბათ-კვირას დილიდან საღამომდე მუშაობდა. შევიტანეთ გადარჩენილი ძველი ავეჯი, გავაწყვეთ იქაურობა.

ერთ კვირა დღეს მწერალთა კავშირის წევრები პატრიარქმა დაგვპატიჟა თავისთან. შეხვედრაზე არ ყოფილა საუბარი მწერალთა შენობის დაბრუნებაზე, მაგრამ ის აზრი ტრიალებდა, რომ მომდევნო დღეს შენობაში ვბრუნდებოდით.

დილით 10 საათზე მივედით მწერლები შენობასთან, მაგრამ გაძლიერებული პოლიციის კორდონმა შესვლის უფლება არ მოგვცა. გვითხრეს: გასარკვევია საკითხებიო. გავიქეცით მერიაში, ვის აღარ მივმართეთ, ვის აღარ ვთხოვეთ, მაგრამ მესამე დღეს გვიპასუხეს: თქვენს იქ შეშვებაზე პრეზიდენტმა სააკაშვილმა უარი თქვაო.

ამით დამთავრდა ჩვენი მაშინდელი წვალება შენობის დაბრუნების თაობაზე.

ცინიზმით და ძალადობით მოხდა ყველაფერი. შეაფურთხეს მწერლობას.

შეიძლება, ჩვენ მთავრობა მატერიალურად ვერ დაგვეხმაროს, მაგრამ რაც არსებობდა, ის რატომ უნდა განადგურდეს. ასე ხომ შეუძლია მთავრობას, თითოეული ადამიანი ბინებიდან გამოყაროს, როგორც ხდებოდა კიდევაც 1937 წელს და ახალ პერიოდშიც, სხვადასხვა მიზეზებით?..

ბოლშევიკური ხელისუფლება იყო 70 წელიწადი და იმას არ წაურთმევია და გარკვეული ზრუნვის გარეშე არ დაუტოვებია მწერლობა ქუჩაში და ამ თავისუფალ და დემოკრატიულ საქართველოში რატომ დატოვეს მწერლობა ღია ცის ქვეშ?



**ბადათერ არაბული,**
**მწერალთა კავშირის**
**თავმჯდომარე:**

— ახლა მე ვიტყვი სიმართლეს, მხოლოდ სიმართლეს და არაფერს სიმართლის გარდა.

2017 წელს მწერალთა კავშირის ასი წლისთავი აღვნიშნეთ და ეს არის უნიკალური შემთხვევა. პოსტსაბჭოურ სივრცეში, ევროპის ქვეყნებშიც არსებობს მწერალთა გაერთიანებები, მაგრამ ამხელა ისტორიის მწერალთა გაერთიანება არ არსებობს, თუნდაც იმის გამო, რომ ამ კავშირს უდიდესი ისტორია აქვს, ეს არის ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა. ჩვენი სულიერი კულტურის ძეგლი გახლავთ მწერალთა კავშირი. ამაზე გადაწყვიტეს შურისძიება ნაციონალებმა, რადგან მათ ყოველივე ეროვნულის დანგრევა ჰქონდათ გადაწყვეტილი.

2005 წლიდან მწერალთა კავშირს დაფინანსება შეუწყდა და 2007 წლის აგვისტოში, ღამის 4 საათზე ხელისუფლების დამსჯელი რაზმები შემოცვივდნენ მწერალთა კავშირის შენობაში, ქუჩაში გადაყარეს ერისთვის ძვირფასი ყველა ნივთი...

მერე უნდოდათ შენობის გაყიდვა და დადგა საკითხი მისი აუქციონზე გაყიდვის.

ამის თაობაზე განაცხადი შევიტანეთ პროკურატურასა და სასამართლოში. მთელი ეპოპეა გავიარეთ. ნერვიულობების, დამცირებების ტალღამ გადაგვიარა თავზე და გულზე...

სასამართლოებზე ატარეს ჭაბუა ამირეჯიბი, ანა კალანდაძე, ოთარ ჭილაძე, ლადო მრელაშვილი, სხვები და სხვები, იმის გამო, რომ ამ ადამიანებს სურდათ, მწერლებისთვის და ქართული მწერლობისთვის დაეტოვებინათ კუთვნილი, ისტორიული შენობა.

ქართულ მწერლობაში, ცხადია, მოიაზრებოდა ყველა თაობის წარმომადგენელი. იქ არ იყო ამ ნიშნით დაყოფა. დაყოფა კი შეიძლებოდა მომხდარიყო ლიტერატურის ხარისხის შესაბამისად, რაც, დამეთანხმებით, ჭაბუა ამირეჯიბს, ანა კალანდაძეს და სხვებს არ შეეშლებოდათ.

ჩვენ არ გვაინტერესებდა და არ გვაინტერესებს არავითარი პარტია. მწერალთა კავშირი იყო და არის არაპარტიული ორგანიზაცია, რომელსაც ხელს უწყობდა სახელმწიფო — არ ზღუდავდა, არ ატერორებდა, არ ამცირებდა, არ აფურთხებდა — უქმნიდა პირობებს ნორმალური შემოქმედებითი პროცესებისთვის.

2007 წლის აგვისტოში ეს ყველაფერი ნაციონალებმა გაანადგურეს და დანიშნეს იქ თავიანთი წარმომადგენელი დირექტორად.

ახლა „მწერალთა სახლს“ კულტურის სამინისტრო ეხმარება. იმართება იქ სხვადასხვა ღონისძიებები, მაგრამ ეს ეკუთვნის ერთ ჯგუფს, ასე ვთქვათ, ახალი თაობისას, რომელთა შორის ბევრი ნიჭიერი მწერალიცაა, მაგრამ, მთლიანობაში, ერთიანი ქართული მწერლობის სახლი, ყველა დატვირთვით, აღარ არსებობს.

ეს არის ძალიან დიდი შეცდომა და ძალიან დიდი დანაშაული.

ამ პერიპეტიების შემდეგ ისრაელში გარდაიცვალა ჩვენი უსაყვარლესი მწერალი ჯემალ აჯიაშვილი. უკვე მოსული იყო ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ და პირველი, რაც გააკეთა ბიძინა ივანიშვილმა იყო ის, რომ მოვიდა მწერლებთან სამძიმარზე.

მწერალთა კავშირმა ჯემალ აჯიაშვილის პანაშვიდი გადავიხადეთ საქართველოში, თუმცა ის ისრაელში გარდაიცვალა.

ბიძინა ივანიშვილმა მაშინ თქვა: ეს სახლი მწერლებს ეკუთვნით და მწერალთა კავშირის არისო, მაგრამ მას შემდეგ შეიკრა რაღაცნაირი მაგიური წრე, რომელიც ვერ გავარღვიეთ.

თავის დროზე მივწერეთ პრემიერ გიორგი კვირიკაშვილს: გთხოვთ ყოველგვარი ჯგუფურობის გარეშე, ყველა თაობის წარმომადგენლები შევიდეთ მწერალთა კავშირის შენობაში, დაფინანსება, რაც არის, გადანაწილდეს მთლიანად ქართულ მწერლობაზე და არა ცალკეულ ჯგუფებზე-თქო.

კვირიკაშვილმა წერილი კულტურის მინისტრს გადაუგზავნა, მომახსენეთ თქვენი აზრიო. კულტურის მინისტრმა წერილი გადაუგზავნა მწერალთა სახლის ხელმძღვანელს. მწერალთა სახლის დირექტორმა კი ამათ ყველას უპასუხა: მწერლებს არ სჭირდებათ კაბინეტები, არ სჭირდებათ სახლი, დაჯდნენ სახლში და წერონ ლექსები და მოთხრობებიო.

კიდევ არაერთხელ მივმართეთ სხვა ხელმძღვანელებსაც, მაგრამ დღემდე არ მოხერხდა სამართლიანობის აღდგენა.

ყოველგვარი ძალადობის, უტაქტო ენის, დაპირისპირების, წინააღმდეგი ვართ, მაგრამ ნებისმიერ ბრძოლაში შევალთ იმისთვის, რომ ერთიანი ქართული მწერლობის სივრცე გასუფთავდეს. ამ ბრძოლაში არ მოვერიდებით არც თავგანწირვას.

ერთმანეთისადმი „ბოლშევიკების“ მახილი უნდა შეწყდეს.

არ შეიძლება ერთ კაცს მიესიო ან დევნო.

მაგალითად, „ლიტერას“კონკურსში ერთი ადამიანი ჩასვა მინისტრმაო და გავიდნენ ჟიურის წევრობიდან, მოხსნეს წიგნები და ა. შ. ერთ კაცს ასეთი რა უნდა დაეშავებინა?!

სამართლიანობა უნდა აღდგეს და უნდა აღდგეს საზოგადოების ყველა ფენაში, ყველა სფეროში, ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ.

მოხარული ვარ, რომ ვახტანგ ხარჩილავა, ჩვენი თაობის ერთ-ერთი შესანიშნავი ლიდერი, რომელიც დღემდე ჩვენს ლიდერად და მეგობრად მიგვაჩნია, აკეთებს უზარმაზარ საქმეს, ახერხებს მწერლის, ლიტერატორის აქტიურად ჩართვას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს არის მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი. ყველა უნდა ამოუდგეს მას მხარში. ყველა ასე რომ იყოს, დღეს უკეთესი რეალობა გვექნებოდა.

# ფრთხილად, ქართველებო, სულში ნაღმს გვახრახნიან!



მიმდინარე წლის 6 აგვისტოს, ღამით, ტვ-1-ის გადაცემაში, ქალბატონ გრიგოლიას თაოსნობით, ჩვენი ქვეყნისთვის დივერსიული ეთნოფაბრიკაციის გზით, გარედან თავსმოხვეული ლიბერასტული თაობა ზეპურობს.

ელიტის ერთი ნაწილი, საეთნოდივერსიო გნიასით, დასანაგვიანებლად და დასახრჩობად მოედო სრულიად საქართველოს! ანუ, როგორც ისინი თავს მოიაზრებენ, პოლიტიკურ რეზერვაციას, რომლის მოქალაქეებადაც ისინი მიიჩნევენ თავს და ჩვენთვის, „ბნელი“ ქართველებისთვის, ესოდენ დასამადლი პერსონები ბრძანდებიან.

როგორც მოგვიანებით დავაზუსტე, თურმე ლიბერასტული ტელევიზიების კონვულსიური შეტევა განხორციელებულა იმ სამიზნეებზე, რომლებზეც ქვემოთ მექნება საუბარი.

მხედველობაში მაქვს ტელეკომპანია „ტაბულა“, ე.წ. „მთავარი“, ტვ-1 და ა. შ.

სხვათა შორის, ერთ-ერთმა მათგანმა ამ მოგნიასეებიდან, აწ განსვენებული პოეტის ჯანსუღ ჩარკვიანის ქალიშვილმა, ქალბატონმა თამარ ჩარკვიანი-გიგანისამ, როგორც ის ფიქრობს, ქართული საზოგადოების ყოფაქცევაზე აღმატებული ბრძანებულა და მისი განსაკუთრებული აღზრდილობა დაამადლა სრულიად საქართველოს.

იმ მოგნიასე თაკოზე მოგახსენებთ, რომელმაც 15 სულგაყიდული ვითომ პარტიის რიგებში მოხალისედ, შთაგონებით მოაწერა ხელი ქართველი ერისა და დედა-საქართველოს წმინდა ილია მართლის მოძღვრების გაცამტვერებას, ანუ დაეთანხმა ლგბტ თემის აღვირახსნილობას.

დასამალი არაა, რომ ეს გახლავთ სიმრავლე, რომელიც, სამწუხაროდ, თავისი მოხალისეობრივი სურვილით, აღმოჩნდა პოლიტიკური კლიმაქსის ტყვეობაში.

როგორც მოგეხსენებათ, 5 ივლისს საქართველომ, სინამდვილეში, გადაიხადა უთანასწორო სამამულო ომი დემოკრატიის საფარველში გახვეული მაფიურ-კრიმინალური ძალებისგან მხარდაჭერილი ლგბტ თემის ეთნოდივერსიული და საოკუპაციო თავდასხმა-შემოთარეშებების წინააღმდეგ.

მართალია, ჩვენმა საზოგადოებამ არ დაუშვა, ჩვენი სატახტოს მთავარ გამზირზე, მრუშობის საქვეყნოდ და მისაბაძად გამოჭენება, მაგრამ მან, როგორც პენდემიამ, დატოვა ისტორიისთვის სახიფათო გართულება — მტრის მიერ მაღალ დონეზე გააურზაურებული (გაპიარებული) მოცემულობა, ანუ სამამულო ომი, რომელიც მსოფლიოს წარედგინა, როგორც თავდასხმა და ძალადობა „ჟურნალისტთა პროფესიულ საქმიანობაზე“.

სინამდვილეში, ეს წარმოადგენდა პროვოკაციის ინსპირატორსა და ლგბტ თემის ინტერესთა დამცველ ძალას.

სამწუხაროდ, ამ სამამულო ომში თავგამოჩენილთა საჯაროდ ხაზგასმული დაპირისპირებები დღემდე ქართველი ერის თვალ-

→

წინ უბოდიშოდ ხდება, ხოლო ეს ეთნოდივერსანტი პროვოკატორები მთლიანად ქართველი ერის დასჯას მოითხოვენ, რამეთუ არ კმაყოფილდებიან გაღებული მსხვერპლით.

წინამდებარე პოლიტიკური, უფრო სწორად, პროვოკაციული და დივერსიული გნიასი გახლავთ თადარიგი მომავალი წლისთვის, რადგან ქართული საზოგადოება და განსაკუთრებით, დედა-ეკლესია ჩააყენონ თავის მართლების მდგომარეობაში, რაც მათ გაუიოლებთ მომავალ წელს ე.წ. ლგბტ პრაიდის უთავისტკივილო ჩატარებას.

ზემოთხსენებულ სატელევიზიო სერობებზე ქალბატონმა თამარ ჩარკვიანმა საუბარში გამოიყენა და სხვებმაც მოწონების ტაშით აიტაცეს რამდენიმე ცნება, რომელიც, სინამდვილეში, სხვა არაფერია, თუ არა პაროლი საოცდაჩვიდმეტო გადაწყვეტილებებისთვის.

კერძოდ, მან შავ-ბნელ პრესად მოიხსენია „საერთო გაზეთი“. ეს გაზეთი, თითქოსდა, კრემლის იმპერიალისტურ ზრახვებს მოუძღვებიან საქართველოში.

ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ „საერთო გაზეთი“, რომელიც ერთ-ერთი თანმიმდევრული და გაბედული გამომხატველია ქართველი ერის ვინაობისა და საქართველოს ბუნებრივი შინაარსის, ეროვნული-სახალხო სულისკვეთებისა და ნების, მეტიც, სწორად ესმის საქართველოს მოვალეობა, ცხადია, თაკო ჩარკვიანის, ეკა გიგაურის, ინგა გრიგოლიას, გიგა მაქარაშვილისა და „კომპანიისათვის“, ყოველ მიზეზ გარეშე აღსაგველი სიცხადეა და მას ტყვიას თუ ვერ დაახლი, საქვეყნოდ მაინ უნდა გადაარწყიო.

აი, რა დასკვნა გავაკეთე წუხანდელი გნიასისგან.

კინაღამ გამომრჩა მთავარი: როგორ გაკლიათ ჩემი მშობლიური ბესლეთისხეობელი ბრძენი ქალის, დიდედის — ნორა ხარაზიას, კინაღამ ას წელს მიღწეული სათნოების.

კი, ბატონო, წერა-კითხვის უცოდინარის, მაგრამ ცას წვდომელი მოყოველდღიურე მორწმუნის კეთილმოსურნეობა, ქვეყნისმოყვარეობა და დამიჯერეთ, განათლებულობა, გემოვნება რომ არ აკლდა. გნებავთ, დედაკაცის პეწი და ხიბლი ამ ასაკშიც კი თავზე გადმოსდიოდა..

აი, რას უტევთ თქვენ.

მაგრამ ამაოდ.

**სერგი საჯაია**

2021 წელი, 7 აგვისტო

**„საერთო გაზეთის“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს მწერალ სერგი საჯაიას მეუღლის**

**ნაირა (ნანა) ბლიაძის**

**გარდაცვალების გამო.**

**დაკრძალვა ხუთშაბათს, 12 აგვისტოს.**

**სურამი. ოძისი.**

# ნატას ხიზნები



კულტურის სამინისტრო „ნაცმოძრაობის“ მიერ ანექსირებული რომ იყო და არის დღემდე, ამის თაობაზე ჩემზე უკეთესად ბევრს ნაკლებად მოეხსენება. ჯერ კიდევ 2017 წლიდან მე შევეცადე წიგნის ბაზრობაზე ჩვენს მიერ მომზადებულ-გამოცემული „მეგრული პოეზიის ანთოლოგია“ და 40 წლის განმავლობაში შექმნილი რომანი „სიცოცხლემისჯილი“ მოხვედრილიყო, მაგრამ ნუ მომიკვდებით! ინგლისურ ენაზე შესრულებულმა ანოტაციებმა არ იკმარა. მომთხოვეს თარგმნილი ვერსიები. როგორი საქმეა. მეგრული პოეზიის ნიმუშებს ამ ათასწლეულების განმავლობაში ძლივს ახლა აქართულებს ბატონი კობა ჭუმბურიძე და ახლა ინგლისურად თარგმნე, გერმანულად! მოკლედ, როცა ამ კუთხით მივმართე გულისყური და „ქართული წიგნის ეროვნულ ცენტრს“ დავუტრიალდი, აღმოჩნდა, რომ კვლავაც მათი ხალხის რეცენზიების საფუძველზე იდებოდა თურმე ხელშეკრულებები უცხოეთის გამომცემლობებთან, და თუ ეს გამომცემლობები გამოთქვამდნენ სურვილს აღნიშნული წიგნის დაბეჭდვაზე, ყოველივე ამის საფუძველზე კულტურის სამინისტრო გა-



მოყოფდა თარგმნისთვის სათანადო სახსრებს. მე აქ, ამ ნაცმოურ ლაბირინთებში, პოლიტიკური მიკერძოებით გაჯერებულ გასაოცარ ფაქტებს წავაწყდი — აქ ცხვირს უბატონოდ არავინ შეგაყოფინებდა. აქ არაფერში გამოგადგებოდა არიადნას გორგალი. ეს ნიშა იმთავითვე დაპყრობილი ჰქონდა „საბას“ პრემიის ნომინანტებს — მეორღობე, მედღეხვალიე მანქურთებს.

ერთ-ერთ ღონისძიებაზე, სადაც ლიტერატორები იყვნენ წვეულები უცხოეთიდან, ამ სახლის დირექტორს საჩუქრად გადავეცი წიგნი წარწერით. მოსაცდელ დარბაზში ვიყავი და სარკიდან თვალი შევასწარი, ქალბატონმა როგორ შეაგდო უჯრაში ჩემს მიერ მოწიწებით მორთმეული წიგნი. რა ბეცი ვყოფილვარ?! სამიოდე კვირის შემდეგ ინსტინქტურად რომ მივაკითხე იმ უჯრას, აგერ, არ დამტვერილა თვინიერედ?! ამათ ქართული კულტურის მწვერვალები ნიავქარს გაატანეს და გური ოტობაიას გარჯილობას რა სიკეთე დაადგებოდა?!

ქართული მწერლობის პრობლემა გაჭრილი ვაშლივით ჩამოჰგავს მთელი საქართველოს სადღეისო ფიზიონომიას — ჩვენ ნატა ქალბატონის და მისთანების ხიზნები ვართ საკუთარ სამშობლოში.

ნაციონალებმა თვალის დახამხამებაში დახურეს „ლიტერატურული საქართველო“, მწერალთა კავშირის სასახლეს სპეცნაზი მიუქსიეს; ბევრი ირბინეს მწერლებმა სასამართლო პროცესებში, მაგრამ იურიდიულად ვერაფრით მოახერხეს აკაკი ხოშტარიას ნაჩუქარი შენობის დაკანონება.

მერე თითქოს ერთგვარი გამოცოცხლება დაეტყო ყველაფერს, ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლით.

აი, იმ პერიოდში შეიქმნა „საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია“. თუმცა ყოველივემ პოზიტიური შედეგი ვერ გამოიღო. მწერლობა კვლავაც გახლეჩილი დარჩა. „მწერალთა სახლი“ კი კვლავინდებურად ნაციონალების მიერ პრივატიზებული კულტურის სამინისტროს ნება-სურვილზე ტრიალებდა.

ალან დალესისა და მათი ბედასლი ანტიკაცობრიული ბაცილის მედოქტრინეთა მითითებებს კარგადაა გაცნობილი ნაციონალური მოძრაობა: „ეუფლე ოქროს და სიტყვას, პრესას!“ ისინი სულელები სულაც არ არიან, მათ ე.წ. „უჩინარი ხელი“ მართავს, რომელიც ცისფერყანწელების პერიოდშიც ბოგინებდა საქართველოში და დადაისტებს, ფუტურიუსტებს, სხვათა — საყელოში ხან მიხაკს ჩრიდა და ხანაც ბოლოკსტაფილოს.

და, მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ გამოვიარეთ 1937 წლის 22 ივნისი — პასკვილებით ცხოვრებამოწამლული პაოლო იაშვილი თოფს გულზე მიიბჯენს და ამ ჩვენს სანაქებო მწერალთა სასახლეში თავს მოიკლავს საჯაროდ. მხოლოდ ჯავახიშვილი იტყვის, „ნამდვილი ვაჟკაცი ყოფილა, ყველას გვაჯობაო“. დანარჩენი — დიდ-პატარა, ყველა გასუსულია.

და, მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ გამოვიარეთ 1977 წლის 1 აპრილი — მწერალთა კავშირის პრეზიდიუმზე, გრიგოლ აბაშიძის თავმჯდომარეობით იხილება ზვიად გამსახურდიას მწერალთა კავშირიდან გარიცხვის საკითხი. საუბარი ეხება მის თანამშრომლობას უცხო ძალებთან, განსაკუთრებით ფაშისტური წარსულის მქონე, გენერალ მაღლაკელიძის ქომაგობას „საქართველოს მოამბეში“. ზვიადი გააფთრებით ამბობს: წერილი ჩემი არ არის, მე ხელი არ მომიწერიაო. ესენი კი, უკლებლივ ყველა, ერთხმად მოითხოვენ საბჭოური სინამდვილისთვის მიუღებელი ორგანიზაციის წევრის მოკვეთას მწერალთა რიგებიდან.

ქალბატონ თეა წულუკიანისადმი გაგზავნილ მწერალთა აკადემიის ჯგუფის წერილის შედგენაში მე მონაწილეობა არ მიმიღია, მაგრამ მის პათოსს ცალსახად ვეთანხმები, და გარკვეული შალაშინის შემდეგ, აი, იმ ტექსტს, ჩემეულსაც, წავამატებდი ზედ:

დროა ქართველი მწერლების პრობლემა სახელმწიფომ უმაღლეს რანგში აიყვანოს. დღეს მატერიალურად მწერალზე დაუცველი პიროვნება ძნელად თუ მოიძებნება საქართველოში.

დროა, განახლდეს საუბარი მწერალთა სასახლის სამართალმემკვიდრეობაზე; დროა ქართველ მწერლებს დაუბრუნდეთ არათუ მაჩაბლის 13-ში მდებარე შენობა, არამედ იქვე 11-ში არსებულიც.

დროა აილაგმოს სახელმწიფო ბიუჯეტის, ანუ ქართველი ხალხის ფულით ქართველი ხალხის მაგინებელი ლიტერატურული დესანტების თარგმანების და გამოცემების დაფინანსება. დაე, გამოსცენ მათ თავიანთი სუროგატები საკუთარი თუ პრემია „საბას“ დამფინანსებელი ხაზარაძის თუ სხვა ხაზარაძეების სახსრებით, მაგრამ არა ქართველი ხალხის ფულით;

დროა მმართველმა პარტიამ თავად იზრუნოს საკუთარი ტელეარხისათვის, სადაც მისი პლატფორმა, მისი ავანჩავანი, მისი გაკეთებული საქმეები ობოექტურად და პერმანენტულად გაშუქდება.

„ქართულმა ოცნებამ“, ბოლო დროს, როგორც იქნა, ქმედითი ნაბიჯები გადადგა. ზოგი ჭირი მარგებელიაო, თქმულა — ოპოზიციურ ძალების მასშტაბურმა შემოტევამ იგი საბოლოოდ გამოაფხიზლა და ყველასდა სასიკეთოდ, კოჰაბიტაციური ნირვანიდან გამოიყვანა.

მე ამასწინათ გამოქვეყნებულ წიგნში „აჰა, კაცი იგი“, ფილოსოფოს, აწნეტარხსენებულ ვახტანგ კვარაცხელიასთან საუბარში, ბატონი ბიძინა ივანიშვილი ყველა დროის ათი უდიდესი ქართველის ჩამონათვალში დავასახელე, თავისი არნახული მეოხების გამო ქართველი ერისადმი.

რაც შეეხება ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს, პირველი გაპრემიერობის დროს, გულზე მოგვეფინა ზუგდიდის მოსახლეობასთან შეხვედრისას თქმული მისი ფრაზა: გომორძგუა, გომორძგუა მარგალეფ! ჩვენ გულზე მოგვეფონა ბატონი ირაკლის კატეგორიული ტონი, რომელიც კაცობრიობის განვითარების უმთავრეს ქვაკუთხედად დედაკაცისა და მამაკაცის ერთობლიობით შექმნილ ოჯახს ასახელებს.

ვგონებთ, ამ მტკიცე პოზიციის გამო ევნო მაშინ ბატონი ირაკლი, — პარადოქსია თანამდებობიდან წასვლამ მოუწია. მაგრამ ეს იყო აუტანელი და სამარცხვინო კოჰაბიტაციის წლებში. ახლა კი სულ სხვა დროა, სულ სხვა სულისკვეთების, გამიფხიზლებისა და ეროვნულ პოზიციაზე დადგომის პერიოდი.

ჩვენ გვესმის ევროატლანტიკური პრიორიტეტების, მაგრამ ჩვენ ვერ ვიქნებით თუნდაც ჩვენი პარტნიორი ქვეყნების პილიტიკური ვასალები, ანუ ყურმოჭრილი მონები.

„ქართული ოცნება“ სულ რაღაც რამდენიმე თვეა მიძინებული ლაზარესავით გამოფხიზლდა, როგორც იქნა გადაიგდო თავიდან ნაციონალების ლობისტი აშშ-ს კონგრესმენების თუ სხვათა შემოგდებული კოჰაბიტაციური ბურუსი; ეს მისასალმებელი მოვლენაა. ამისთანა მკვეთრი ნაბიჯების ფონზე „ქართულ ოცნებას“ ვერავინ დაამარცხებს, ვერც თერგდალეული ერთი და ვეღარც ოკეანენასმურევი მეორე!

მოვითხოვთ ჩვენ ქალბატონი თეა წულუკიანისაგან, ამ მეტად ერუდირებული და სახელმწიფოებრივად მომართული პიროვნებისაგან:

ქართველი ხალხის ფულით ნუ ფინანსდება ქართული სახელმწიფოს მოსაშლელად გამიზნული სუროგატული ლიტერატურული პროდუქცია; ქართველი ხალხის ფულით ნუ ფინანსდება გაურკვეველი აზროვნებისა და აღნაგობის უცხოელი თუ შინაური ანტიხელოვნების მაქეზებელი „მწერალთა სახლი“.

დარწმუნებული ვარ, დღეს იქნება თუ ხვალ-ზეგ, უეჭველად მობრძანდება ამ დაწესებულებაში ქალბატონი თეა წულუკიანი ბატონ ირაკლი ღარიბაშვილთან ერთად და ძირეულად განვიხილავთ, თუ სად მიეჩინება ადგილი ქართულ მწერლობაში წლობით დაგროვილ დარდუბალას. ჩვენ, საქართველოს ბედნიერ, წარმატებულ მომავალზე ორიენტირებულ მწერლებს, არ გვინდა ვიყოთ ქალბატონი ნატას ხიზნები.

ახლა ძვირფასებო, თავად განსაზღვრეთ, მომიწერია თუ არა ხელი მწერალთა აკადემიის მიმართვაზე?!

07. 08. 2021 წ.

**მოამზადა**

**ირანდა კალანდაძემ**

593 56 11 18

**რედაქციისაგან: საინტერესოა, ამ შემზარავი, გამაოგნებელი ინტერვიუების წაკითხვის შემდეგ თუ იტყვიან „განდგომილი“ მწერლები, ეს რა საშინელი ისტორიები მოვისმინეთ და რა ძალიან გული გვტკივა, გვაჟრჟოლებს და ტანში გვზარავსო?**

**ან თქვენ თუ აგიტოკდებათ შუბლის ძარღვი, გრიგოლიებო, გვარამიებო, ჩარკვიანებო, ნიანგის ცრემლებს რომ აღვარღვარებდით და 37-იან წლებზე და რეპრესიებზე რომ ტეხდით განგაშს?**

**მიხვდით და გაიგეთ ახლა, ვინ მოუწყო ეგერ, ახლახან, ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში, ქართულ მწერლობას ტერორი და რეპრესიები?**

# ოღრაშები

## ივერია ბოლშევიკური სარკოფაგებიდან ამოყრილი პარტიული ნომენკლატურის შვილებმა და შვილიშვილებმა უნდა გააბრწყინონ?



წერილი, რომელიც ახლა უნდა გაგაცნოთ, ქალბატონ ლანა ღოღობერიძეს ეკუთვნის. (სტილი დაცულია):

„ძალიან, ძალიან დამწუხრებული ვარ. ამ დღეებში ჩემ სამშობლოში მოხდა რაღაც, ძალიან შემაშფოთებელი. პატრიოტიზმის და მართლმადიდებლობის სახელით უმრავლესობამ დაჩაგრა ადამიანთა მცირე ჯგუფი! უარი ათქმევინა ღირსების მარშის მოწყობაზე. სცემა და ცხვირპირი ჩაუმტვრია ჟურნალისტებს, რომლებიც კეთილსინდისიერად და თავდადებით ასრულებდნენ თავიანთ პროფესიულ მოვალეობას!

და ბოლოს, როგორც ამ ყველაფრის სიმბოლო, 30 წლიანი დამოუკიდებლობის და დასავლეთისკენ თითქოს გააზრებული მსვლელობის ფონზე ვიხილეთ საოცარი აქტი: როგორ ჩამოხსნა ოფიციალური შენობიდან ადამიანთა ჯგუფმა ევროკავშირის დროშა! და მარტო



ჩამოხსნა კი არა, დაწვა!

ახლა პირდაპირი გზა გვაქს: არ გვინდა დასავლეთი, არ გვინდა თავისუფლება და თანასწორობა, არ გვინდა სილაღე და სიხარული, ერთმანეთის გაგება და დაფასება, წინ! თუ პირიქით, უკან: საბჭოთა კავშირისკენ და უფრო ახლოს, პუტინის რუსეთისკენ! წინ, პიროვნების ჩაგვრისა და განადგურებისაკენ, სიბნელისა და სიღარიბისკენ!

დღეს თქვენ გაქვთ შეგრძნება, რომ გაიმარჯვეთ, მაგრამ გარწმუნებთ, ეს პიროსის გამარჯვებაა. გუშინ ეს ბუნებამაც გითხრათ: თქვენ გეგონათ, რომ ჩააქრეთ ცისარტყელა, მაგრამ ის ბევრად უფრო ძლიერად მოგვევლინა და ჩაუქრობელ ფერებად აკიაფდა თბილისის ცაზე!

ბოლოს და ბოლოს, ცისარტყელა ჩვენს სულშიც გაბრწყინდება, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს დიდი დანაკარგების და ტკივილის ფასად მოხდება“.

დიახ, ეს ქალბატონი ლანაა, ღოღობერიძე, სსრკ სახალხო არტისტი, რომელმაც 1958 წელს დაამთავრა კინომატოგრაფიის საკავშირო ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი. ეს ინსტიტუტი გახლდათ საბჭოთა კავშირის დედაქალაქ მოსკოვში, სრულ სიბნელეში, სიღარიბესა და უბედურებაში. რა უნდა ექნა ქალბატონ ლანას, როგორ უნდა მოქცეულიყო, არ უნდა ესწავლა? არ უნდა მიეღო სათანადო განათლება? აი, სწორედ ამიტომაც გაუძლო საბჭოურ ტანჯვა წამებას, სიბნელეს, შიმშილს, სიღატაკეს. როდესაც საკავშირო კინოფესტივალებზე პრემიებს აძლევდნენ, ირგვლივ ისე ბნელოდა, საჩუქრებამდე ძლივს აგნებდა. არადა, არაღებაც არ გამოდიოდა, რეთ, ეს პროვინციელი ფაშისტიო... აღარც ბალტინის ჯარები ახსოვს, აღტაცებული რომ შეხვდა თავის თანამებრძოლებთან ერთად. როდესაც რუსთაველი გადაბუგეს და მთელ საქართველოს დედა უტირეს, მაშინ არ გახლდათ ძალიან დამწუხრებული საბჭოთა რეჟისორი, მაშინ არ უთქვამს, ამ დღეებში ჩემ სამშობლოში მოხდა რაღაც ძალიან შემაშფოთებელიო. არა, ის არ იყო შემაშფოთებელი, ის იყო პროგრესული, აღმშენებლური და აუცილებელი.

რეს, ბოლო-ბოლო, სამართლიანობა აღადგინეთ, მწერალთა სახლში ჩაბუდებული სააკაშვილის ბორდი, გუგულის ბუდეში ჩასხმული ყვავის წიწილები გამოიყვანეთო. ცეკას მდივნების შთამომავალმა და საბჭოთა წყობილებაში მოხეირეთა მემკვიდრემ, თაკო ჩარკვიანმა ქოშები უკულმა ყარა, ეგ როგორაო? ეს ხომ ენკავედეს მიმართვაა, ეს ხომ 1937-იანი წლების ტექსტიაო? ესენი ამხადებენ საქართველოს გადაბარებას, მაგრამ ვერ ელირსებიან, მაგათი გადასაბარებელი ქვეყანა ხელისუფლება, ქვეყნიდან გააძევონ კანონიერად არჩეული პრეზიდენტი და... ახლა, როცა ქვეყანას თითქოს პატრონი გამოუჩნდა, ტურებივით აყმუვლდნენ. ამათი „სტრატეგიაა“, გებელსისგან გადმოიღეს, თავიანთი წინაპრების დანაშაული, თავიანთი ცოდვები აქეთ უნდა დაგაბრალონ, რომ იქით შერჩეთ. აი, მაგალითი, თაკო ჩარკვიანი აქეთ რომ დამადანაშაულებს, შენ რუსეთისთვის მუშაობ, თურმე ჩვენ გვინდა, საქართველო საბჭოთა კავშირში შევათრიოთ (სადაა ეს საბჭოთა კავშირი?) და შემდეგ დავადგინოთ, რომ ქართველებმა მხოლოდ „კალინკა“ უნდა იცეკვონ, არავითარ „განდაგანა“ და დიმპიტაურ-დამპიტაური. ღმერთო ჩემო, რანაირი დებილიზმია, ცოცხალი ადამიანი რაღაცას რომ ლაპარაკობს, რაღაც ლოგიკაში ხომ მაინც უნდა ჯდებოდეს?

კიდევ ერთი ცნობილი ბოგანო გამოიყვანეს, წერა-კითხვასთან მწყრალად როა, მწერლობაზე ალაპარაკეს, თქვენ მიშა სააკაშვილმა უზრდელობაში ჩაეთვლებოდა. 1980 წელს სსრკ სახელმწიფო პრემია რომ მიანიჭეს, მაშინაც ბნელოდა.

მე მართლა აღარ მინდა შორს წასვლა, აღარაფერს ვამბობ ლანა ღოღობერიძის მამაზე... ის იყო საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, ცეკას მდივანი. მართალია, ის კაცი ბოლშევიკებმა დახვრიტეს, მაგრამ მანამდე თვითონ ხვრეტდა სხვებს.

ამ წერილს რომ ვწერ, მეცინება-მეთქი... განა არ არის სასაცილო? გელა ჩარკვიანისა არ იყოს, გადმომდგარან სტალინის დროინდელი ცეკას მდივნების შვილები, სახელოვანი კომსომოლები და აქეთ გვარიგებენ ჭკუაზე, თქვენ სიბნელეში გინდათ ცხოვრება, ანუ საბჭოთა კავშირშიო (გააგებინეთ ვინმემ, რომ საბჭოთა კავშირი დაიშალა), სიბნელეში და სიღატაკეშიო. მე, კაცო, მე მეუბნებიან ამას ათას პრემიასა და საბჭოთა წოდებაზე გადამხტრები. ისაო, თქვენ უკან გინდათო, პუტინის რუსეთისკენო... უკვე დაავიწყდა, ან განგებ ივიწყებს ელცინის რუსეთს, რომელსაც ევედრებოდა, ზვიად კონსტანტინოვიჩი მოგვაშო-

როგორ მახსოვს ის მომენტი, პრეზიდენტი რომ გამოვიდა თავის მცირერიცხოვან ამალასთან ერთად და სანაპიროთი გავიდა თბილისიდან. ახლა კი... ახლა ეს ქალი, რევოლუციონერის შვილი, საბჭოთა მოღვაწე გვკიცხავს, თქვენ პუტინის რუსეთი გინდათო. მეტიც, ახლა იძახის, მალე ცისარტყელა ჩვენს გულებშიც გაბრწყინდებაო (აქამდე ამათ გულებში კომუნიზმის დიადი ვარსკვლავი ბრწყინავდა), ეგ ბუნებამაც დაგანახათო... იმას გულისხმობს, ჩაუტარებელი პრაიდის მეორე დღეს რომ გაწვიმდა და ცაზე ცისარტყელა გაჩნდა.

როგორც ჩანს, ცეკას მდივნების შვილებს ჰგონიათ, აღარავის არაფერი ახსოვს და ჰაეეე, მიერეკებიან თავიანთ ხოშზე. უკაცრავად, ცოტა გვერდზე მიდექით, ემანდ არაფერი შეგეშალოთ, რააა... ცისარტყელა გაბრწყინდება კი არა, ეკლესია-მონასტრებში იარეთ, წინაპრების ნაცვლად ილოცეთ და საკუთარი ცოდვებიც მოინანიეთ. საბჭოთა კავშირში თქვენთვის არასოდეს ბნელოდა, პირიქით, ყველაფერი თავზესაყრელად გქონდათ და იმ სისტემის ქება-დიდებაში ენები გქონდათ გადატყავებული. თანამდებობებიც თქვენი იყო და პრემიებიც, აღარაფერს ვამბობ „მოსკოვებში“ საქმეების ჩაწყობაზე.

გეგონება ახალი მოდაა, რატომღაც ასპარეზზე ცეკას მდივნების შვილები, შვილიშვილები, ძმათა შვილები, დათა შვილები, ათას ოხრობაშვილები გამოცვივდნენ და გვიმტკიცებენ, საბჭოთა კავშირი ხომ იყო ბნელეთი, ეხლა „კიდენა“ რუსეთი უარესიაო. ალბათ გახსოვთ, „საერთო გაზეთის“ წინა ნომერში მწერალთა აკადემიის წევრებმა თეა წულუკიანს მისწე-





სად გვაქვსო? ეგ წერილი ენკავედეს წარმომადგენელმა, სოსო ჭუმბურიძემ დაწერა წულუკიანის დავალებითო.

არა, ყველაზე მაგარი მაინც ის არი, საბჭოთა ოჯახში გაზრდილდაქალებული აქეთ რომ დაგვჭყივის, ესენი ენკავედეს თანამშრომლები არიანო. ენკავედეო, ტერმინები არ ეშლებათ, რადგან ამათი წინაპრები სწორედ ენკავედეებში



„მოღვაწეობდნენ“ და სწორედ „დანოსებით“ უსწორდებოდნენ პატიოსან ადამიანებს!

არა, ჩვენ არ უნდა შევეხოთ საქართველოს, ჩვენ არ გვაქვს არავითარი უფლება, ვინ არის ღარიბაშვილი? ვინ არის ზედელაშვილი? ვინ არის ხარჩილავა? არა, ბატონებო და ქალბატონებო, საქართველოში საბჭოთა წყობილება უნდა დაამყარონ ლევან ღოღობერიძემ და მისმა შთამომავლებმა, მისი ოჯახის წევრებმა... კანდიდ ჩარკვიანმა და მისი ოჯახის წევრებმა, ნათესავებმა... საბჭოთა მუშაკების მემკვიდრეებმა! დიახ, ამათ უნდა ისარგებლონ ყველა დროში ყველა სიკეთით. მათ უფლება აქვთ, დაამხონ ეროვნული

კი არა საზოგადოებამ ჩაგრეცხათო, თქვე რუსეთუმეებოვო. ეს ბოგანო არ გახლავთ ცეკას ყოფილი მდივნის შვილი, მაგრამ აშკარად ეტყობა, რომ ბოლშევიკია. ელოია კილაძეზე მოგახსენებთ, ტყავის ქურთუკი და რეზინის ბოტები რომ აკლია. ამან, ამ ჩვენი ცოდვით სავსემ ისეთი სისულელეები შეთხზა, უნდა წამოწვეთ და იცინოთ, იხარხაროთ... ისე, მე რომ ვხარხარებ ხოლმე ლანა ღოღობერიძის წერილის წაკითხვისას. მოკლედ, ელიო კილაძე იძახის (ამტკიცებს), მწერალთა აკადემია შექმნა ირაკლი ღარიბაშვილის სიმამრმა, თამაზ თამაზაშვილმა ირაკლი ღარიბაშვილის იდეაზე დაყრდნობითო. ესე იგი, ირაკლიმ მოიფიქრა, მისმა სიმამრმა კიდევ განახორციელა განსხვავებული შეხედულების ადამიანებისა და ჟურნალისტების წინააღმდეგო.

ბოლო დროს ვატყობ, ელოს იმნაირი „გნასი“ აღარ აქვს, როგორიც ადრე ჰქონდა. იცით, რას დაემსგავსა? კისლატაამომშრალ, დამჯდარ აკუმულატორს. ეს დედაკაცი არც ადრე გამოირჩეოდა ღრმა აზროვნებით, ყოველთვის სი-



სულელეებს ლაპარაკობდა, მაგრამ ახლა მთლად გადავიდა დაუკრეფავში...

გეუბნებით, ვერავითარ ლოგიკაში ველარ ჯდებიან, ეს ჩემისები, მთლად გადავიდნენ ნეხვიანში და გორაობენ აცაბაცა. სხვათა შორის, ნეხვში გორაობის დროსაც უნდა ჰქონდეს ადამიანს ლოგიკა და ზომიერება. ელოის არც ერთი არ აქვს, გორაობს და გორაობს... თან იძახის, უკვე ყარს კულტურაო, ჩვენ ქვეყანაც მოგვპარეს და კულტურაცო. ნეტაი ამ უბედურს რომელი ქვეყანა და რომელი კულტურა მოპარეს, რომელი მწერლობა? ამიხსენით, როგორ შეიძლება, ბინძურ არსებას ან ქვეყანა მოპარო, ან კულტურა, ან კიდევ მწერლობა? მითხარით, ასეთი რამ ბუნებაში რანაირად შეიძლება მოხდეს? ჰო, ახლა იგივე ბინძური არსება ეჭვობს, რომ თეა წულუკიანი ევროპაში არ მუშაობდა, ეგეთ უკულტურო ქალს იქ ვინ გააჭაჭანებდაო? არ არსებობს, ეგ ნამდვილად რუსეთში მოღვაწეობდაო. ეეეჰ... ისევ ლოგიკის დეფიციტი!



ჰა, ჰა, ჰა... ესენი იძახიან, ცეკას ყოფილი მდივნების შვილები, შვილიშვილები, ძმათა შვილები, ბოლშევიკების შთამომავლები, ყოფილი პარტმუშაკები, კომკავშირელები, ჩვენ მალე მოვალთ ხელისუფლებაში და ეგრევე ჩაგრეცხავთო. მიშამ რო ჩაგრეცხათ, არ იყო საკმარისიო. კი, მაგრამ როცა მაჯლაჯუნები გემუქრებიან, მოვალთ და ჩაგრეცხავთო, ის მაჯლაჯუნები ხელისუფლებაში რანაირად უნდა მოვიდნენ? ამათ ვერ გაიგეს, ის დრო აღარ არი, მარტო მაუზერით რომ წყდებოდა საქმე, დასრულდა!

დიახ, დასრულდა თქვენი დრო, თქვე ოღრაშთა შვილებო და შვილიშვილებო, თქვენ თვითონ ჩაირეცხებით უახლოეს ხანში თქვენივე დამპალი აზრებითა და იდეებით!

იმავე დღეს, რა დღესაც (7 აგვისტოს) თაკო ჩარკვიანმა და ელოი კილაძემ ილაქლაქეს უაზროდ, ინგა გრიგოლიამაც გაშალა იგივე თემა და თავისი თანთალა მკლავები თავის უბადრუკ გადაცემაში, შემოისხა გარშემო დიდი „ლიტერატორები“, კაკოიე ბობოხიძე, თინაიე ბოკუჩავა, გიორგიე გუგავა, ისევ თაკოიე ჩარკვიანი და ხელახლა განგვსაჯეს, როგორც სამშობლოს მოღალატეები, როგორც მთავარი რუსეთუმეები, საბჭოთა წყობილების დამაარსებლები, საბჭოთა პრემიების ამღებნი და ახლა მარტო იმაზე ვფიქრობ, ნეტავ იოსებ ჯუღაშვილისა და ლავრენტი ბერიას თანამებრძოლებად არ გამოგვაცხადებდნენ ეს უბედურები!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# ინგა, ნიკა შავნოდარა, ვატო და ყვავის ქონი

## პოლიტიკური ნოველა

ცუდი სიზმარი ნახა წუხელ. თავი უსკდება, სამი „ციტრამონი“ აღარ შველის. ადრე, 1990-იან წლებში ერთიც ჰყოფნიდა, სააკაშვილის მმართველობის დროს ორზე გადავიდა, ეხლა სამი ცალიც ველარ უყუჩებს – ლამისაა, ოთხი გადაყლაპოს. იმ დღეს ჟუჟუნა ექიმს დაურეკა, ძველ დაქალს, „ციტრამონს“ შეეშვი, ყვავის ქონი შეიზილე საფეთქლებში და თავის სკდომა ეგრევე გაგივლისო. სად არ გაიკითხა, ვის აღარ სთხოვა, ვერსად იშოვა ყვავის ქონი. ნიკა გვარამია დაჰპირდა, უცილობლად გიშოვი, ბოლო-ბოლო, შავნოდარას დრონით მოვაკვლევინებ და გადავადნობო. ამით ორ საქმეს გავაკეთებ, ჯერ ერთი, ყვავის მოკვლას ბიძინა ივანიშვილს დავაბრალებ, დიდ სკანდალს ავწევ, მეორეც – მაგ თავს დაგიამებ, თუ კაცი ვარ და ქუდი მახურავსო. ისე, ადრე თუ ერთი გყოფნიდა, ეხლა ოთხი რატომ გჭირდება, რა გაგიკეთა ბიძინამ ამისთანაო? – ხშირად ეკითხება გვარამია და თან ირონიულად ხითხითებს.

დიახ, აქამდე ეგონა, ასე ამაზრზენად ვლადიმერ პუტინი იქცეოდა – დარწმუნებული იყო, მან დამართა თავის ტკივილი კოსმოსური ზემოქმედების შედეგად. თურმე ბიძინა ივანიშვილი ყოფილა.

– ეგა, გოგო, სუსია. ჩასჩურჩულა ყურში ნიკამ.

– სუსმა, ანუ ბიძინა ივანიშვილმა ჩვენს თავებში ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ განათავსა სპეციალური ვირუსი, რომლის საშუალებითაც შეუძლია, 24 საათის განმავლობაში მოგვისმინოს.

– ვერ ვიჯერებ! – ნესტოებიდან ნაპერწკლები გადმოსცვივდა ინგას.

– უნდა დაიჯერო! – ბრძანების კილოთი წარმოსთქვა ამ საქმეში მრავალგზის გამოცდილმა ნიკამ.

– კი, მაგრამ მე ხომ ჟჟჟჟუურრრნალისტი, ვარ?!

– ამიტომაც გისმენენ... არა, ამ ქვეყანაში ყველას უსმენენ, მაგრამ მე და შენ უფრო ხშირად გვისმენენ, ამიტომაც გვაწუხებს მუდმივად ეგრეთ წოდებული შაკიკი.

– აქამდე მეგონა, ჩემი აზრები მხოლოდ ღმერთმა იცოდა ცაში, ეხლა კიდენა რა გამოდის, იმ კაცმაც იცის?!

– დიახ, იცის... შენ როგორ გგონია, არ გააბაზრებს? ბერას არ მოუყვება? ცოლს არ მოუყვება? ძმებს არ მოუყვება? მეზობლებს არ მოუყვება? ჭორვილაში ბირჟაზე არ გავა და არ იჭორავებს?

ადრე რო გადამიღეს სექსოლოგიურ პროცესში, ფირი შეინახეს, მიწაში ჩამარხეს, განა ამის დაუფასებლობა შეიძლება? მოვიდნენ ესენი და გამოაცხადეს, კინოთეატრებში უნდა ვაჩვენოთო. კულტურის მინისტრს ვუთხარი, აჩვენეთ, კაი შემოსავალი იქნება, მაგრამ მე რა-მეთქი? არ ვიცი, ეგ სპორტის განყოფილებას ეხება, სექსი სპორტის ერთ-ერთი სახეობააო. ფულის მოცემა არ უნდოდათ, გესმის? დავემუქრე, ეგრე არ არი, თაყავ, შენ რო მამული გაჰყავ, კეისარს კეისრისა უნდა მიეცეს-მეთქი. აღარ აჩვენეს, გადაიფიქრეს. უი, ეს რეები წამოვროშე, ეხლა გვისმენენ, ხო? აჰა, დაიწყეს კაკუნი, ამ შეჩვენებულებმა! – ისევ გამოუვიდა ნესტოებიდან ჯერ ნაპერწკლები, შემდეგ კი ბოლი ინგას.

ნიკა წავიდა, ყვავის ქონს გიშოვი, სუსის მოსმენებს მარტო ეგ თუ ახშობსო.

ინგა სრულიად განმარტოვდა თავის ფიქრებთან, თუ იმ კაცს ეს აპატია, შემდგომში უარესს იზამს – მარტო თავში კი არა, ჯიგრის პარკუჭებშიც ჩაუძვრება და იქიდან გაიგებს მის უნიკალურ იქრებდა, სადაცაა წაყირავდება, გული წაუვაო. თუმცა არა, ის ეგეთი ტიპია.

– რა გჭირს, შე ჩემა? – ჰკითხა ძაღლმა.

– რავი, დღეს იმდენი ვირბინეეე, გადავიწვიიიი, რააა!

– რეიზა ირბინე? – ჩაიღრინა ინგას ძაღლმა და შავნოდარას თათით ანიშნა, შემეეთრიეო.

– რა ჰქენი, მოიტანე?

– არა, ბიჭო და მოსკოვს შევეკითხებოდიიიი! – წაუღიღინა ისევ შავნოდარამ და ჯიბიდან ქაღალდები დააძრო.

– დაიწყე!

ლოებას.

– დიახ, რევოლუცია იწყება მაშინ, როცა ქვეყანა ნაცემ კაცს ემსგავსებაააა! – წაუმღერა შავნოდარამ და ვისკი მოწრუპა.

– ვაჰმე, ავაჰმე, შენ გენაცვალე აქცენტების დასმაში!

– ისე, მე ნიუსმეიკერი კი არა, აქცენტების სწორად დამსმელი უფრო ვარრრრ.

– ჩემთვის ორივე ხარ... აი, ისევ დაიწყეს კაკუნი, ისევ მისმენენ, გავგიჟდები, გადავირევი, გამაგებინე, რა უნდა ამ კაცს?!

– წერას არი ატანილიიიი!

– მართლაც, თუ დროზე არ დააგორა მაგისი თავი ჩიტაძის დაღმართზე პატარა ჭუტამ... უკაცრავად, ვახო წერეთელმა, ძა-




აზრებს. ამ საღამოსვე მოუწყობს რევოლუციას, მთელ საქართველოს გამოიყვანს ქუჩაში, ქართველ ერს ვატო წერეთელი წარუძღვება – ახალი დროების ლიდერი, ჭკვიანი, განათლებული, დინჯი, ჩაფიქრებული. მისი მარჯვენა ხელი იქნება ვახო, ფაქტობრივად ისიც ვატო, ოღონდ სანაია. მაგ კაცსა ჰგონია, ისინი ცოტანი არიან, მაგას მარტო ჟიჟის გონება ეყოფა დასამარცხებლად, ჟიჟი რომ მოიფიქრებს და გადაწყვეტს, ასი წელი ვერავინ მოიფიქრებს და გადაწყვეტს ამ დუნიაზე. დიანა – გამჭრიახი, შორსმჭვრეტელი ჟჟჟჟუუურრრრნალისტი, პირველი ქალი მის შემდეგ, როდესაც ამ ხელისუფლებას გადააშენებენ, პრეზიდენტობის კანდიდატად წარადგენენ, პირდაპირ ეთერში ხელების გაშლა ეშლება თუ მუშტების ქნევა? ინგას შკოლაა. ნოდარი.

კარზე ჩქარი კაკუნია. ინგა წამოიწია, ადგომა დაეზარა, ძაღლს გასძახა, მიდი, კარი გააღეო. არ დაიჯერებთ, რაღაცნაირმა ძაღლმა, სულაც რომ არ ჰგავდა ძაღლს, გეგონება ჩასუქებული ტურააო, მართლაც გადასწია ურდული. ზღურბლთან შავნოდარა იდგა, თვალებს გიგა ბოკერიასავით ატრიალებდა, მნახველი იფ-

– პირველ ეტაპზე გვჭირდება სტრატეგიააა, ანუ ჩამოგდების ძალააა!

– ყოჩაღ, სწორია!

– შემდეგ უნდა მოვიფიქროთ, ვის გადავცეთ ძალაუფლებააა.

– ეხლა მაგას ფიქრი უნდა? ძალაუფლება გადაეცემა ჩაგრულ პროლეტარიატს, მიწა გლეხებს, ფაბრიკა-ქარხნები მუშებს! – ახლა ყურებიდან გამოუშვა ბოლი ინგამ.

– ჰო, მაგრამ ეგრევე გადაცემა არ გამოვააა, ამ შემთხვევაში საჭიროა დროებითი მთავრობააა, რომელიც მოახდენს პრობურჟუაზიული ორიენტაციის გარდაქმნას პროოლიგარქიულ ორიენტაციააააად. ჩვენ არ ვებრძვით ბურჟუაზიას, ჩვენ ვებრძვით ოლიგარქიასაააა.

– ნოდარი, ერთ რაღაცაში უნდა გამოგიტყდე.

– მიდიიიიი.

– შენ ხარ პირველი ნიუსმეიკერი ჩემს შემდეგ! – განაცხადა ინგამ და მთავრობის ჩამოგდების სცენარის განხილვა განაგრძო, – ესე იგი, როგორც ვლადიმერ ილიას ძე ლენინი ამბობდა, რევოლუცია იწყება მაშინ, როცა ადამიანები განიცდიან პოლიტიკური დინამიკის რაობას და გრძნობენ სოციალური კოლაფსის მოახ-

ან ცუდად იქნება ჩვენი საქმე. ეს ოპოზიციაც ვერაფერს მპირდება, შალვა ნათელაშვილის იმედიღა მაქვს, იმ დღეს გუგავამ მითხრა, შემოდგომაზე ბიძინას თავს ლანგრით მოგართმევთო. ეჰ, ბევრჯერ დამპირდნენ, მაგრამ სად არი?!

– ჰო, ის მოგიტანეეე, – ჯიბისკენ წაიღო ხელი შავნოდარამ, ცელოფანის პარკი ამოიღო.

– უი, ის არი?!

– ჰო, ყვავის ქონია, საფეთქლებში შეიზილე, ყურებში გამაისვი და ეგ არი, ველარავინ მოგისმენს, ჟუჟუნასთან გამოვიარე, კარგიაო, მოიწონაააა.

– ეს კაცი მაინც უნდა წავიდეს!!!

– რა თქმა უნდააა!!!

ისინი ერთმანეთს დაემშვიდობნენ. სანამ დაემშვიდობებოდნენ, ერთმანეთს თვალებში ჩახედეს, სიტყვა აღარ უთქვამთ, აღარ იყო საჭირო, ხშირად რევოლუცია დუმილსაც ითხოვს, მით უფრო მაშინ, როცა გისმენენ.

ვაჰმე, ავაჰმე, აპრუწუნი, წუწუნი, პრუწუნ-პრუწუნი!

ნოველა რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით დაწერა
**გელა ზედელაშვილმა**
555 48 48 61

# მე გეტყვით რაც მოხდა – თავისუფლებასა და თავგასულობას შორის ზღვარი წაიშალა

## „საერთო გაზეთის" სტუმარია დიდუბის რაიონის ყოფილი გამგებელი, ამჟამად კი საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ირმა ზავრადაშვილი



**— ქალბატონო ირმა, „ქართულ ოცნებას" უკვე ყოველდღიურად უწყობენ პროვოკაციას... უკაცრავად, „ქართულ ოცნებას" კი არა, ქვეყანას, სახელმწიფოს. რაც გასულ კვირას თბილისში მოხდა, შეიძლება სხვა პრობლემებთან შედარებით წვრილმანია, მაგრამ ეს ერთი შეხედვით, სინამდვილეში ეს არის დანაშაული, რომლის მომფიქრებელ-დამგეგმავნიც ძალიან მკაცრად უნდა დაისაჯონ. ვგულისხმობ ნაგავის არგატანასთან დაკავშირებულ საბოტაჟს. აი, მე კი მგონია, რომ არავინ დაისჯება და ამ არდასჯის ფონზე წინასაარჩევნოდ ვიხილავთ კიდევ არაერთ პროვოკაციას „ნაციონალების" შესრულებით. როგორც ყოფილ გამგებელს და თან მაგარ ყოფილ გამგებელს, ახლა კი საპარლამენტო უმრავლესობის წევრს, გეკითხებით, როდემდე უნდა გაგრძელდეს ამათი ავკაცობა?**

— მე პრობლემას ორად გავყოფ, პირველი უკავშირდება ადამიანების ხასიათს, აზროვნებას, მეორე გახლავთ პოლიტიკური, რომელიც ასახავს დღევანდელ მდგომარეობას. საზოგადოებაში უფრო მეტ პრობლემას ვხედავ, თქვენ რაც არ უნდა დამიგეგმოთ, რაც არ უნდა მიკარნახოთ, ხომ არ შეიძლება, ყველაფერი ვიკადრო? იცით, მე „ქართულ ოცნებას" დიდ პატივს რატომ ვცემ? 2012 წლიდან ამ პარტიის დიდუბის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ვარ, 2014 წლიდან გამგებელი ვარ, 2020 წლიდან პარლამენტარი ვარ, არ მახსენდება ისეთი შესასრულებელი დირექტივა, რომლის გამოც შემრცხვებოდა და ვიტყოდი: ღმერთო ჩემო, ეს რომ გავაკეთო, მერე ჩემ შვილს, ან სანათესაოს, ან მეგობრებს რა ვუთხრა? მეტსაც გეტყვით — არ ყოფილა შემთხვევა, რამე პრობლემა ყოფილიყო გადასაწყვეტი, კახი კალაძისთვის, ან ირაკლი ღარიბაშვილისთვის მიმიწერია, შემიტყობინებია და არ გაუთვალისწინებიათ. მით უფრო მაშინ, თუ ვინმეს სჭირდება დახმარება. რაც ქალაქში ნაგავის გატანასთან დაკავშირებით მოხდა, ეს რაზე მიანიშნებს, ხალხს აღარ უყვარს თავისი ქალაქი? ტენდერები გამოცხადებულია, ფორმები ნაყიდია, მანქანები შეძენილია, ამ პანდემიის დროს, როცა თითოეული მოქალაქისთვის 100-ლარიანი დახმარებაც კი მნიშვნელოვანია, შენ 1200 ლარს იღებ და ქალაქს საბოტაჟს უწყობ, ნაგავში ახრჩობ ქალაქს, ვიღაცა გკარნახობს და ამას ასრულებ, მითხარით, ამას რა ჰქვია?!

**— ამას ჰქვია ღალატი, ამას ჰქვია სისხლის სამართლის დანაშაული, ქალბატონო ირმა, მაგრამ...**

— სწორედ ამიტომ ვყოფ პრობლემას ორ ნაწილად, ერთია — ვინც დაგეგმა, მეორეა — ვინც შეასრულა.

რვა თვეა დეპუტატი ვარ, ამ რვა თვის განმავლობაში არ მახსენდება არც ერთი დღე, არც ერთი სხდომა, სადაც ოპოზიციამ რამე რაციონალური თქვა, თუნდაც პრობლემა დააყენა სწორად. ეს ადამიანები სულ სხვანაირები არიან, სანამ მიკროფონი ჩაირთვება, მოდიან, რაღაცას გკითხავენ, უი, მართლა ასე აპირებთ? აბსოლუტურად სხვანაირები ხდებიან, როცა მიკროფონი ჩაირთვება, ხალხის დასანახად რაღაც უცნაურ და აგრესიულ კომენტარებს აკეთებენ. ეს ორსახოვნება, ეს გარდასახვა ჩემთვის იმდენად მოულოდნელი იყო, მე პროფესიით ექიმი ვარ, სულ ვიღაცის დახმარებაზე ვფიქრობ, ასეთი რამეს ვერ წარმოვიდგენდი. ეს ტრაგედიაა, აღარ აქვს მნიშვნელობა, ვინ არის ხელისუფლებაში და ვინ — ოპოზიციაში, ამ ქვეყანაში არ არსებობს ოპოზიციური პოლიტიკური ჯგუფი, რომლისთვისაც მეათეხარისხოვანი მაინც იქნება სახელმწიფო. უკვე ჩამოყალიბდა სტერეოტიპი, თუ რომელიმე პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი ხარ, უკვე ყველაფრის უფლება გაქვს. მე გეტყვით, რაც მოხდა — თავისუფლებასა და თავგასულობას შორის ზღვარი წაიშალა.



**— დიახ, სწორედ ასეა, მაგრამ ამათი თავხედობა რომ დანაშაულში გადაიზარდა, ამას რა ვუყოთ?**

— ამაზე მეც ბევრი მიფიქრია და იცით, პრობლემას რაში ვხედავ? ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა ადამიანებს მისცა თავისუფლება, მაგრამ სამწუხაროდ, ამ ახალგაზრდებს და ძველგაზრდებს არავინ ასწავლა, რა არის თავისუფლება და როგორ უნდა ყოფილიყო მართული ეს თავისუფლება. ვინც მაშინ 13–14 წლის იყო, დღეს უკვე სრულწლოვანია, მაშინდელ ბავშვებს დღეს უკვე დამახინჯებულად ესმით, რას ნიშნავს თავისუფლება. ალბათ მათთვის თავისუფლება უნდა ესწავლებინა ოჯახს, მშობლებს, ხელისუფლებას, სკოლას, საზოგადოებასაც.

**— რაღა ელენე ხოშტარიას და მის შვილებს, ნანუკა ჟორჟოლიანის შვილს, ბერძენიშვილების შვილს და საერთოდ, ამ „ნაციონალების" შვილებს მისცა „ქართულმა ოცნებამ" უკიდეგანო და დაუსჯელი თავისუფლება?**

— მე მაინც მგონია, რომ ეს არის გარდამავალი პერიოდი, სანამ წინ რაღაც დონეზე გაზრდილი თაობა არ წამოვა, ალბათ პრობლემები იქნება. ალბათ, ჩვენ და ჩვენნაირებმა რაღაც დოზით გარკვეული მსხვერპლი უნდა გავიღოთ. მე ტელევიზორის ჩართვაც აღარ მინდა, ბატონო გელა, ჩემი მეუღლე ჟურნალისტია, ამ პროფესიას დიდ პატივს ვცემდი, თუ ეს პროფესია როდისმე თავის ჩარჩოებს დაუბრუნდება, არ ვიცი.

**— უნდა დავაბრუნოთ... ჩემი აზრით, წინა პლანზე უნდა წამოვიდნენ წერა-კითხვის მცოდნე ჟურნალისტები.**

— წერა-კითხვას ვინ ჩივის, წაკითხულის შინაარსის გადმოცემა უჭირთ.

**— ვინც სასვენი ნიშნების დასმა არ იცის, ის ჟურნალისტი ვერ იქნება. ტელევიზორში თანთალა ხელების ქნევა, კოტიტა თითების გამოშვერა და ყვირილი არაფერს ნიშნავს. მე ამათ მოვუწყობდი გამოცდას, თუ რომელიმე განცხადებას დაწერს უშეცდომოდ, ბოდიშს მოვუხდი. თუმცა ასეთი არავინ მეგულება.**

— განცხადება რა საჭიროა, ამათი მეტყველება მოისმინეთ და სასვენ ნიშნებს დააკვირდით, მაგრამ მე უფრო სხვა რამეზე ვარ გაოგნებული, 2012 წლამდე ჩვენც ხომ ვიყავით ოპოზიციაში? მე პირადად რეპრესირებულიც ვიყავი და თავშიც ბევრჯერ მომხვედრია, მაგრამ აზრად არასოდეს მომსვლია, ანტისახელმწიფოებრივი მოწოდებები გამეკეთებინა, ან საბოტაჟი მომეწყო. ალბათ გახსოვთ, რამდენი ადამიანი გამოდიოდა რუსთაველზე და იპოდრომზე. სულ ვამაყობდით, ხიდან ერთი ფოთოლიც არ ვარდებაო.

**— სამაგიეროდ მიშა ყრიდა ბლომად ფოთლებს რუსთაველზე და მერე ვანო მერაბიშვილი ღებავდა წითლად.**

— მე სხვაგან მივდივარ... გავიგეთ, რომ ესენი არიან მტრები, მეც ვითხოვ ამათ დასჯას და უფრო მკაცრადაც ვითხოვ, მაგრამ უფრო მეტად შემსრულებლებზე მწყდება გული. იცით, რატომ მწყდება გული? ჩემი შვილიც ხომ ამ ქვეყანაში იზრდება, თქვენი შვილიც ამ ქვეყანაში იზრდება, ჩვენს თაობას კიდევ აქვს შემორჩენილი სწორი ღირებულებები, რა ეშველებათ ამათ, რომლებსაც არ ახსოვთ „ნაციონალური მოძრაობის" მიერ ჩადენილი უბედურება? რომლებსაც არ ახსოვთ, რა გადაიარა ხალხმა? ამათ მხოლოდ მოყოლილი ამბები იციან. გარდა ამისა, ამათ გონებაში ხომ ილექება ეს არაორდინალური საინფორმაციო ომის ელემენტები? მე თავის დროზე სასწრაფოზე ვმუშაობდი, სადაც კარგი ამბავი არასოდეს ხდება, სადაც მივიდოდი, ყველგან ცუდს ველოდებოდი. ახლაც ისე ვარ — ვიცი, ტელევიზორს რომ ჩავრთავ, აუცილებლად ცუდი უნდა გავიგო.

**— ცუდსაც გააჩნია, თქვენ აუცილებლად „ავნოდარას" და მის მსგავსთა მიერ შეთხზული ცუდი ზღაპრები უნდა გაიგოთ, რაც უთუოდ ცილისწამებაზეა აგებული.**

— ამ დროს უამრავი პოზიტიური რამ ხდება არა მხოლოდ ქალაქში, არამედ მთელ ქვეყანაში. ამათ საზოგადოებაში ჩანარგეს ჩაშვების, დაუნდობლობის ჩვეულება, „ნაცმოძრაობამ" უპირველესად მორალს დაარტყა და ეს გახდა პრიორიტეტული.

**— ნახეთ, კულტურის სამინისტროში რა მოხდა? ერთი წერა-კითხვის მცოდნე კაცი ჩასვეს ე.წ. მწერლების ჟიურის შემადგენლობაში და ნახეთ, როგორ წაესივნენ ვირთხებივით?**

— და იცით, რატომ? ჩემთვის გაუგებარია, როცა ამხელა სამინისტრო გამოყოფს თანხას, ჟიურის წევრად უშვებს ერთ ადამიანს, რომელიც არაფერში არ ერევა და ეს იწვევს ამხელა სკანდალს.

დღეს ჩვენ გვაქვს ორი მთავარი გამოწვევა — დაკარგული ტერიტორიები და სიღარიბე. თუმცა სიღარიბეც პირობით საკითხად გადაიქცა... ყველაფერი არის შედარებითი, მილიონნახევარი ადამიანი იყო სიღარიბის ზღვარს მიღმა, როცა ავადსახსენებელი „ნაცმოძრაობა" მართავდა ქვეყანას. მაშინ ხმას ვერავინ იღებდა, ამაზე არავინ ლაპარაკობდა. ეს ციფრი, მილიონნახევარი ჩამოვიდა 750 ათასამდე, განახევრდა. „ნაციონალები" მაინც მუდმივად აჯანჯღარებენ ამ ქვეყანას, მათ საზოგადოებაში ჩანარგეს შიში, რომელიც ბევრმა ჯერ კიდევ ვერ მოიშორა. ეს დიდი ტრაგედიაა. ესენი „ქართულ ოცნებას" კი არ ებრძვიან, ქვეყნის მოღალატეები არიან! როდესაც ხელისუფლებაში დაბრუნების სურვილი აჭარბებს შენი ქვეყნის კარგად ყოფნის სურვილს, ამას ჰქვია ღალატი!

**— თქვენ თქვით, სიღარიბე პირობითად გადაიქცაო... სხვათა შორის, ძალიან მაინტერესებს, რატომ ითვლება სოციალური დახმარებები სიღარიბის ინდიკატორად? მე ვიცი ბევრი მხართეძოზე წამოწოლილი, მაგ დახმარების გამო რომ არ მუშაობს, მომიხსნიანო. დავიჯერო, რომ გაუქმდეს, ამდენი ღარიბი დარჩება საქართველოში?**

— ახლა ჯანდაცვის მინისტრი, ეკატერინე ტიკარაძე, ეს უჭკვიანესი გოგო, რომელიც ყველაფერს აკეთებს პანდემიის პერიოდში, შეიმუშავებს სოციალურ კოდექსს, სადაც გაწერილი იქნება ძირითადი საკითხები. დღეს კერძო კლინიკების მფლობელების ნაწილი, თავის დროზე კაპიკებად რომ ჩაიგდეს ქონება ხელში, აწყობენ საბოტაჟს, ეს პრობლემაც მოსაგვარებელია. დასარეგულირებელია მედიკამენტების ხარისხი და ფასები. ტიკარაძე ამ ყველაფერს აკეთებს პარალელურად, იბრძვის. ესე იგი, რა გამოდის? მთელი ძალებით უნდა ებრძოლო „ნაცებს" და პარალელურად აკეთო საქმე. სასწაული ხდებოდა, არჩევნები გაგვიყალბესო. ვერ დაამტკიცეს ვერანაირად, მაგრამ 6 თვის განმავლობაში აჯანჯღარეს მთელი საქართველო.

ესენი არიან მავნებლები, ყველაფერს კადრულობენ, ყველაფერზე ხელს აწერენ. საერთაშორისო პარტნიორებს ეხვეწებიან, ჩვენს ქვეყანას სანქციები დაუწესეთო. მე ვფიქრობ, როგორც კი არჩევნები ჩაივლის... მარტო მე კი არ ვფიქრობ, თითქმის ყველა ამ აზრზეა, რაღაც რეფორმები უნდა გატარდეს არა მხოლოდ განათლების სისტემაში, არამედ ყველგან, კულტურაშიც. მაგალითად, მე იმ ჯგუფის წევრი ვარ, რომელიც დაჟინებით ითხოვს კანონს ცილისწამების შესახებ, ანუ სასჯელს ცილისწამებაზე.

**— ეგ ძალიან საინტერესო თემაა, ამას გუნდში განიხილავთ?**

— დიახ, ეს საკითხი განიხილება, ვნახოთ.

დღეს საინფორმაციო ველი საშინლადაა დაბინძურებული. მე ვფიქრობ, ამათი პარპაში ძალიან მალე დასრულდება.

**— დიდი მადლობა. იმედია, ყველაფერს გამოვასწორებთ და ეს ქვეყანა ნორმალურად დაიწყებს განვითარებას. გისურვებთ წარმატებებს.**

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

# ქართულმა ოცნებამ ღირსეული ნაბიჯი გადადგა, მაგრამ ახლა მთავარია ამ ღირსეულმა ნაბიჯმა ღირსეულ გამარჯვებამდე მიგვიყვანოს

*გვესაუბრება პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე:*

**— ბატონო რამაზ, შარლ მიშელის დოკუმენტი ანულირებულია. „ქართულმა ოცნებამ“ რა უთხრა ამით ქართველ ხალხს, დასავლელ პარტნიორებს?**

— „ქართული ოცნების“ მიერ გადადგმული ნაბიჯის გაგება, ძნელი არ არის. ზოგმა ჩათვალა, რომ ეს დასავლური კურსიდან გადახვევაა. ასეთი ვერსია, ჩემთვის, ცოტა ღიმილის მომგვრელია იმიტომ, რომ გეო-პოლიტიკური კურსის ცვლილებაზე ერთჯერადი აქტით დასკვნების გაკეთება, არასერიოზულია. არსად არ იკვეთება, რომ „ქართულმა ოცნებამ“ დასავლურ კურსზე უარი თქვა. პირიქით, ისეთი პოზიტიური შედეგები, დასავლეთთან ურთიერთობაში, რაც ახლა გვაქვს, აქამდე, არასდროს ყოფილა. მავანი, უცებ,



ამ მოვლენის გამო ალაპარაკდა: კურსი შეიცვალაო რაც აბსურდია. ვინმეს კურსის ცვლილება რომ მოენდომებინა, ეს, ნელ-ნელა მოხდებოდა, რაც ბუნებრივი იქნებოდა. ამიტომ, ეს ვერსია არადამაჯერებელია მიუხედავად იმისა, რომ დასავლელი პარტნიორებიც ამაზე აპელირებენ. აქვე, არსებობს მეორე ფაქტორი, რაც ბევრმა ანალიტიკოსმა, პოლიტიკოსმაც ახსენა. კერძოდ, ის, რომ „ქართულ ოცნებას“ 43%-იანი ბარიერის შეეშინდა. დოკუმენტის თანახმად კი იძულებული იყო პირობა შეესრულებინა, ამიტომ ამ ხელშეკრულებიდან გამოვიდა. ეს ვერსია უფრო დამაჯერებლად მიმაჩნია, თუმცა ეს მოტივი თუ რეალურია, „ქართული ოცნების“ მხრიდან საკმაოდ ჭკვიანური ნაბიჯია. დავუშვათ, „ქართულმა ოცნებამ“ ვერ მიიღო 43% და რიგგარეშე არჩევნების ჩატარება მოუწია. ეს, ისევ და ისევ „ქართული ოცნების“ გამარჯვებით დასრულდებოდა. წინა ინტერვიუებში, როცა ამ თემაზე ვსაუბრობდით, მაშინაც ვთქვი: დანიშნონ რიგგარეშე არჩევნები და მოიგებენ-მეთქი. სოციოლოგიური გამოკვლევები მიუთითებდა, რომ „ქართული ოცნება“ მოიგებდა. თუ სოციოლოგია გეუბნება რომ მოიგებ, რაღას ელოდები — ჩაატარე, რა და მოიგე. მაგრამ „ქართულ ოცნებას“ ერთი პრობლემა აქვს — გარდამავალ ასაკში ბიჭებს მამლაყინწობა რომ ახასიათებთ, ხომ იცით, აი, სწორედ ასე არიან. „ქართულ ოცნებას“ ეტყობა, დათმობა უჭირს მაშინაც კი, როცა იცის, რომ მოიგებს. ხომ შეიძლება ერთი ნაბიჯით დაუთმო. ლენინის სიტყვები გავიხსენოთ: ერთი ნაბიჯი წინ, ორი უკან. ლენინი რასაც ამბობდა, პოლიტიკურად გამართლებული იყო — შეიძლება დღეს რაღაც დათმო, მაგრამ ხვალ მოიგო. მაგალითად, ჭადრაკში რაღაც დათმო, მაგრამ მერე, პარტია მოიგო. ამის მაგალითები უამრავია. როგორც ჩანს, „ქართულ ოცნებას“ ამის გაკეთება უჭირს. ხისტად ნაწარმოები პოლიტიკა, წამგებიანია, ელასტიური უფრო იმარჯვებს. მოგახსენებთ, რატომ არის ხისტი პოლიტიკა წამგებიანი. ერთი ამბავია ატეხილი გახარია „ნაციონალიაო“. ამ მოსაზრებას, შეიძლება, ბევრი აჰყვეს, ბევრისთვის კი მიუღებელი იყოს. ფაქტია, რომ უცხოელების თვალში „ქართული ოცნება“ მათი ხაზის გამტარებელ პარტიად აღარ აღიქმება. მეტიც, დასავლეთისთვის იგი პარტნიორი პარტიაც აღარ არის. ასე, რომ ხელშეკრულებიდან გამოსვლას, ეს წამგებიანი მხარეც ახლავს. ვიმეორებ, ჩემთვის, გაუგებარი სულაც არ არის რატომ დატოვა „ქართულმა ოცნებამ“ეს დოკუმენტი, მაგრამ დასავლური სტანდარტი ასეთია — რაც ითქვა, უნდა შესრულდეს. ამაზე დგას ევროპული ცივილიზაცია.

**— შარლ მიშელის დოკუმენტს ოპოზიცია არ ტოვებს. ამით რა იცვლება?**

— ოპოზიციასაც რომ დაეტოვებინა შარლ მიშელის დოკუმენტი, მაშინ კობახიძის სიტყვებიც გამართლდებოდა და მათ ქუჩაში გასვლა მოუწევდათ. ოპოზიციას ურჩევნია ქუჩაში გავიდეს — ეს აზრი ხომ სულ მუსირებს. ეს მართლაც რეალურად მიმაჩნდა. თუმცა, ფაქტია ოპოზიციამ ტაქტიკა შეცვალა და ქუჩაში აღარ გავიდა. ზურაბ ჯაფარიძემ კი თქვა: რადგან „ქართული ოცნება“ ხელშეკრულებიდან გავიდა, მე პარლამენტი დავტოვეო. იგივე, შეეძლო ეთქვა მთელ ოპოზიციას. გიგა ბოკერიამ ისიც კი აღნიშნა: საერთოდ არ მესმის, რატომ არიან პარლამენტშიო. ასე, რომ არსებობდა ლოგიკა, რის მიხედვითაც ისინი ქუჩაში უნდა გამოსულიყვნენ, მაგრამ გადაწყვიტეს ეს მოდელი რასაც კობახიძე მოსახლეობას სთავაზობდა დაენგრიათ — ოპოზიცია ქუჩაში გამსვლელთა ერთობააო. ოპოზიციამ გათვალა, რომ პარლამენტში ყოფნით უფრო მეტი მომხრე ეყოლებათ, ვიდრე ქუჩაში გაქცევით. ამიტომაც დარჩნენ. მათი პრობლემა რადიკალიზმი იყო, რაც სააკაშვილის გადამკიდე ვერ მოიშორეს. ახლა, აღარც სააკაშვილი იძახის: რევოლუცია მოახდინეთო. მათ მიეცათ შესაძლებლობა პარლამენტში დარჩნენ და ზომიერი საპარლამენტო ოპოზიციის როლი მოირგონ. ანუ, არარევოლუციური ოპოზიციის როლის მორგება გადაწყვიტეს. ეს მათთვის მომგებიანი იქნება იმიტომ, რომ დესტაბილიზაციის მოწყობის შემთხვევაში უფრო ნაკლები ხალხი გაჰყვება, ვიდრე არარევოლუციურ სცენარში. ნებისმიერ ქვეყანაში რევოლუციების, გადატრიალებების მომხრე ძალიან ცოტაა. თუკი ცვლილებები რევოლუციების და ძალადობის გარეშე მოხდება, ამას გაცილებით მეტი მომხრე ეყოლება. აი, ამიტომაც გადაწყვიტა ოპოზიციამ პარლამენტში დარჩენა.

**— დოკუმენტზე ხელი საერთოდ არ მოუწერია „ნაცმოძრაობას“. თითქოს, „ქართული ოცნების“ მიერ გადადგმული ნაბიჯის მიზეზიც ეს იყო.**

— შესძლოა ამ მიზეზით ხელშეკრულებიდან გახვიდე, მაგრამ ამ საბაბის გასვლის დღეს გამოცხადება, გაუგებარია. ისე, გამოვიდა, თითქოს, „ქართულმა ოცნებამ“ 100 დღის შემდეგ აღმოაჩინა, რომ „ნაცმოძრაობამ“ დოკუმენტს ხელი არ მოაწერა. ეთქვათ, თუნდაც, 50 დღის მერე: თუ 100 დღის ბოლოს დოკუმენტი ხელმოუწერელი იქნება, ჩვენ მის ანულირებას მოვახდენთო. ამას ხომ თამაშის წესები ითხოვს?! გასვლა შეიძლება, მაგრამ უნდა განაცხადო. ამიტომ არის მათი გასვლა არადამაჯერებელი. მეორეც, არის კიდევ ერთი მომენტი: „ნაცმოძრაობამ“ ხელი არ მოაწერა, დანარჩენებმა ხომ მოაწერეს. დანარჩენი ოპოზიციური პარტიების დისკრიმინაცია არ შეიძლება. პატივი ერთკაციან პარტიასაც კი უნდა სცე.





**— შარლ მიშელის განცხადება, საკმაოდ, მოზომილი იყო. რით არის ყოველივე განპირობებული?**

— ხომ გაგიგონიათ: სახელის გატეხვას, თავის გატეხვა სჯობიაო. აი, ეს არის ხიფათის შემცველი, თორემ, დასავლეთი, რა თქმა უნდა, საქართველოსთან ურთიერთობას არ შეწყვეტს. ჩვენი ქვეყანა მათთვის მნიშვნელოვანია. ბუნებრივია, მას ასე ადვილად არ დათმობენ. თუმცა, დასავლეთმა აღნიშნა: საქართველო და ქართველი ხალხი უკეთეს პოლიტიკურ ძალებს იმსახურებენო. ეს, იგივეა: ხელისუფლება როგორც პოლიტიკური ძალა, არ გივარგათო.ე.ი. მათ აწყობთ ამ პოლიტიკური ძალის შეცვლა, რაც ისედაც აშკარაა და ეს წყალს ისევ და ისევ გახარიას წისქვილზე ასხამს.

**— დესტაბილიზაციის საფრთხე არსებობს?**

— დესტაბილიზაციის საფრთხე არ არსებობს. ფაქტია, ნაცებს ამის სურვილი აქვთ, მაგრამ ამის განხორციელებას ვერ ახერხებენ. გახარიას მხრიდან დესტაბილიზაციის შექმნა, გამორიცხულია. მას მიაჩნია, რომ არჩევნებს პოლიტიკური ბრძოლით მოიგებს. ბუნებრივია, ქაოსი და არეულობა არც „ქართულ ოცნებას“ აწყობს. ასე, რომ ეს საფრთხე არ არსებობს.

**— მოსალოდნელ სანქციებზე რას იტყვით?**

— ასეთ დროს, მოსახლეობას შემდეგი ლოგიკით სჯიან-ხოლმე: ხალხო, თუ გინდათ, რომ აღარ დაისაჯოთ, სხვა ხელისუფლება აირჩიეთო. კი, ამით ქართველი ხალხი ისჯება, მაგრამ დასავლეთი ამ ნაბიჯზე უარს არ ამბობს, რადგან ხელისუფლებას არ ენდობა. წეღან მკითხეთ: რით იყო გამოწვეული შარლ მიშელის შერბილებული ტონი მომხდართან დაკავშირებით? შარლ მიშელის განცხადება მოზომილი იყო იმიტომ, რომ მას სურს მხარეები ამ ხელშეკრულებასთან დააბრუნოს. თუმცა, კობახიძემ თქვა: ჩვენ, პატარა ბავშვები კი არ ვართ, ერთ დღეს გამოვიდეთ და მეორე დღეს უკან შევიდეთო. დასავლეთიდან სიჩუმეა იმიტომ, რომ ამ მიმართულებით, სიტუაცია ჯერ არ გარკვეულა.

კობახიძემ განაცხადა: თუ ვადამდელ არჩევნებს ჩავატარებთ, ეს, უკვე, ჩვენი გადაწყვეტილება იქნება და არა ვინმეს ნაკარნახევიო. ვადამდელი არჩევნები შარლ მიშელს არ მოუსურვებია. 43% კობახიძემ ახსენა როგორც ხელისუფლების მხრიდან კომპრომისის მაგალითი. მან თქვა: 43%-ს თუ ვერ ავიღებთ, ვადამდელ არჩევნებს ჩავატარებთო. ასე, რომ ეს პირობა თავად „ქართულმა ოცნებამ“ დადო.

**— კობახიძის ნათქვამი: თუ ჩავთვლით საჭიროდ თავად ჩავატარებთ ვადამდელ არჩევნებსო, ეს ხომ ნიშნავს შემდეგს: თქვენს მითითებებს აღარ შევასრულებთ, ჩვენს ბედს თავად გადავწყვეტთო?**

— კი, კი ასეა — ხელშეკრულებიდან გამოსვლის ფაქტს ძალიან ბევრი მომხრე ჰყავს, ამბობენ: როგორც იქნა ქართულმა მხარემ ღირსეული ნაბიჯი გადადგაო. სრულად ვეთანხმები, ეს ღირსეული ნაბიჯი ნამდვილად მისასალმებელია. თუმცა, როცა ამბობ: ხელშეკრულებიდან გამოვდივარო, ასე, წამგებიან მდგომარეობაში ხარ. მაგალითად, მე, არ მაწყობს, რომ „ქართული ოცნება“ წამგებიან მდგომარეობაში იყოს. გაიმარჯვებს, ამას მივესალმები, ოღონდ მინდა, რომ მან მომგებიანი პოზიციიდან გაიმარჯვოს.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24



# თანამედროვე პროლეტკულტელები და „წმინდანთა“ დისციპლინა...

## წინასიტყვაობის მაგიერ

თეა წულუკიანის კულტურის მინისტრად დანიშვნას ის ადამიანები აპროტესტებენ, რომლებსაც მხედრიონელი ნიკა რურუა ჰყავდათ მინისტრად და ეს ამბავი სულაც არ ეთაკილებოდათ.

დღეს კულტურის მინისტრად დანიშვნა ნიშნავს „ნაციონალური მოძრაობის“ საკმაოდ მრავალრიცხოვანი ფილიალის ხელმძღვანელად რომ გაგამწესონ, ისე არის გადაჭედილ-გადავსებული კულტურის სფერო ნაციონალების მიერ დატოვებული კადრებით, რომლებიც 2004 წლიდან მყარად სხედან იმ სტრუქტურებში, რომლებსაც ქართული კულტურის მოვლა-პატრონობა და მის განვითარებაზე ზრუნვა ევალება.

შეიძლება ვინმემ მისაყვედუროს — რატომ ლაპარაკობთ თქვენ „ნაციონალურ“ კადრებზე ისეთი ტონით, თითქოს ნაცები კეთროვანები იყვნენ? განა ისინიც ქართველები არ არიან და საქართველოს არ ემსახურებიან?

არა, ნაციონალები საქართველოს კი არა, სულ სხვა იდეოლოგიას ემსახურებიან, რომელიც თავისი არსით ანტიქართულია, ანტისახელმწიფოებრივია, ხოლო კულტურა ნაციონალების ხელში სწორედ ამ ანტიქართული იდეოლოგიის სამსახურში იქნა ჩაყენებული.

საუბედუროდ, მთელი ამ ხნის განმავლობაში ვერ მოხდა ობიექტური, მიუკერძოებელი, კვალიფიციური ანალიზი იმ იდეოლოგიური საფუძვლებისა, რასაც „ნაცმოძრაობა“ ეყრდნობოდა და ემსახურებოდა.

ჩვენ ბევრს ვსაუბრობთ იმ შემაძრწუნებელ დანაშაულებზე, რომლებიც ნაციონალებს აქვთ ჩადენილი, მაგრამ არ ვსვამთ კითხვას — რატომ აკეთებდნენ ნაციონალები იმას, რასაც აკეთებდნენ? რა იყო ეს, მათი დაბადებიდანვე თანდაყოლილი მანკიერი თვისებებისა და ფსიქიკური გადახრების გამოვლინება თუ პუნქტობრივად და მუხლობრივად გაწერილი გეგმის თანმიმდევრული და მიზანმიმართული განხორციელების მცდელობა?

სააკაშვილის კარის პოეტებს და მწერლებს, სააკაშვილის კარის მუსიკოსებს და თეატრალებს, სააკაშვილის კარის მხატვრებს და „კინოშნიკებს“ თეა წულუკიანის კულტურის მინისტრად დანიშვნა, ცხადია, არ გაუხარდებოდათ, რადგან მისი დანიშვნით ჩნდება საშიშროება, დაინგრეს ის ხუხულა, რასაც „ნაცმოძრაობის“ მიერ ლობირებული „კულტურული“ მემკვიდრეობა ჰქვია.

ფუჭად დაკარგული ცხრა წლის შემდეგ თეა წულუკიანის გამინისტრებით პირველად ჩნდება შესაძლებლობა, „ნაცმოძრაობის“ მიერ დეფორმირებულმა და დამახინჯებულმა ქართულმა კულტურამ თავისი ნამდვილი სახე დაიბრუნოს.

„საერთო გაზეთის“ ამ ნომერში გთავაზობთ ამავე გაზეთში რამდენიმე წლის წინათ გამოქვეყნებული ერთი წერილის ფრაგმენტებს, სადაც შეძლებისდაგვარად გახსნილია „ნაცმოძრაობის“ იდეოლოგიის მთავარი საიდუმლო, ამ იდეოლოგიის კარგად შენიღბული და დაფარული ანატომია.

ვახტანგ ხარჩილავა

ეს დრო რაღაცით ჰგავს გასული საუკუნის 20-იან წლებს, როცა ქართულ მწერლობას ათასი ჯურის ლიტერატურული მიმდინარეობები მოეძალა, პოეტის სახელი კი დებოშიორ, მოხულიგნო, ნიადაგ მთვრალი და გაბრუებული ადამიანის სინონიმად იქცა, რომელიც მთლად ვერ იყო საღ ჭკუაზე, ანუ ცოტას აფრენდა.

სამწუხაროდ, ეს გაუკულმართებული წარმოდგენა პოეტზე დღემდე ბოგინობს ჩვენს საზოგადოებაში, რასაც ხშირად თავად პოეტებიც უწყობენ ხელს.

არადა, ქართულ სინამდვილეში პოეტები იყვნენ მეფეები, მხედართმთავრები, სახელმწიფო მოღვაწეები.









კიდევ ერთი ნიშნით ჰგავს ეს დრო გასული საუკუნის არა 20-იან, არამედ 30-იან წლებს.

ასე მაგალითად, ერთ-ერთი პოეტი, რომელიც ლიტერატურული წარმოშობით ზუსტად გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან არის, თუმცა მან ამის შესახებ შეიძლება არც იცის, ამბობს: „ჩვენ, მწერლები და პოეტები, ხანდახან ვთვრებით და ხანდახან ვიგინებით კიდეც (მაგალითად, ასე: მოძალადე პოლიციელებო, თქვენი ოჯახები მოვტყან!) და აწი, უფრო ხშირად დავთვრებით და უფრო ხშირად შევაგინებთ მოძალადე „გაიშნიკებს“.

ამის მთქმელს და მის ამფსონებს რომ ჰკითხო, ისინი დემოკრატიული, ევროპული ყაიდის საქართველოსთვის იბრძვიან და იღვწიან, ოღონდ იმას არ შიფრავენ, რატომ უნდა გაკეთდეს ეს კეთილშობილური საქმე მაინცდამაინც სიმთვრალეში და მაინცდამაინც გინებით?

გინებაც ძალადობის ერთ-ერთი ფორმაა და როცა ძალადობის ძალადობით აღმოფხვრას ცდილობ, შენც მოძალადე ხარ და არავითარი მნიშვნელობა არ აქვს იმას, პოეტი ხარ, ხარატი თუ ქვისმთლელი, ხოლო, როცა ვიღაცას (ოჯახს შეუგინებ, შეიძლება იმ ვიღაცამ თავ-ყბა გაგიერთიანოს და ეს არ უნდა გაგიკვირდეს, რადგან თავად ხარ შენზე განხორციელებული ძალადობის გამომწვევი პროვოკატორი.

●

XX საუკუნის 30-იან წლებში ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, მწერლობაში პარტიული გაწვევა გამოეცხადებინა.

პარტიული დავალებით კომუნისტები და კომკავშირლები – ფეიქრები, ზეინკლები, ხარატები, კოლმეურნეები, პარტიული აქტივისტები პირდაპირ ინიშნებოდნენ პოეტებად, მწერლებად, ჟურნალისტებად, კრიტიკოსებად.

ასე ჩამოყალიბდა პროლეტკულტელთა კასტა, რომელმაც კლასობრივი ბრძოლა გამოუცხადა ნამდვილ მწერლებს, ნამდვილ ხელოვანებს და რეპრესიების პერიოდში ლომის წილი შეიტანა მათ ფიზიკურ განადგურებაში.

ბოლო ათი-თხუთმეტი წლის განმავლობაში ლიტერატურულ არენაზე მწერლებისა და პოეტების სახელით გააქტიურებულ ადამიანთა ერთ ჯგუფს რომ ვუყურებ, ასე მგონია, პროლეტკულტელებივით ესენიც ვიღაცამ დანიშნა მწერლებად და პოეტებად, მისცა ფართო ასპარეზი, გზა გაუხსნა დასავლეთისკენ, დაუთმო ტრიბუნა, დაუფინანსა წიგნები, ჩამოურიგა პრემიები, სანაცვლოდ კი ზუსტად ის დაავალა, რასაც გასული საუკუნის 30-იან წლებში ავალებდნენ პარტიული ბოსები რევკომის სხდომებზე მწერლებად და პოეტებად „ნაკურთხ“ ადამიანებს.

მორალური და ზნეობრივი კანონების იგნორირება, ტრადიციების მსხვრევა, მწერლობისა თუ ხელოვნების სხვადასხვა დარგებში საზოგადოების მიერ აღიარებული და დაფასებული ადამიანების და მათი შემოქმედების აბუჩად აგდება და გაბიაბრუება, სექსუალური აღვირახსნილობის პროპაგანდა, თაობათა დაპირისპირების მცდელობა, პატრიოტიზმის და სამშობლოსადმი განსაკუთრებული დამოკიდებულების ჩამორჩენილობად და პროვინციალიზმად შერაცხვა, კოსმოპოლიტური იდეების წინ წამოწევა და ფართოდ რეკლამირება, ულმერთობის, ურწმუნობის ქადაგება და ადამიანის სრული გათავისუფლების მცდელობა ყოველგვარი მოვალეობებისგან – აი, იმ „ღირებულებათა“ არასრული ჩამონათვალი, რომლებიც გასული საუკუნის 30-იანი წლე-









ბის პროლეტკულტელების და თანამედროვე პროლეტკულტელებისთვის საერთოა.

●

XX საუკუნის 30-იან წლებში ქართველმა პროლეტკულტელებმა მთავარი დარტყმა ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ განახორციელეს.

ილიას შემოქმედებას, მის პიროვნებას, მის მოსაზრებებს კარგა ხნის განმავლობაში უშვერი სიტყვებით ლანძღავდნენ და ეს გრძელდებოდა მანამ, სანამ სტალინმა მაგიდას არ დაარტყა მუშტი და დაუკრეფავში გადასულ ილიას კრიტიკოსებს არ დაუცაცხანა: – ილიას რომ ლანძღავთ, მასზე დიდი პიროვნება ქართველებს ვინ გყოლიათო?

„დიდმა“ ლიბერალმა, ქართველ ლიბერალთა გურუმ და მასწავლებელმა ლევან ბერძენიშვილმა წარმატებით აიტაცა 30-იანი წლების პროლეტკულტელთა ესტაფეტა და ჯერ ილიას, შემდეგ კი ვაჟა-ფშაველას წამოარტყა თავში: – ესენი რა პოეტები და რა მწერლები არიანო?

ბერძენიშვილის კოლეგამ და თანაპარტიელმა, ასევე „დიდმა“ ლიბერალმა, დავით უსუფაშვილმა, რომელიც ბედის ირონიით ოთხი წელი ედგა სათავეში საქართველოს პარლამენტს, საერთოდ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ყველაფერი ის, რასაც ილია, ვაჟა, აკაკი, ზოგადად, მთელი ქართული მწერლობა თავისი არსებობის მანძილზე ემსახურებოდა და რასაც გალაკტიონმა „სამშობლოს გრძნობა განსაკვირველი“ უწოდა.

– მე არ ვეტყვი ჩემს შვილებს, გიყვარდეთ სამშობლო-მეთქი. მე მინდა, ისინი თავისუფალ ადამიანებად გაიზარდონ, მერე კი გინდ სამშობლო შეიყვარონ, გინდ ქალი. – აი, ამ შინაარსის „სიბრძნე“ გადმოაფრქვია ლიბერალმა დავითმა, რითაც, ფაქტობრივად, გათქვა ის პირველწყარო, ის იდეოლოგია, საიდანაც ეს განცხადება იღებს სათავეს.

დიახ, მწყობრად ჩამოყალიბებული იდეოლოგიაა ის, რასაც ზოგჯერ ცალკეული ჭკუანაღრძობი თუ ზნეობამოშლილი პერსონების მარეხლურ გამოხტომებად ვიღებთ ხოლმე და, აქედან გამომდინარე, ამგვარ გამოხტომებს არც დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ და არც დიდი საფრთხის შემცველ მოვლენად აღვიქვამთ.

ესენი, ეს თანამედროვე პროლეტკულტელები, ცუდად იცნობენ კი არა, საკუთარი პერსონების „სიდიადით“ მონუსხულნი და დაყრუებულ-დაბრმავებულნი, საერთოდ არ იცნობენ იმ ატმოსფეროს, რომელიც ოქტომბრის რევოლუციიდან, ანუ 1917 წლიდან 1930 წლამდე სუფევდა „წითელ“ რუსეთში, თორემ იმდენ მსგავსებას დაინახავდნენ მათსა და იმ პერიოდის კომკავშირლებსა და პარტიულ აქტივისტებს შორის, თვითონვე გაოცდებოდნენ.

მათ ძალიან გაუკვირდებათ, თუ ვიტყვი, რომ წითელ რუსეთში პირველი დეკრეტი სექსუალურ საკითხებთან დაკავშირებით გამოიცა, რომლითაც ადამიანებს სრული სექსუალური თავისუფლებისკენ მოუწოდებდნენ.

კომკავშირელ გოგონას დიდ პარტიულ ცოდვად, ლამის პარტიის ღალატად ეთვლებოდა, თუ კომკავშირელ ბიჭუნას სექსუალური ჟინის დაკმაყოფილებაზე უარს ეტყოდა.

სწორედ მაშინ შეიქმნა პირველი საცდელ-ექსპერიმენტული კომუნები, სადაც ყველაფერი საერთო იყო, მათ შორის, ქალიც და კაციც.

ქალი კომუნის წევრი ყველა მამაკაცის ცოლი იყო, კაცი კომუნის წევრი ყველა ქალბატონის ქმარი.

ხოლო ამ იდეოლოგიის ავტორი და მამათმთავარი ლეიბა ბრონშტეინი, იგივე ლევ ტროცკი, თავად იყო მამათმავალი და იმ საყოველთაო სიდუხჭირის ჟამს განსაკუთრებით მდიდრულ სექსუალურ ცხოვრებას ეწეოდა.

ყოველივე ამას იმასაც თუ დავუმატებთ, რომ წითელი რუსეთის პირველი მთავრობის 23 წევრიდან 20 ებრაელი იყო, შეიძლება დავასკვნათ, რომ 1917 წლის ოქტომბრის თვეში პროლეტარიატის სახელით მომხდარი რევოლუცია სულაც არ იყო პროლეტარიატის რევოლუცია.

ლიბერალურ-სიონისტური იდეების ნაშავით ნასაზრდოები ეს დიდი შეთქმულება კაცობრიობის წინააღმდეგ, რომელსაც დაუზუსტებელი ინფორმაციით, 20 მილიონამდე მართლმადიდებელი ქრისტიანის სიცოცხლე შეეწირა, სხვადასხვა ვარიაციებით დღემდე გრძელდება და გრძელდება იგი საქართველოშიც, რომლის ავანგარდში ე.წ. ლიბერალები დგანან, ხოლო მწერლები და პოეტები, რომლებსაც ზემოთ თანამედროვე პროლეტკულტელები ვუწოდეთ, სწორედ რომ ამ ლიბერალური იდეების რუპორები და გამხმოვანებლები არიან თავიანთი შემოქმედებით.

ჩვენ გვგონია, რომ ეს ბულაძეები, ბურჭულაძეები, დეისაძეები, ქარუმიძეები, შამუგიები, ამაღლობლები, სხვანი და სხვანი, მანიაკალური მისწრაფებების, სექსუალურად აღვირახსნილი და გაუწონასწორებელი ადამიანები არიან და ამიტომ წერენ ამ სულელურ ტექსტებს, თუმცა, სინამდვილეში, საქმე სულ სხვაგვარად არის – მათ იციან, რასაც აკეთებენ და რატომაც აკეთებენ, მათ იციან, რასაც ემსახურებიან და ისიც იციან, რომ ეს სამსახური აუცილებლად დაუფასდებათ.





ისინი ჩვეულებრივი იდეოლოგიური მუშაკები, იდეოლოგიური დესანტის წარმომადგენლები არიან, რომლებიც დიდად არაფრით განსხვავდებიან, ვთქვათ და, ალე ფეოდოსიშვილისგან, რომელიც ასეთ რაღაცას ამბობდა: „დედას მოვკლავ და დავახრჩობ მამას, რევოლუცია თუ ითხოვს ამას“.

ესეც ზუსტად ის რევოლუციაა, რის გამოც ამხანაგი ალე მზად იყო, დედა მოეკლა და მამა დაეხრჩო.

დიახ, ეს ერთი და იგივე რევოლუციებია, ოღონდ სხვადასხვა სახელით და სხვადასხვა ვარიაციებით.

ესენიც, ეს თანამედროვე პროლეტკულტელებიც, პირველყოვლისა, დედ-მამას ერჩიან, საკუთარ სამშობლოს ერჩიან, ეროვნულ ფასეულობებს და ღირებულებებს ერჩიან და რაც ყველაზე ამაზრზენია – ერჩიან, ზოგადად, ადამიანს.

მათთვის ადამიანი ის ქმნილება კი არ არის, რომელიც ღმერთმა შექმნა სახედ თვისა, არამედ ეს არის ნახევრად პირუტყვი, სექსუალურ ინსტინქტებს დამონებული, სასტიკი, საზარელი და უბადრუკი არსება.

აქედან ერთი ნაბიჯია დასკვნამდე: უბადრუკია ისიც, ვინც ეს უბადრუკი არსება შექმნა...

●

ახლა კი პატიების თხოვნით და დიდი ბოდიშის მოხდით მინდა მკითხველ საზოგადოებას შევთავაზო რამდენიმე ფრაგმენტი თანამედროვე პროლეტკულტელების შემოქმედებიდან:

„მიდგება, როცა ტუალეტში შევალ, საიდანაც ეს-ესაა დედაჩემი გამოვიდა და იმის ბაყვებით შემთბარ უნიტაზზე ჩამოვჯდები“...

„ქალები ორ ნაწილად იყოფა – ვინც ყლაპავს და ვინც იგუბებს. დაკვირვებული ვარ: ვინც იგუბებს, უკეთეს მინეტს აკეთებს, ვიდრე ის, ვინც ყლაპავს. რასაკვირველია, ეს კანონზომიერება სულაც არაა, უბრალოდ, ჩემი გამოცდილებით ასე ვიცი. მაგალითად, ბობო არ ყლაპავს, მაგრამ მინეტს ქალღმერთივით აკეთებს. რომ ვათავებ, პირი სპერმით ევსება, გული კი ლოცვებით. აი, ესაა ნამდვილი მინეტი. წმინდანთა დისციპლინა – პირში სპერმა, გულში ლოცვა, ხელში – ყლე“.

„აი, პატრიარქი, რომელსაც სინამდვილეში ფრთები აქვს და ღამით გლდანის მასივის თავზე დაფრინავს. აი, ცირკი, აი, ბოზი, პანელზე მდგარი, აი, მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი, რომლებიც, იდეაში, ნეტარ არიან, აი, დიდძუძუებიანი ქართლის დედა და პატარაძუძუებიანი ქართველი ვარსკვლავი, თბილისის მერი, აი, გალაქტიონის მერი, აი, მსუქანი მერი, ჭანტურია – ჩემი მეზობელი, აი, ინგა გრიგოლია, აი, პრეზიდენტი. აი, თითი, კერძოდ კი შუა თითი, აი, ვარაზისხევი, აი, შუქნიშანი, აი, ერი, რომელიც წითელზე გადადის. რა დასამალია და, ხანდახან მწვანეზეც გადავდივართ. აი, მწერალთა კავშირი, აი, თამაზ წივწივაძე, რეზო ამაშუკელის წიგნით ხელში, აი, მეორადი მოხმარების ტანსაცმელი. აი, ჩემი ლექტორი გრივერ ფარულავა, აი, ქართული სუფრა, აი, „ასავალ-დასავალი“, აი, ქალწულობის შემნახველი სალარო, აი, ეროვნული სული, აი, ცივილიზაცია, აი, ჩვენ“.

– „აქებდე იმას, რომელსაც ჩვენში უთვალავი შესატყვისი აქვს. მადლობა უფალს, დიახაც, უთვალავი. მაგალითადრე, სირი, შიბლა, დიშლა, ბალაყანა, ტინკი, ვინკი, კუტუ, ჭუჭუ, ჭუჭულიკა, კიტრი, ყლე, როგორც საბაც განმარტავს, როგორც მამაკაცის სარცხვინელს. ბარემ აქვე, სარცხვინელი. მადლობა უფალს შაბანა, შამბალა, წუნურა, პიტალო, საოხრე, სამგლე, ჩოილარი, სამში გრძელი, ბანჯგვლიანი ნაგავი. მადლობა უფალს!“

„გვერდით თეთრთავსაფრიანი ქალები შექუჩულან. კვარცხლბეკივით ამაღლებულ ალაგას, მანაზე, რამდენიმე თხა დაუბამთ და იმათ წინაშე იჩოქებენ. თხები შარდავენ. დაჩოქილი ქალები კი შარდის ჭავლს პირებს უხვედრებენ და დალევას ლამობენ. მლაშე შარდს რომ გადაყლაპავენ, თავსაფრის კიდით ტუჩებს მოიწმენდენ და ჩურჩულით იტყვიან: მარილი ჩვენი მოგვეც ჩვენ, ჯიმშერ!“

„სწორედ იქ, თამარის შავ მურყვამთა შორის უნდა მოვტყნა მოტყინარე ტყვნითა.

კოიტუსი, როგორც კოსმოსი, უსასრულოდ მცირე და უსასრულად დიდი, ერთიან ველში ექცევა – ტოტალური შემოქმედების ველში“.

„არაერთხელ მიფიქრია მშობლების ჩაძაღლებაზე.

მე ვწოვდი ძუძუს, რომელიც, შესაძლოა, სექსუალური აქტის დროს მამაჩემს ედო პირში... აბაზანაში ბანაობისას ვიბანდი

12 გვ.

# თანამედროვე პროლეტკულტელები და „წმინდანთა“ დისციპლინა...

← 11 გვ.

იმავე საპნით, რომლითაც, შესაძლოა, დედაჩემმა გაუპარსავი ფანჩარი გაიქაფა.

მე საკუთარ პენისს ვეალერსები.

ეს სექსის ახალი ვარიაციაა. საპონი ტესტია.

ამ ყველაფერს მივესალმები ისევე, როგორც დაიკოს ფარულ მასტრუბაციებს, რომელთა წარმოდგენისას სიცილისგან შარვალში გამდის“...

„განათლების მიღება საპირფარეშოშიც შესაძლებელია და არათუ შესაძლებელი, ზოგჯერ ძალიან სასიამოვნოც კი. გვარებს არ დავასახელებ, მაგრამ, ისეთი ავტორებიც კი ვიცი, ვინც საპირფარეშოში არათუ კითხულობს, წერს კიდევაც“.

„ყველა ლექსი, ალბათ, დაწერილი მაქვს სველ წერტილში. ყველა ლექსი, იმიტომ, რომ, შევდივარ წიგნებით, ფურცლებით და ა. შ... უნდა ითქვას ეს ერთხელ და სამუდამოდ. ასე რომ, ყველაზე დიდი ხელოვნება, დიახაც, იქმნება და იკითხება სწორედ ამ ადგილზე, სადაც მარტო ხარ“...

„ადამიანის თავზე დანთხეული ფეკალიები და თესლი მოიყვანს ახალ ცხოვრებას, როგორც წვიმას, რომელიც დანამავს ღალიან მინდვრებს და იმდენად მოაშენებს თავისუფლების მეომრებს ხოლო მერმე ამათ, თავისუფლების ამ მეომრებს მოიმკიან, გათიბავენ და გალეწავენ და მათი დაფქვილი იფქლიდან მოზელენ ცომს, რომელსაც თავისუფლების ქალები თავის მენსტრუალურ სისხლს შეურევენ“.

ეს ამონარიდები ძალიან მცირე ნაწილია იმ „თვალმარგალიტებისა“, რომლებიც უხვად არის მიმოფრქვეული თანამედროვე პროლეტკულტელთა „შემოქმედებაში“.

საქმეში ჩაუხედავმა მკითხველმა შეიძლება არც კი დაიჯეროს, რომ ამ „თვალმარგალიტების“ ავტორთა უმრავლესობა ლიტერატურული პრემია „საბას“ ლაურეატია, ამ პრემიას კი, როგორც მოგეხსენებათ, დასაწყისიდან დღემდე, ბატონი მამუკა ხაზარაძე აფინანსებს.





თქვენ უნდა ნახოთ და მოუსმინოთ, როგორი თავმოწონებით საუბრობს ხოლმე ნომინანტთა დაჯილდოებისას პატივცემული მამუკა და როგორ ამაყობს იმით, რომ ამ პრემიით ლიტერატურული პროცესების განვითარებას და ნიჭიერი ავტორების წარმოჩენას უწყობს ხელს.

შეიძლება არაფერი გესმოდეს ლიტერატურისა, შეიძლება საერთოდ ვერ ერკვეოდე მწერლობაში, მაგრამ ლიტერატურისა და მწერლობის ცოდნა რა საჭიროა იმის გასაგებად, რაც ამ ტექსტებში წერია?

ასე რომ, გამორიცხულია, ხაზარაძეს კომისიის თავმჯდომარე რატი ამაღლობელი ატყუებდეს, რომელიც, როგორც თვითონ აღიარებს, თავის „შედევრებს“ ტუალეტში ქმნის და ნამდვილი მწერლობის ნაცვლად სირითა და შამბალათი გაძეძგილ ტექსტებს აჩეჩებდეს ხელში.

მამუკა ხაზარაძე ბიზნესმენია, ბანკირია და, ცხადია, ის, როგორც ანგარიშიანი კაცი,



ფულს ჰაერში ტყუილუბრალოდ არ გადაყრის.

მან, რა თქმა უნდა, შესანიშნავად იცის, რას აფინანსებს და რატომ აფინანსებს და ისიც კარგად მოეხსენება, რა პროპაგანდისტულ მანქანას ემსახურება ყოველივე ეს.

ხაზარაძე ერთგულად მიჰყვება ზემოთნახსენები „დალესის დოქტრინის“ ინსტრუქციას და ყველანაირად უწყობს ხელს იმ შემოქმედებით ინტელიგენციას, რომელიც ადამიანთა შეგნებაში სექსის, ძალადობის, ღალატის, უზნეობის კულტს ნერგავს.

უფრო მეტი რა უნდა გაუფუჭოს ხაზარაძემ საკუთარ ქვეყანას, ან ისეთი რა უნდა გაუკეთოს, რომ ეს ღალატი და დანაშაული გადაიფაროს?

არ იფიქროთ, მხოლოდ მწერლობაში ხდებოდეს მსგავსი დივერსიული ხასიათის პროცესები.

არა, ეს კარგად გამართული და ორგანიზებული სისტემაა, რომელშიც ჩართულნი არიან პოლიტიკოსების ერთი ნაწილი, არასამთავრობო ორგანიზაციები, მედია (განსაკუთრებით ელექტრონული მედია) ინტერნეტსაიტები, სოციალური ქსელები და ა. შ.

ყოველივე ეს, ერთად აღებული, საკმაოდ სერიოზული და სახიფათო ძალაა, რომელიც ქართულ სახელმწიფოს დამოუკიდებლობის მიღების პირველივე დღეებიდან მუდმივი რყევების, მუდმივი ბიძგების, მუდმივი ჯანჯღარის რეჟიმში ჰყავს და მას ნორმალურ, მშვიდ გარემოში განვითარების საშუალებას არ აძლევს.

●

**ვფიქრობ, საქართველოს მოქალაქეების საკუთარ სახელმწიფოსთან გაუცხოებისა და კონფრონტაციის საგანგაშო პროცესს ქვეყნის შიგნით თუ ქვეყნის გარედან რაღაც ძალები მიზანმიმართულად უწყობენ ხელს, ამ პროცესის შესაჩერებლად კი ვინ უნდა იბრძოდეს პირველ რიგში, თუ არა მწერალი, თუ ის ქართველი მწერალია და არა უფესვო, უჯიშო, უსამშობლო მჯღაბნელი, რომელსაც კალამი და თავისი სასქესო ორგანო ერთმანეთში არევია და ამ სასქესო ორგანოთი „წერს“ ლექსებს, მოთხრობებს, რომანებს, ვიღაც-ვიღაცები კი ამ უმსგავსობას ტაშს უკრავენ, ახალისებენ, აქეზებენ, პრემიებით აჯილდოებენ, რეკლამირებას უწევენ, რაც, საბოლოო ჯამში, ქართული მწერლობის განადგურებისკენ არის მიმართული.**

ქართული მწერლობის წინააღმდეგ ბრძოლა არ დაწყებულა დღეს, ის დაიწყო გაცილებით ადრე, გასული საუკუნის 90-იან წლებში, როცა ითქვა, რომ ქართული მწერლობა მოკვდა, ნამდვილი მწერლები კი მთაწმინდაზე განისვენებენო, ხოლო ამ ფრაზას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის საბრძოლველად შემართული ქართველები დიდი აღტაცებითა და ოვაციებით შეხვდნენ.

– თუ ქართული მწერლობა მოკვდა, მაშინ საქართველოც მომკვდარა და თქვენ რა გიხარიათ – მკვდარს თავისუფლება და დამოუკიდებლობა რა ჭირად უნდა-მეთქი, – დავწერე მაშინ, 28 თუ 29 წლის წინათ და კინაღამ ჩამქოლეს.

**ქართული მწერლობის ნელი და მტანჯველი სიკვდილი მოკვდინების პროცესი დღემდე გრძელდება და, ღმერთმა ნუ ქნას, თუ ის მოკვდება მასთან ერთად მოკვდება საქართველოც, რადგან საქართველოს სული ქართულ მწერლობაში დგას.**

●

არის ასეთი მწერალი ლაშა ბუღაძე, რომელმაც სახელი იმით გაითქვა, რომ თავის ერთ მოთხრობაში დაწვრილებით აღწერა თამარ მეფის ქორწინების პირველი ღამე, როცა თამარის ქმარი, გიორგი რუსი, იმის ნაცვლად, რომ დედოფალთან გაეყო სარეცელი, ქათამს მიუდგა.

მწერალი ისე დამაჯერებლად ჰყვებოდა ამ ფანტასმაგორიულ ამბავს, თითქოს თავისი თვალით ენახოს, როგორ ჩინჩლავდა ოკუპანტი რუსი დედოფლის კარზე გაზრდილ ქართულ ქათამს.

სულ მალე ბუღაძეს ტუზი დაეცა – ხელისუფლებაში „ნაცმოძრაობის“ სახით, მისიანები მოვიდნენ, თამარის პაპას, დიდ დავით აღმაშენებელს, ქალაქიდან „აახვევინეს“ და პირი იქითკენ უქნეს, საიდანაც მოვიდა.

გალაღდა და გაბუდაღდა ბუღაძე, გარშემო პატარ-პატარა ბუღაძეები შემოიკრიბა და „ნაცმოძრაობის“ სამსახურში ჩადგა.

ბუღაძეს თამამად შეიძლება ვუწოდოთ „ნაციონალური მოძრაობის“ შტატგარეშე წევრი, მისი საიდუმლო აგენტი, რომელიც გაცილებით მეტ საქმეს აკეთებს „ნაცმოძრაობისთვის“, ვიდრე თუნდაც პარტიის ოფიციალური თავმჯდომარე.

აი ეს კოლექტიური ბუღაძეები ასხედან დღეს ქართულ მწერლობას და სისხლს წოვენ.

დღეს, როცა სიტყვა სამშობლო ბევრისთვის შინაარსისგან დაცლილ ბგერების გროვად იქცა, ალბათ, ვიღაც-ვიღაცებს სასაცილოდაც არ ჰყოფნით სამშობლოს სიყვარულზე და, ზოგადად, სამშობლოზე ლაპარაკი.

ჩვენ მათთვის დროს ჩამორჩენილი გოები ანუ გოიმები ვართ, რომლებიც დახავსებულ და ჩასაძირად განწირულ ხომალდს, სამშობლოს, ჩავბღაუჭებივართ და მზად ვართ, მასთან ერთად შთავინთქათ მღვრიე და მრისხანე ოკეანის ფსკერზე.

დაე, ვიყოთ ჩვენ სულელი გოები, თქვენ კი, თქვენ, რომლებიც ყ..ამოგდებულები და შიშველ-ტიტვლები დატანტალებთ ქართულ მწერლობაში, თქვენ, რომლებიც ყველაფერს აკეთებთ იმისთვის, რომ გარყვნათ, გაათახსიროთ საკუთარი ერი, რადგან ეს გლობალიზმის საერთაშორისო ბაზარზე მოთხოვნადი და გაყიდვადი „პროდუქტია“, ჩვეულებრივი მოღალატეები და გამყიდველები ხართ და მეტი არაფერი!

# არ არსებობს ძველი და ახალი მწერლობა და მწერალი

ამ წერილს რომ ვწერ, 2021 წლის 8 აგვისტოა — საშინელი დღე საქართველოს ისტორიაში.

ჩვენ ყველანი სხვადასხვაგვარად ვგოდებთ — სხვაგვარად ვტირით.

ჩვენ, ბატონი რედაქტორი, ჩვენი ჟურნალისტები — ნათია, თაკო, გია, გიორგი, მაია, თამუნა, კახა, 2008 წლის 8 აგვისტოს, მახსოვს, „საერთო გაზეთს“ ვაკეთებდით. ვტიროდით და ისე ვწერდით, რათა მეორე დღეს, ანუ ხვალ, ქართულ საზოგადოებას იმედი ჰქონოდა, რომ სადღაც არსებობს კიდევ ცოცხალი საქართველო, რომელსაც გადარჩენისთვის ბრძოლა არ შეუწყვეტია.

პირადად მე, ყოველგვარი „ხმალ-ხანჯლის“ და ყოველივე მატერიალურის სრულიად უქონელი, ჩემებურად ვებრძოდი „ვიღაცას“, ვინც ჩემი ქვეყნის სიმშვიდეს და ერთიანობას არღვევდა…

ჩემი საყვარელი მწერლები და პოეტები, მწერალთა აკადემიას „არაკორექტული მიმართვის“ გამო „გამიჯნულები“, სავარაუდოდ, მაშინ, ალბათ, ჩუმად „ვალიდოლს“ სვამდნენ.



ვიცი, გული ეტკინებოდათ, მაგრამ ახლა უკვე ხმამაღლა გამოვიდნენ — სიძულვილის ენას ვგმობთ და ტანში გვაჟრიალებსო.

პანდემიის პირობებში ვცხოვრობთ — ღმერთმა აშოროთ მათ კორონა-ვირუსი და ყველა ავადმყოფობა, მაგრამ ვირუსების გარდა ჟრჟოლა შიშმაც იცის და, სულის სიცივემაც…

ჟრჟოლა, სხვათა შორის, ნაც-ვირუსსაც სცოდნია, მაგრამ ეს სხვა საუბრის თემაა..

ჯანდაბას, მწერალთა შეკავშირებები, ანდა მწერალთა სახლი, მწერალთა აკადემია, სხვა კავშირები, გილდია და გაერთიანებები, ერთმანეთს თუ მივუგდებთ ძაღლებს საჯიჯგნად. თან რომ წუწუნებთ, პოლიტიკა არ გვაინტერესებს, ჩვენს სულიერ მოთხოვნილებებს უნდა ვუსმინოთო.

ვინ იცის, ახალგაზრდა შანდორ პეტეფსაც უნდოდა წყნარად ჯდომა ცაცხვის ჩრდილში და ჩიტების ჭიკჭიკში ლექსების წერა, მაგრამ „მე ერთი ფიქრი მაწუხებს მარად, ვაითუ, მოვკვდე ლოგინში წყნარადო“, ჩიოდა.

ათასჯერ ვიტყვი: მიმართვის შინაარსი ყველასთან შეთანხმებული თუ არ იყო — ცუდია და შეთანხმებული უნდა ყოფილიყო! მაგრამ, როცა ვიღაცები შენი ქვეყნისთვის სასარგებლო საქმეს აკეთებენ, თუნდაც შენთან შეუთანხმებლად, მტრის ბანაკში არ უნდა გაიქცე...

რა ხდება სინამდვილეში, რატომ ხორციელდებოდა და გრძელდება აგრესია და ბრძოლა ვითომ უფროსი, ბოლშევიკდარქმეული „ბნელი“ მწერლებისა და მათი ნაღვაწის წინააღმდეგ?!

ყველამ ვიცით და ვხედავთ, რომ დრო, როგორც ნათქვამია, მარად მედინია, მას მოაქვს ახალი სიოს ქროლვა და ყველაფერი ახალი და ამ სიახლეს ვერ შეაჩერებ.



მწერალთა კავშირი, რომელიც სახელწოდებით საბჭოთა კავშირის ასოციაციებს ბადებს და სიძველის სუნი ასდის, შეიძლებოდა, ისედაც დაშლილიყო და არ არსებულიყო იმ სახით, რითაც ის 1917 წლიდან არსებობდა, მაგრამ შენობიდან გამოყრა იყო ნაღმი, ჩემთვის სავარაუდო, თუმცა თვალით უხილავი მტრისგან დაგებული, რომელიც ამ ქვეყნის სულიერ განადგურებას ისახავდა და ისახავს მიზნად.

ყველანაირი ლოგიკით, მწერლობის და კულტურის სხვა სფეროების და დარგების განადგურება-დაკნინება — ვითომ ტრანსფორმაცია სწორედ ამას უკავშირდება.

მწერალთა კავშირში, გნებავთ, მწერალთა სახლში, იმ სახით, როგორადაც ის ათეული წლები არსებობდა, მოღვაწეობდნენ კონსტანტინე გამსახურდია, გალაკტიონ ტაბიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, იქვე იყვნენ ახალგაზრდა ძმები ჭილაძეები, ნოდარ დუმბაძე და სხვები, რომლებიც პატივს სცემდნენ და სწავლობდნენ ძველი თაობებისგან, იმის მიუხედავად, რომ, შეიძლება, როგორც ახალგაზრდები, არ ეთანხმებოდნენ ყველაფერში „ძველ“ მწერლებს.

„ძველს“ ბრჭყალებში იმიტომ ვსვამ, რომ ჭეშმარიტი მწერლობა არ ძველდება და როგორც იაკობ ხუცესია თანამედროვე თავისი აგრესიული, ქმრისთვის ასტამის თავში მთხლეშველი შუშანიკით, როგორც შოთა რუსთაველია მარად „ახალი“, ასევეა შედარებით უფრო თანამედროვე გოეთე და ჰესე თავიანთი შემოქმედების ბრწყინვალებით.

ასე რომ, არ არსებობს ძველი და ახალი მწერლობა და მწერალი.

მწერალთა კავშირი, როგორც ორგანიზაცია და კავშირი, საზოგადოდ, იყო ჯაჭვი, ბირთვი, ქართული აზროვნების ტვინი და გონება. ეს არის სული, რომელიც აცოცხლებს ერს, როგორც ინდივიდს, ერთ ცალკეულ არსებას დედამიწის მომაკვდავ ეთნოსებსა და ერებს შორის.

ამას ებრძვიან.

ესაა სამიზნე, ესაა ბოლომდე ამოსაშანთი და ამოსაძირკვი, ამაზე მიდის შეტევა და კბილების ღრჭიალი და ენას მოუჩლექ ახლა ამ ამბავს თუ ტუჩებში აკოცებ მძვინვარე მხეცს, რომელიც არ არის ჯადოქრისგან დაწყევლილი გველი, ტუჩზე კოცნით რომ მზეჭაბუკად იქცეს, მაინც არაფერი შეიცვლება. მტერია და ამ ბრძოლაში მიწის ქვეშ გამოთხრილ სანგარში ჩაყუჟული, თუნდაც იქ საგანძურს გადაფოფრებულმა ჩამალო თავი, იმ „საგანურიანად“ ამოგთხრის და გაგანადგურებს.

ასე ჩეხავენ ძველ და ახალ მწერლებად მწერალთა მრავალსაუკუნოვან ჯაჭვს…

ამას ვერ აცნობიერებს ზოგიერთი მწერალი, ზოგიერთ ახალგაზრდას კი, მაპატიეთ და, გონების თვალსაწიერი არ ჰყოფნის და თავიანთი უკმარისობის კომპლექსის დასამარცხებლად, რატომღაც, ქართულ მწერლობას არის შეხიზნებული, საიდანაც მუშტებს უღერებს საუკეთესო მწერლებს.

როგორც მუმლი, ისეა შესეული ამ წმინდა, ცეცხლსა და სისხლში გამოტარებულ ქართულ სულიერ სხეულს მტერი და იავნანასა და მზეშინას დრო, სამწუხაროდ და ჩემდა გულსაკლავად, აღარაა.

ამ სიწმინდეს ეხებიან ბინძური ხელებით და ვისაც არ გაქვთ ძალა, ნუ აღშფოთდებით…

„საერთო გაზეთი“ „პატარა“ გაზეთია. ეს ის გაზეთია, გამოსვლიდან შემდეგი ათი წლის განმავლობაში ბევრი დამფრთხალი ადამიანი რომ გაემიჯნა, მაგრამ ეს გამოცემა, კოლიბრივით დაფუსფუსებს და თუ საჭიროა, გულს ეკალზე ისე მიახლიჩავს, სისხლის წვეთებმა ახალი ყვავილები რომ აღმოაცენონ ამ ქვეყანაში…

პოეზია და მწერლობა კი დარჩება ხალხს, ხოლო ხალხი, დროთა განმავლობაში, აუცილებლად შეაფასებს ყველას ნაღვაწს. ყველა სტრიქონში 100 წლის შემდეგაც თვალნათლივ დაინახავს ყველა გულწრფელ ნათქვამს, ყველა „გაჟრჟოლებას“ და „ტანში მზარავს“ განცდასაც შეიგრძნობს…

პალტოდახეულ, წვერგაუპარსავ, გახვრეტილცილინდრიან, უხასიათო, ცოცხალ ანგელოზს — გალაკტიონსაც „გამიჯნულებმა“ უბიძგეს და გადმოაგდეს ფანჯრიდან, მაგრამ ის ამბობდა:

„ახალ გრიგალებს ვწირავთ სიცოცხლეს,
ჩვენ, პოეტები საქართველოსი!“

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18



# სახელმწიფო ენაა ის ქვაკუთხედი, რაზეც სახელმწიფო უნდა აშენდეს



*გვესაუბრება ენათმეცნიერი, აკადემიკოსი ავთანდილ არაბული:*

**— ბატონო ავთანდილ, ახლახან, პრემიერმა განაცხადა: აუცილებელია, ქართულ სახელმწიფოში არაეთნიკური ქართველები ქართულ ენას ფლობდნენო. თქვენ რა პოზიცია გაქვთ ამ საკითხზე?**

— ეს უმნიშვნელოვანესი განცხადებაა თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენი სახელმწიფოს არსებობის ფუნდამენტურ პრინციპს, სამოქალაქო ინტეგრაციის არსებით ასპექტს ასახავს. სახელმწიფო ენა ხომ სამოქალაქო ნდობისა და ერთიანობის საფუძველთა საფუძველია. ირაკლი ღარიბაშვილი ნამდვილად სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პოლიტიკოსია (ამას იმიტომ გავხაზავ, რომ ასეთი პრეცედენტი ხშირი არ არის). იგი ქვეყნის განვითარების არსებით პრობლემებს ხედავს და ამ საკითხების გადასაწყვეტად პირადი ნებელობაც აქვს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნებელობას, როგორც წესი, წინ სისტემის გაუმართაობა ეღობება. სწორედ აღნიშნული თვისების გამო, იგი არ შეიძლება ვერ ხედავდეს, რომ სახელმწიფო სისტემა, ხშირად, დროის მოთხოვნას ადეკვატურად ვერ პასუხობს. ფაქტობრივად, როცა პირველი პირი ასეთ განცხადებას აკეთებს, ეს, პირველ რიგში, სახელისუფლებო ვერტიკალისთვის უნდა იყოს საყურადღებო. რეალობა სხვაგვარია იმიტომ, რომ სისტემა, რომელიც ამ ხელისუფლებამ მემკვიდრეობით მიიღო, ავტორიტარული რეჟიმისთვის იყო შექმნილი და მის ინტერესებს ერგებოდა. ეს მართვის სისტემა იმ არსახსენებელმა ხელისუფლებამ საკუთარი ქვებუდანი მიზნებისთვის შექმნა. ეს არის „ცალმხრივი მოძრაობის“, რომელსაც საზოგადებრივი უკუკავშირი, ფაქტობრივად, არ გააჩნია და ნებისმიერი ინიციატივა „ქვემოდან“ თუ „გარედან“ ბიუროკრატიულ სტრუქტურებში იკარგება. და არა მხოლოდ საზოგადოებრივი ინიციატივები, ეს მანკიერი სისტემა, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, უმოქმედო ან მხოლოდ ფორმალისტურად მოქმედია თვით „ზემოდან“ მომდინარე იდეების მიმართაც კი. რატომ? — იმიტომ, რომ რამაც შეიძლება ავტორიტარული რეჟიმისას „ვერტიკალის“ პრინციპით იმუშაოს, დემოკრატიული მართვის პირობებში სრულიად უმოქმედო ხდება. ეს ფარული „კოზირი“, მუდმივად, ჩასაფრებულმა დესტრუქციულმა ძალამ ძალიან კარგად იცის.



**— ბატონო ავთო, ჩვენი ქვეყნის წარსული რამდენად იძლევა პასუხს იმ ინიციატივაზე, რაც პრემიერის განცხადებაში გამოიკვეთა?**

— მთავარი რაც არის, ჩვენს სახელმწიფოს გარკვეულ რეგიონებში არაქართულენოვან მოსახლეობასთან მუშაობის ძალიან სერიოზული, შეიძლება ითქვას, უნიკალური გამოცდილება აქვს. ჩვენ, ფაქტობრივად, მემკვიდრე ვართ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა, რომელიც გასული საუკუნის დასაწყისში შეიქმნა. მოდელი, რომელიც დემოკრატიის განვითარების სახელმძღვანელოდ აღიქმება, სწორედ მაშინ განისაზღვრა. 1918 წელს მიიღეს კანონი საქართველოს სახელმწიფო ენის შესახებ, ასევე, სახელმწიფო დაწესებულებებში ენის მოხმარების წესი. 1919 წლის დასაწყისში, უკვე, ადგილობრივ თვითმმართველობათა ორგანოებშიც მიღებული იყო ენის ხმარების წესი და ა.შ. სპეციალისტების აზრით, ამ საკითხზე ზრუნვა ქართულმა სახელმწიფომ, თითქმის, ნახევარი საუკუნით ადრე დაიწყო და საკანონმდებლო დონეზე განახორციელა, ვიდრე ამას ევროპა პრობლემად დასახავდა. 1921 წლის კონსტიტუციის ნორმებიც, ეროვნულ უმცირესობათა ენობრივი უფლებების შესახებ, ძალიან პროგრესული და მოწინავეა. ამ თვალსაზრისით, ბევრი ის გადაწყვეტა, რაც ჩვენთან უკვე ტრადიციაა, სხვა ქვეყნებში, მათ შორის, ევროკავშირის სახელმწიფოებში, დღემდე ძიების საგანია.

როცა სახელმწიფო სკოლები უმცირესობათა ენებზე იხსნება, ამას მეორე მხარეც აქვს. კერძოდ, როცა კომპაქტურ, მჭიდროდ დასახლებულ რეგიონში ერთენოვანი მოსახლეობა ერთი მიმართულებით ვითარდება და ყოველივე ამას სახელმწიფო ენასთან ინტეგრაციის პროცესი არ ემთხვევა, მაშინ ერთგვარი აპარტეიდის პრაქტიკას ვიღებთ. აი, ეს სურათი შექმნა ქვეყნის დამოუკიდებელი განვითარების უკანასკნელმა ოცდაათმა წელმა. ირაკლი ღარიბაშვილმა რაც დაიჩივლა, ამის მაგალითი, ჩვენ, გასული წლის ბოლოს თვალნათლივ დავინახეთ — შემოდგომა-ზამთრის პერიოდში, როდესაც პანდემიასთან დაკავშირებით ქვემო-ქართლის ჩაკეტვა მოხდა. მოსახლეობა რეგულაციებს არღვევდა და ამის მიზეზად ყველა აღიარებდა ენობრივ ბარიერს და შედეგად, ინფორმაციულ ვაკუუმს. ანუ, ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობა სახელმწიფო ენაზე ვერ ხერხდებოდა. პანდემიაზე არანაკლები პრობლემაა ის, რომ სახელმწიფოში შენს მოქალაქესთან ურთიერთობას ვერ ამყარებ...

**— ჩვენ ხომ გვაქვს სახელმწიფო ენის დეპარტამენტი. რას აკეთებს ეს უწყება?**

— დიახ, სახელმწიფო ენის დეპარტამენტი გვაქვს და პასუხისმგებლობა ამ საკითხზე, რა თქმა უნდა, ამ უწყებამ უნდა აიღოს. სახელმწიფო ენის კანონის მიღებას მისი გავრცელების, ფუნქციონირებისა და მოსახლეობის სახელმწიფოებრივი ინტეგრაციის თვალსაზრისით გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. გადავინაცვლოთ 2002 წელში, როცა სახელმწიფო ენის კანონპროექტი უკვე იყო საპარლამენტო განხილვისთვის მომზადებული. მაშინაც იყო წინააღმდეგობები, რაც ენობრივ უმცირესობათა საკითხს უკავშირდებოდა. ჩვენი არასამთავრობოები აქეზებდნენ ეთნიკურ უმცირესობებს — საფრთხეებზე მიუთითებდნენ და ა.შ. ალბათ გახსოვთ, რას წერდა იმ დროს „დიდი ფილოსოფოსი“ გია ნოდია: სახელმწიფოს რა უფლება აქვს, დაავალდებულოს სადღაც მთებში მყოფი აზერბაიჯანელი მწყემსი, რომ მან ქართული (სახელმწიფო) ენა იცოდესო. აი, ასეთ პროვოკაციულ განცხადებას აკეთებდნენ.

გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს არსებობდა ენის სახელმწიფო პალატა და იმ უმძიმეს პირობებში მისი მოღვაწეობით, არაქართულენოვან რეგიონებში სახელმწიფო ენის სწავლების თვალსაზრისით, არაჩვეულებრივი გამოცდილება დაგროვდა. ვერც წარმოიდგენთ, იმდენად პოპულარული გახდა ქართული ენის სწავლება არაქართულენოვან კონტინგენტში. ქართულ სკოლებში ადგილობრივების მისაღებად სერიოზული კონკურენცია შეიქმნა. რეგიონებში მაშინ გაგზავნილი კადრები, დღესაც, წარმატებით მოღვაწეობენ. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ადგილობრივ სახელმწიფო ენის შესასწავლად მონდომების არარსებობას ტყუილად ვინმე მოიხმობს თავისი უმოქმედობის მიზეზად!.. ახლა, ეს ყველაფერი დაკარგულია. 2004 წლიდან მოვიდა ხელისუფლება, რომელმაც სახელმწიფო ენის დაცვის საკითხი არამხოლოდ უგულვებელყო, არამედ სახელმწიფო ენის მაშინდელი კანონპროექტი სანაგვეში გადააგდო და ყველა სტრუქტურა, რომელიც ამ მიმართულებით მუშაობდა, გააუქმა.

**— სახელმწიფო ენის კანონის მიღებიდან 6 წელი გავიდა. რამდენად ზრუნავს დღეს სახელმწიფო, რომ საქართველოს ყველა მოქალაქემ სახელმწიფო ენა იცოდეს?**

— კანონშიVI თავის IV პუნქტში წერია: საჯარო მოხელე ვალდებულია ფლობდეს სახელმწიფო ენას. სახელმწიფომ ყურადღება სწორედ ამ მიმართულებით უნდა გაამახვილოს. რას აკეთებს ამ მიმართულებით ენის სახელმწიფო დეპარტამენტი? — სრულიად არაფერს. მას მკვდრადშობილ დაწესებულებას ეძახიან და, მე თუ მკითხავთ, ეს ეპითეტი საკმარისიც არ არის.

ყურადღებას შემდეგზე ვამახვილებ: არაქართულენოვან სკოლადამთავრებულები სახელმწიფო ენას სასურველ დონეზე უნდა ფლობდნენ. მაგრამ არის ეს რეალურად ასე? — რა თქმა უნდა, არა! ამიტომაც არის კომუნიკაციის პრობლემა. ამ შემთხვევაში, სახელმწიფო ენის დეპარტამენტისა და განათლების სამინისტროს ერთობლივი მუშაობით ეს პრობლემა უნდა აღმოიფხვრას. სამინისტროში არაჩვეულებრივი სპეციალისტები მუშაობენ. არაქართულენოვანი კონტინგენტის სათანადო რესურსებით უზრუნველყოფისათვის, არსებობს შესაბამისი პროგრამები და სახელმძღვანელოები, თუმცა, როგორც ჩანს, ამ მიმართულებით ბევრი რამ არის ახლებურად გადასაწყვეტი, განსაკუთრებით — კადრების პრობლემა.

**— სომხები, აზერბაიჯანელები თუ სხვები თავიანთ ენებზე ამთავრებენ სკოლას და მერე თავიანთ ისტორიულ სამშობლოში ბრუნდებიან. გამოდის, მეზობელ სახელმწიფოებს კადრებს ვუმზადებთ?**

— მათი ქვეყანა საქართველოა. ისინი ჩვენი მოქალაქეები არიან. ამიტომაც არის მნიშვნელოვანი მათი სახელმწიფოენოვანი ინტეგრაციისთვის ვიზრუნოთ. ჩვენ, ისინი ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში უნდა მოვამზადოთ მომავალ სპეციალისტებად, კადრებად. სკოლამ ამ მიმართულებით უნდა იმუშაოს. კარგი ინიციატივაა ის, რომ ჩვენმა უმაღლესმა სასწავლებლებმა ერთწლიანი საფეხური შემოიღეს, რათა არაქართულენოვანი რეგიონის მოსწავლეების ქართულად მომზადება მოხდეს. როცა ნახავთ, როგორ სერიოზულად ეკიდებიან სახელმწიფო ენის ათვისებას, სათანადო ყურადღების შემთხვევაში, აზერბაიჯანულ და სომხურენოვანი მოსწავლეები და რა ჩინებული შედეგები აქვთ, ნამდვილად ოპტიმისტურად განეწყობით.



ამ კონტექსტში ერთ მნიშვნელოვან საკითხსაც უნდა შევეხო. ეს გახლავთ მეცნიერების პრობლემა. განათლების სისტემაში მეცნიერების სინაკლულე, წარმოიდგინეთ, არა მხოლოდ უმაღლეს და სასკოლო განათლებას, საბავშვო ბაღსაც კი დაეტყობა. თუ სახელმწიფო განათლების პროგრესზე სერიოზულად ფიქრობს, რეალურად ამ პროცესის სერიოზული მეცნიერული უზრუნველყოფაა აუცილებელი. ჩვენი თემის ასპექტით ყურადღებას გავამახვილებ იმ დიდ სამეცნიერო სკოლებზე, რომლებიც სათანადო სპეციალისტებს ამზადებდა — ეს არის აღმოსავლეთმცოდნეობის, არმენოლოგიის, ასევე, კავკასიოლოგიის სკოლა, საიდანაც არაჩვეულებრივი სპეციალისტები, მეცნიერები, მწერლები, ხელოვანები გამოიზარდნენ. ამ სკოლების არსებობას საყოველთაოდ აღიარებული შედეგები ჰქონდა. რაც მთავარია, კონტინგენტი რომელიც უნივერსიტეტში ამ მიმართულებებზე მზადდებოდა, ადგილობრივ სკოლებში მოღვაწეობისთვის მზად იყო.

ახლა რა გვაქვს ამ მიმართულებით? — არსებითად — არაფერი. აი, რა შედეგი მოიტანა მეცნიერების დანგრევამ. ამასწინათ, კულტურის კომიტეტის ახალმა ხელმძღვანელმა დასვა უმწვავესი კითხვა: რა ამბავია ამდენი სსიპი კულტურის სამინისტროშიო. დიახ, შესანიშნავმა ხელოვანმა ზუსტად ჩაავლო იმ მტკივნეულ პრობლემას, რომელიც აღნიშნული მანკიერი სისტემის ერთ-ერთი მთავარი დაავადებაა. ეს იმიტომ, რომ ქალბატონი ელისო ბოლქვაძე ამ სისტემაში „ახალი თვალია“. ცოტა ხნის შემდეგ ისიც ველარ შეამჩნევს იმ მანკიერებას, რომლის მეშვეობითაც მახინჯი სისტემის შემქმნელებმა საფუძველი გამოაცალეს და ჩარეცხეს ნამდვილი სსიპები, ანუ, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები. მეტს აღარ გავაგრძელებ...

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# „ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა“ (მათე 5.10)

გულისტკივილით წავიკითხე ქალბატონ ელდინო საღარაძის განცხადება „საერთო გაზეთში“ დაბეჭდილ მიმართვასთან დაკავშირებით.

მიგვაჩნია, რომ საზოგადო მოღვაწე, ჟურნალისტი, მსახიობი, მედიცინის მუშაკი, საზოგადოების ყველა ფენის პატივისცემას უნდა იმსახურებდეს, რამეთუ „სიმართლეს მსახურებდეს“ და იყოს მიუკერძოებელი.

„დაღაცათუ გდევნიდნენ სიმართლისათვის, ნეტარ ხართ“ (კათოლიკე პეტრესი. 3.14)

სწორედ ამ პათოსმა ატარა საუკუნეებში ჩვენი ერი.

სწორედ თავდადებულ მამულიშვილთა სიცოცხლემ, მიტანილმა სამშობლოს სამსხვერპლოზე, მოგვიყვანა დღემდე, რამეთუ რწმენა მათთვის, ერის ინტერესები, აღმატებული იყო თავად მათ პიროვნულზე.

ჩვენ თქვენ გიცნობთ, როგორც კარგ მსახიობს, სახელით და გვარით და პროტესტი კი არ უნდა გამოგეცხადებინათ, არამედ, ვფიქრობთ, მადლობა უნდა შეგეწირათ უფლისთვის, რომ საღი აზროვნების ფერხულში აღმოჩნდით.

როგორ შეიძლება ირწმუნო იმ ადამიანთა მოღვაწეობის, რომელთაც არა სწამთ ილია, აკაკი, ვაჟა..

როგორ შეიძლება ირწმუნო იმ პიროვნების, რომელიც ტუალეტის მჯღაბნელებს აფინანსებს და ჯილდოებს უძღვნის, ან როგორ ვირწმუნოთ იმათი, რომლებმაც სულმნათი აკადემიკოსი გურამ შარაძე იმისთვის, რომ სამშობლოს, რწმენას ყველაზე პრიორიტეტულად თვლიდა დიდი ექვთიმეს მსგავსად, კბილებით იცავდა საქართველოს საგანძურს მანქურთებისაგან, დღისით, მზისით, ქალაქის შუაგულში უმოწყალოდ დახვრიტეს და სისხლი დაანთხევინეს.

მაშინ სად იყვნენ ელდინო საღარაძე და სხვანი?!

მაშინ რატომ არ ატეხეთ ასეთი განგაში?!

მაშინ რატომ არ დაირაზმეთ, როცა ნაციონალებმა ღია ომი გამოუცხადეს ქართულ ეკლესიას და დღემდე აგრძელებენ დაუნდობელ ბრძოლას?

სად იყავით, როცა სრულიად უდანაშაულო მე და ჩემი მრევლი შუაღამისას ხელკეტებით გამოგვყარეს ეკლესიიდან, გვცემეს და 5 წლით გამოგვკეტეს საპყრობილეში?!

ან მაშინ, როცა ქართველ პატიმართა მეობას ბილწად ბღალავდნენ, როცა დახლზე დადებული იყიდებოდა ჩვენი ქვეყანა, გვერთმეოდა წინაპართა სისხლით გაპოხიერებული მიწა-წყალი?!

რომელი ერთი ჩამოვთვალოთ?!

რა თქმა უნდა, ნაციონალებს აღიზიანებთ მართლი სიტყვა, მართალი პრესა, რადგან ასეთი მედია საჭირბოროტო საკითხებს არასდროს ტოვებდა და არც ტოვებს ყურადღების მიღმა.

ამით სულდგმულობს საზოგადოება.

გული გვწყდება, რომ თქვენ მედროვენი გამოხვედით...

ქალბატონო საღარაძე, თქვენი სახელით თქვენს თანამოაზრეებსაც მივმართავთ: თუ თვალებს ვერ გაუსწორებთ სიმართლეს, მაშინ ნუ განიკითხავთ იმ მედიას, რომელიც ყოველგვარ რისკზე მიდის ათეული წლებია, რათა ხალხამდე მართალი სიტყვა მიიტანოს.



თქვენ კი უმადურობას გამოხატავთ იმის გამო, რომ მათ რიცხვში ჩაგთვალეს, იმ ხალხის გვერდით დაგაყენეს, რომლებიც საღ აზრს ღაღადებენ სამშობლოს საკეთილდღეოდ.

თქვენი საქციელით ნებსით თუ უნებლიეთ, საქართველოს მოღალატეების წისქვილზე დაასხით წყალი, რის გამოც მათ გულშემატკივრებად მოიაზრებით სააკაშვილის ე.წ. სექტის სამარცხვინო სახელით. სააკაშვილის, რომელმაც ჭეშმარიტი ინტელიგენცია „ჩარეცხილებად“ გამოაცხადა.

გამოდის, რომ თქვენ ებრძვით სიმართლეს, თავდადებულ პიროვნებებს, რომელთა კალამი მხოლოდ მტკიცე და შეურყეველ ფაქტებზეა დაყრდნობილი.

ნუ იფიქრებთ, რომ თქვენს მოსაზრებებს ერის საღი ნაწილი გაიზიარებს, პირიქით, უარყოფითად განეწყობიან თქვენ მიმართ.

„ვითარმედ ერი ესე ბაგითა მათითა პატივს მცემს მე, ხოლო გულნი მათნი შორად განშორებულ არიან ჩემგან, ამაოდ მმსახურებენ მე“. (მარკოზ. 7.6.)

**გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ეკლესიის წინამძღვარი, მამა ბასილი (მკალავიშვილი), მამა ვახტანგი (მარგიანი), მრავალრიცხოვანი მრევლი.**

# ნაცკოვიდი და პრეპარატი „კოაბიტაციუსი“

კოვიდი და ნაცკოვიდი ერთდროულად უტევს საქართველოს.

ისინი ძალიან ჰგვანან ერთმანეთს თავიანთი ვერაგული ბუნებით, სისასტიკით, დაუნდობლობით და, რაც მთავარია, გამრავლებისა და გავრცელების წესით.

ამბობენ, კოვიდ-19-ს აცრები შველისო და ოპერატიული წესით



დამზადებული სხვადასხვა სახის თუ სახელწოდების უამრავი ვაქცინა გამოჩნდა ბაზარზე, მაგრამ რა ვაქცინა შველის ნაცკოვიდს, ვერა და ვერ დავადგინეთ.

17 წელია, ნაცკოვიდი მძვინვარებს ქვეყანაში და ვერა და ვერ გამოიგონეს ისეთი წამალი, ეს „მუდრეგი“ ვირუსი ცოტათი დააოკოს.

კი, იყო მცდელობა ამ მიმართულებით, მაგრამ ვერ გაამართლა.

უცხოეთიდან შემოტანილი პრეპარატი, სახელად „კოაბიტაციუსი“, უცნაური თვისებების პრეპარატი გამოდგა და ისეთი გვერდითი მოვლენები აღმოაჩნდა, ნაცკოვიდი, მოსპობისა და განადგურების ნაცვლად, კიდევ უფრო მოაღონიერა და მოამძლავრა.

ნაცკოვიდის დედა-ვირუსი რამდენიმე ახალ-ახალ შტამად დაიყო და ასე გაიბნა და გაიშალა პოლიტიკურ სივრცეში.

ერთ ტელეგადაცემას ვუყურე ამასწინათ.

ცნობილმა ტელეწამყვანმა ქალბატონმა, რომელიც ძაან ობიექტურს, ძაან მიუკერძოებელს, ძაან ზეპარტიულს აწვება ხოლმე, თავმომწონედ გამოაცხადა: დღეს ხუთი სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციის წარმომადგენელი გვეყოლება სტუმრადო და ჩამოთვლა დაიწყო — „ნაცმოძრაობა“ — მელია, „ევროპული საქართველო“ — გიგა ბოკერია, „გირჩი“ — ზურაბ ჯაფარიძე, „ჩვენი დრო“ — ელენე ხოშტარია, „ქართული ოცნება“ — გურამ მაჭარაშვილიო.

ვითომ არ იცის ამ ძაან ობიექტურმა და მიუკერძოებელმა, რომ ამ ხუთი პარტიიდან ოთხი ნაცკოვიდის ერთი საერთო კვერცხუჯრედიდან არის გამოჩეკილი, ანუ ოთხივე ერთი და იგივე ნაცკოვიდია, ოღონდ სხვადასხვა სახელებით.

სხვათა შორის, იგივე ამბავი მოხდა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებშიც — ბარიერგადალახული ცხრა პარტიიდან ექვსი ნაცკოვიდის განაყოფი პარტია იყო.

ასეთ უბედურებას გადაგვყარა პრეპარატმა „კოაბიტაციუსმა“, რომელსაც ძალისძალად გვაყლაპებდნენ ჩვენი უცხოელი პოლიტმედიკოსები, სულ ჩვენს ჯანმრთელობაზე რომ ზრუნავენ ვითომ და სინამდვილეში ამ მკვლელი ვირუსის, ამ „ნაცკოვიდის“ გაძლიერებაზე და კიდევ უფრო გამრავლებაზე ფიქრობენ მხოლოდ.

ახლა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები მოდის, რაც იმას ნიშნავს, რომ ნაცკოვიდის ახალი ტალღა ემუქრება ქვეყანას.

თუ გინდათ, რომ არ დაავადდეთ, დაიცავით უსაფრთხოების ზომები — დაიცავით დისტანცია, ნაცკოვიდის მატარებელი ტიპები ორ მეტრზე ახლოს არ მოუშვათ, მათთან საუბრისას იყავით ფხიზლად — ისინი იტყუებიან და თავს ისე გაჩვენებენ, თითქოს აცრილები არიან, მაგრამ არ დაუჯეროთ — ისე აფრქვევენ შხამიან ვირუსებს, როგორც სახანძრო მანქანა წყლის ჭავლს.

ასე რომ, იყავით ფრთხილად!

იყავით ფხიზლად!

ნაცკოვიდის ახალი ტალღა გვიახლოვდება!

**დავით ქავთარია**











# ჩვენი უკანასკნელი საათი

## ბრიტანელი მეცნიერი, რომელმაც პანდემია იწინასწარმეტყველა, კაცობრიობის განადგურებაზე ალაპარაკდა


მარტინ რიცი

ამერიკული და ბრიტანული მედიასაშუალებები ერთხმად ამტკიცებენ, რომ კოვიდ-19 ჩინეთიდან, უჰანის ლაბორატორიიდან გავრცელდა. გასარკვევი მხოლოდ ის დარჩა, ეს შემთხვევით მოხდა, თუ განზრახ.

სულ ახლახან გაირკვა, რომ ბრიტანეთმა საშიში ვირუსის მოსალოდნელი გამოჩენის შესახებ პანდემიის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე იცოდა. ჯერ კიდევ 2002 წელს, გამოჩენილმა ბრიტანელმა მეცნიერმა მარტინ რიცმა ივარაუდა, რომ 2020 წლის 31 დეკემბრამდე ბიოლაბორატორიიდან ვირუსის გაჟონვა მსოფლიო კატასტროფას და მილიონობით ადამიანის დაღუპვას გამოიწვევდა.

რიცმა თავისი პროგნოზი **Long Bets**-ზე გამოაქვეყნა, რამაც დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. სპორ-


უხანის ბიოლაბორატორია

ტული შეჯიბრის მსგავსად, ადამიანები რიცის პროგნოზზე ფსონებს დებდნენ. 2017 წელს ამერიკელმა ენათმეცნიერმა სტივენ პინკერმა გამოწვევა მიიღო და 400 დოლარი დადო, რომ ბიო-კატასტროფა არ მოხდებოდა და წააგო. კორონავირუსის პანდემია 2020 წელს დაიწყო და უკვე 4.2 მილიონზე მეტი ადამიანი იმსხვერპლა.

ცნობისთვის, **XX–XXI** საუკუნის 4 დიდი პანდემიიდან ყველაზე მეტი ადამიანი ესპანურმა გრიპმა შეიწირა (50 მლნ), უფრო ნაკლები მსხვერპლი აზიური გრიპის პანდემიას მოჰყვა (1.1 მლნ), 1968 წლის გრიპი $H_3N_2$ (1 მლნ) და 2009 წლის გრიპი $H_1N_1$ (575 400)

და მაინც, რა არის რიცის პროგროზი — დამთხვევა თუ ინტელექტუალური ხუმრობა, რომელიც საშინელ წინასწარმეტყველებად იქცა? ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად, მეცნიერის ბიოგრაფიას უნდა გადავხედოთ.

ვირუსებისა და ბიოტექნოლოგიებისადმი ინტერესის მიუხედავად, მარტინ რიცი პროფესიით ასტროფიზიკოსია. მას მეცნიერების სფეროში შთამბეჭდავი მიღწევები აქვს და დიდი ბრიტანეთის სამეფო ასტრონომის პრესტიჟული პოსტი უკავია. ლორდთა პალატის წევრს 2005 წელს პერის და ბარონის წოდება მიენიჭა.

ბოლო ათწლეულებში მარტინ რიცი კაცობრიობის განადგურების თემით დაინტერესდა. 2003 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „ჩვენი უკანასკნელი საათი“ რიცი ვარაუდობს, რომ ადამიანების მასობრივი განადგურება უკვე ჩვენს საუკუნეში მოხდება. 2018 წელს დაწერილ წიგნში „მომავლის შესახებ“ დაახლოებით იგივეა პროგნოზია.

2012 წელს რიცმა კემბრიჯში ეგზისტენციალური რისკების კვლევის ცენტრი (**CSER**) შექმნა. ცენტრის მიერ ათი წლის წინ შედგენილ საფრთხეების სიაში, რომელიც კაცობრიობას განადგურებით ემუქრება, პირველ ადგილზეა ბიო-ლაბორატორიიდან ვირუსის გაჟონვით გამოწვეული პანდემია. მას გლობალურ დათბობასთან არასწორი ბრძოლით გამოწვეული რისკები მოჰყვება. მომაკვდინებელი საფრთხეების ბოლო ადგილზე კიბერშეტევები და ინფრასტრუქტურის უმნიშვნელოვანესი ობიექტების პროგრამულ უზრუნველყოფაში მასშტაბური ჩავარდნებია.

**CSER** მხოლოდ სოციალურ მეცნიერთა საზოგადოება არასოდეს ყოფილა, რადგან მისმა საქმიანობამ დიდწილად, მსოფლიო დღის წესრიგი განსაზღვრა. 2014 წელს, როცა მარტინ რიცმა მომავალი პანდემიის სცენარი შეადგინა, მისი კვლევები ჰოლანდიისა და ვისკონსინის ლაბორატორიებში მომუშავე მეცნიერთა გამოცდილებას ეყრდნობოდა. სწორედ ამ მეცნიერებმა 2011 წელს მოახერხეს ფრინველის გრიპის ($H_5N_1$) მოდიფიცირება ისე, რომ მისი ინფექციურობა და ლეტალობა ესპანური გრიპის მსგავსად გაეზარდათ.

მარტინ რიცი ამტკიცებდა, რომ რომელიმე „ფსიქიკურად გაუწონასწორებელ“ ბიოლოგს, რომელმაც გადაწყვიტა, რომ „დედამიწაზე ძალიან ბევრი ადამიანია“, შეეძლო ხელოვნურად შექმნილი ვირუსის ცოცხალი ნიმუშები მოეპარა და ინფექცია მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს აეროპორტებში გაეფანტა. რიცმა თავისი ვარაუდი ინტერვიუებში არაერთხელ გაიმეორა.

ფორმალურად, მარტინ რიცის ორგანიზაცია გლობალური რისკების თავიდან ასაცილებლად შეიქმნა, თუმცა გამაოგნებელია, რამდენად ემთხვევა **CSER**-ის კატასტროფული პროგნოზები რეალობას. სულ რამდენიმე წელიწადში, მათი ანგარიშების ქვეთავები მედიაში პანიკურ სათაურებად იქცევა და ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ბრიტანელი მეცნიერები პრობლემებს კი არ ებრძვიან, გეგმავენ.

რიცის ზოგიერთი იდეა ფანტასტიკურად გამოიყურება და კატასტროფის ფილმის სცენარს ჰგავს. მაგალითად, მას სჯერა, რომ რაღაც მომენტში კაცობრიობა გლობალურ დათბობასთან ბრძოლას თვითმფრინავებიდან სპეციალური აეროზოლის გაფრქვევით დაიწყებს, რომელიც მზის სხივებს დაბლოკავს. ცნობისთვის, ჰარვარდის მეცნიერები ამ ტექნოლოგიას მთელი სერიოზულობით განიხილავენ და ისინი ამას ბილ გეითსის შეკვეთით და ბრძანებით აკეთებენ.

რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო მეტი ვერსია და მტკიცებულება ჩნდება, რომ კოვიდ-19 ხელოვნურად შექმნილი ვირუსია და ვუჰანის ლაბორატორიიდან (ან სხვა ადგილიდან) მიზანმიმართულად გავრცელდა.

ჰიპოთეზა კორონავირუსის ლაბორატორიული წარმოშობის შესახებ დასაშვებია და შემდგომ გამოძიებას მოითხოვს — ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ამერიკის სამთავრობო ლაბორატორიაში. ამერიკის დაზვერვა ამჟამად ორ ვერსიას განიხილავს. ერთია, ლაბორატორიიდან ვირუსის შემთხვევით გაპარვის შესაძლებლობა და მეორე — ვირუსის ცხოველიდან ადამიანზე გადაცემა. თუმცა, გამოძიება ჯერ არ დასრულებულა და საბოლოო დასკვნამდე არ მისულან.



ჯერ კიდევ ყოფილი პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის დროს, დაზვერვის სამსახურებმა ანგარიში შეადგინეს, რომელიც ვირუსის წარმომავლობას ჩინეთს უკავშირებდა. ამ ანგარიშის თანახმად, 2019 წლის ნოემბერში ვუჰანის ვირუსოლოგიის ინსტიტუტის სამი თანამშრომელი მძიმედ დაავადდა, რის გამოც მათ საავადმყოფოს მიმართეს. თუმცა, უცნობია რა სიმპტომები ჰქონდათ.

შეერთებული შტატების კონგრესის ორივე პალატის დაზვერვის კომიტეტები საკუთარ გამოძიებას ატარებენ იმაზე, თუ როგორ და საიდან შეიძლება გავრცელებულიყო ვირუსი. წარმომადგენელთა პალატის დაზვერვის კომიტეტი კონკრეტულად ვუჰანის ვირუსოლოგიის ინსტიტუტზე ამახვილებს ყურადღებას. რესპუბლიკელებს მიაჩნიათ, რომ არსებული გარემოებითი მტკიცებულებების საფუძველზე იზრდება იმის ეჭვი, რომ ვირუსმა ვუჰანის ინსტიტუტიდან გაჟონა, სადაც ჩინელი მეცნიერები ბიოლოგიურ იარაღზე მუშაობდნენ და პეკინი ამ შეცდომის გადაფარვას ცდილობს.

საქართველოში ახალი ვირუსის პირველი შემთხვევა 26 თებერვალს დაფიქსირდა. ინფიცირებული ირანიდან შემოსული საქართველოს მოქალაქე იყო. კოვიდ 19-ის პანდემიის გავრცელებიდან დღემდე გამოვლენილი დადასტურებული შემთხვევების საერთო რაოდენობა 444 569-ს შეადგენს. 6 084 პაციენტი გარდაიცვალა.

სანამ ქართველი ექიმები გაუარესებული ეპიდვითარების გამო განგაშს ტეხენ, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ხელმძღვანელი კორონავირუსის ახალი, ჯერ არ აღმოჩენილი შტამის შესახებ განცხადებას ავრცელებს. ტედროს გებრეისუსი მოსახლეობას აფრთხილებს, რომ ახალი მუტაციები მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში წარმოიქმნება, ამიტომ გამორიცხული არ არის შტამის გაჩენა, რომელიც ვაქცინებს გვერდს აუვლის.

„ჩნდება კორონავირუსის ახალი ვარიანტები, რომლებიც უფრო საშიშია, ვიდრე დელტას ვარიანტი, რომელიც დამანგრეველ შედეგებს იწვევს“ — აღნიშნა მან.

პოტსდამის უნივერსიტეტის (გერმანია) მეცნიერებმა გამოთვალეს, რომ ვაქცინაციის გარეშე,


ნიკოლაი დურმანოვი

ყოველწლიურად კორონავირუსის ორი ახალი შტამი გამოჩნდება.

8 ივლისს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, ბიოუსაფრთხოების ექსპერტმა ნიკოლაი დურმანოვმა განაცხადა, რომ სრულიად შესაძლებელია **SARS-CoV-2**-ის ახალი მუტაციური ფორმების გაჩენა, რომლებიც უფრო გადამდები და საშიში იქნება. მისი აზრით, „დელტა“ და „დელტა-პლუს“ შტამების გამოჩენით შეიძლება დავინახოთ, როგორ ახერხებენ ვირუსები მუტაციას. დურმანოვი დარწმუნებულია, რომ ვაქცინაცია ერთადერთი გზაა პანდემიის შენელებისთვის.

„ახალი მუტაციური ფორმების გამოჩენა დამოკიდებულია ავადმყოფი ადამიანების რაოდენობაზე. ვაქცინაცია ხელს უშლის ვირუსის ცირკულაციას მოსახლეობაში და ვირუსული ვარიანტების გამოჩენა წყდება. ახალი სუპერ შტამების წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო ვარიანტი ვაქცინაციაა იმ ვაქცინებით, რომლებიც დღეს გვაქვს“ — თქვა მეცნიერმა.

**სალომე სახოკია**

# ავღანეთში თალიბები უტევენ სახელმწიფოს, აშშ-ში კრიმინალები

სამოქალაქო ომი ავღანეთში ყოველდღიურად მწვავდება. საერთოდაც, არსებულ შეიარაღებულ კონფლიქტს ძნელია, სამოქალაქო ომის სახელი დაერქვას, რადგან გაუგებარია, ვინ ებრძვის იქაურ ხელისუფლებას. თალიბანის გარდა ქვეყანაში ბევრი გაურკვეველი შეიარაღებული ფორმირებაა. თალიბების მიზანი ქვეყნის სათავეში მოსვლაა, მიტმასნილი პირები ხელის მოთბობას ცდილობენ. შეიარაღებულმა დაპირისპირებამ ავღანეთში ქაოტური ხასიათი შეიძინა და ომის ყველანაირ დაუწერელ კანონსაც გასცდა...

მოსალოდნელზე დაძაბული აღმოჩნდა ავღანეთისთვის გასული კვირა თალიბანის მებრძოლების გააქტიურების გამო. დედაქალაქ ქაბულში, ყველაზე დაცულ, ე.წ. მწვანე ზონაში გაისმა აფეთქების ხმა. ტერორისტების სამიზნე ქვეყნის თავდაცვის მინისტრი იყო. ჩინოვნიკის დაცვა რამდენიმე საათის განმავლობაში ებრძოდა თავდამსხმელებს, იგერიებდა იერიშს. შეტაკების შედეგად დაიღუპა დაცვის 8 თანამშრომელი, დაჭრილია 20-ზე მეტი ადამიანი. მინისტრის ოჯახის წევრები სახლში არ იყვნენ, გახიზვნა მოასწრეს. გადარჩა თავად მინისტრიც. გავრცელებული ინფორმაციით, ყველა თავდამსხმელი ლიკვიდირებულია — ვინ იყვნენ და რამდენი, უცნობია. თუმცა თავდასხმაზე პასუხისმგებლობა თალიბანმა აიღო. ამის გარდა, ტერორისტული ორგანიზაცია ხელისუფლების სხვა წევრებსაც დაემუქრა — თქვენზე თავდასხმებს გავაგრძელებთო.

მუქარა თალიბებმა სამი დღის შემდეგ აასრულეს. გასულ პარასკევს მოკლეს ავღანეთის მთავრობის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი, რომელიც ლოცვის შემდეგ გამოვიდა მეჩეთიდან. თალიბებისგან შეწუხებული მშვიდობიანი მოსახლეობა ქუჩაში გავიდა. სხვადასხვა პროვინციებში, დიდ ქალაქებში თალიბების საწინააღმდეგო მშვიდობიანი საპროტესტო აქციები მოაწყეს. დემონსტრანტების განცხადებით, ისინი თავიანთი სიცოცხლის ფასად დაიცავენ სამშობლოს და არ მისცემენ თალიბებს უფლებას, ქვეყნის სათავეში მოვიდნენ. მსგავსი საპროტესტო აქციები ავღანეთში პირველად გაიმართა. მოსახლეობას საბჭოთა ჯარების შესვლაც არ გაუპროტესტებია მასობრივი აქციებით.

შეიარაღებული კონფლიქტის, ფაქტობრივად, ომის, არეალი ავღანეთში ფართოვდება. გავრცელებული ინფორმაციით, ქვეყანის 34 პროვინციიდან 31-ში ბრძოლები მიმდინარეობს. თუმცა კვლავაც უნდა აღვნიშნოთ — ავღანეთიდან მხოლოდ მწირი ინფორმაცია ვრცელდება, ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავიც, მაგრამ მათი გადამოწმება შეუძლებელია. გასულ კვირას თალიბებმა ერთბაშად რამდენიმე მიმართულებით მიაღწიეს წარმატებს. ირანის საზღვართან, სამხრეთ-დასავლეთით მდებარე (200 ათასამდე მაცხოვრებელი) ქალაქი ზარანჯი, ფაქტობრივად, უბრძოლველად დაიკავეს. ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე შაბარგანისთვის, რომელსაც ავღანეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ კარიბჭეს უწოდებენ, ფიცხელი ბრძოლები მიმდინარეობდა, მაგრამ თალიბებმა იმძლავრეს. ავღანეთის სპეცდანიშნულების რაზმს ასევე ცხარე ბრძოლები მოუწია ქალაქ კუნდუზისთვის. გავრცელებული ინფორმაციით, თალიბებმა 200-ზე მეტი მებრძოლი და ქალაქი დაკარგეს. როგორც იუწყებიან, სამთავრობო ჯარებს ამერიკის შეერთებული შტატების ორი ბომბდამშენი თვითმფრინავი B-52 დაეხმარა, რომლებმაც თალიბების პოზიციები დაბომბეს და ამის მეშვეობით მიაღწია წარმატებას სამთავრობო სპეცრაზმმა.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ მაისის თვეში აშშ-ის ადმინისტრაცია და ავღანეთის ხელისუფლება დარწმუნებით აცხადებდნენ, რომ ქვეყნის სამთავრობო ჯარები თალიბებთან საბრძოლველად სრულ მზადყოფნაში იყო და პრობლემები არ ჰქონდა. ახლა სხვა რეალობას ვხედავთ. მთელი რიგი ქალაქებისა და პროვინციების დათმობის შემდეგ, ავღანეთის მოსახლეობა ღიად საუბრობს, რომ ქვეყნის სამთავრობო ჯარები დემორალიზებულია. ქვეყანაში მსხვერპლის რაოდენობამ უკვე 100 ათასს გადააჭარბა. ამას გარდა, თურმე ავღანეთიდან 300 ათასი ადამიანია გასაყვანი, რათა თალიბებმა ისინი სიკვდილით არ დასაჯონ. მხოლოდ ის ადამიანები კი არ არიან საფრთხის ქვეშ, ვინც კოალიციურ ჯარებთან თანამშრომლობდნენ, არამედ. ნებისმიერს, ვინც არ დაემორჩილება თალიბების მოთხოვნებს, ანგარიშსწორებით ემუქრებიან. ერთ-ერთი დევნილის მონათხრობი, რომელსაც საცხობი და კაფე ჰქონდა: „...ჩემთან მოვიდნენ თალიბები და პაკეტით რაღაც ფხვნილი მომცეს, ცომში გაურიეო, დამავალეს. დავინტერესდი, რა ნივთიერება იყო. მითხრეს, საწამლავიაო. გამაფრთხილეს, თუ ამას არ გავაკეთებდი, ჩემს ერთ-ერთ შვილს გაიტაცებდნენ. პოლიციას მივმართე. ვერაფრით დაგეხმარებით, მოკიდე ხელი ოჯახს და გაიქეციო, მითხრეს. მეც ასე მოვიქეცი. სხვა რა გზა მქონდა“.

აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის საელჩოებმა ავღანეთში, მოუწოდეს ქვეყანაში მყოფ თანამემამულეებს, სასწრაფოდ დატოვონ ქვეყანა. წავიდნენ საკუთარი ხარჯებით, ჯერ კიდევ მოქმედი კომერციული რეისებით. საკუთარი ხარჯებით სთავაზობენ ავღანეთიდან წასვლას იმ ადგილობრივ მოსახლეობას, რომლებიც კოალიციურ ჯარებთან თანამშრომლობდნენ. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა ბრიფინგზე განაცხადა, რომ მუშაობენ ახალ პროგრამაზე ავღანეთიდან ყოფილი თანამშრომლების გაყვანაზე. ჟურნალისტმა მეთიუ ლიმ, რომელიც მიუკერძოებლობით გამოირჩევა, ბლინკენს ჰკითხა: „..რა პროგრამაზე საუბრობთ, როდესაც ხალხი საკუთარი ხარჯებით უნდა ჩამოვიდეს?“ შეკითხვა უპასუხოდ დარჩა. ამასთან, ავღანეთში პრობლემის მოგვარების გზას მხოლოდ მოლაპარაკებების, დიალოგის მეშვეობით მიიჩნევს თეთრი სახლის ადმინისტრაცია და სახელმწიფო დეპარტამენტი. თალიბები კი მოლაპარაკებას არავისთან აღარ აპირებენ, მოსახლეობა დაუცველია და საფრთხე ემუქრება.

ავღანეთში სამოქალაქო ომის დაწყებასთან დაკავშირებით ბევრი კითხვა გაუჩნდათ სამხედრო ექსპერტებს. როგორ მოახერხა დამარცხებულმა ტერორისტულმა ორგანიზაციამ მოკლე დროში დიდი რაოდენობით ცოცხალი ძალის მობილიზება, შეიარაღება? რას საქმიანობდნენ კოალიციური ჯარების მიერ გაწვრთნილი ავღანეთის ძალოვანი სტრუქტურები, დაზვერვისა და უსაფრთხოების სამსახურები? კითხვები მართლაც ბევრია, მაგრამ, ვიდრე პასუხებს გავიგებთ, ამასობაში ათასობით ადამიანი იღუპება. ახლა მთავარ ამოცანად კონფლიქტის შეჩერებასთან ერთად, რჩება, რომ ომი ავღანეთის ფარგლებს არ გასცდეს.

რთული პოლიტიკური ვითარებაა აშშ-ში. ამას აცხადებს ამერიკელი პოლიტოლოგი დიმიტრი საიმსი. მისივე თქმით, ქვეყანა რამდენიმე ნაწილად არის გახლეჩილი, თუმცა მთლად უიმედო სიტუაცია არ ყოფილა. საიმსის ოპტიმიზმს ბევრი მისი ამერიკელი კოლეგა არ იზიარებს. მოსახლეობა შეშფოთებულია აშშ-ში გაზრდილი სხვადასხვა დანაშაულით, განსაკუთრებით მოიმატა მკვლელობებმა. ჩიკაგოში წლეულს უკვე 500-მდე ადამიანია ქუჩაში მოკლული. საერთოდ, ქვეყანაში მკვლელობების რაოდენობამ 23 ათასს გადააჭარბა.

დანაშაულის მატების მიზეზად ექსპერტები პოლიციის განზრახ დისკრედიტაციას ასახელებენ, რაც შარშან ვინმე ფლოიდის გარდაცვალების შემდეგ ააგორეს დემოკრატებმა. მათ მიერ შექმნილი მოძრაობა „შავების სიცოცხლე მნიშვნელოვანია“-ს ქუჩის აქციები, ფაქტობრივად, დარბევები, აწყობდათ და მხარსაც უჭერდნენ. უნდა ითქვას, რომ დემოკრატებმა კარგად გამოიყენეს არეულობები საპრეზიდენტო არჩევნებში დონალდ ტრამპის დასამარცხებლად. განსაკუთრებით შეუტიეს პოლიციას — შეუზღუდეს უფლებები, შეუმცირეს დაფინანსება, არ გაუპროტესტებიათ მათი საჯაროდ დაჩოქება. ამის გამო ბევრმა პოლიციელმა სამსახური თავად მიატოვა, მათი ნაწილი დაითხოვეს, შედეგად, დანაშაულის რაოდენობამ მკვეთრად მოიმატა. მაღაზიების ძარცვა ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. უცნაურია, რომ აშშ-ში 950 დოლარის ღირებულების პროდუქციის წაღება პიროვნებას დანაშაულად არ ეთვლება. დაცვის თანამშრომელს კი მისი დაკავების უფლება არ აქვს. მხოლოდ ვიდეოგადაღებით აფიქსირებს ფაქტს. კრიმინალებიც გაიწაფნენ და ამ თანხაში ცდილობენ „ჩატევას“. ქუჩებში საჯაროდ მოიხმარენ მძიმე ნარკოტიკებს. პოლიცია თვალს ხუჭავს, ცდილობენ, თავი აარიდონ უსიამოვნებებს, აიცილონ მოსალოდნელი საფრთხე.

„მსგავსი განუკითხაობა დიდი დეპრესიის დროსაც არ ყოფილა, როდესაც პოლიცია მჭიდროდ იყო დაკავშირებული სხვადასხვა კრიმინალურ დაჯგუფებებთანო“, — აცხადებენ შეშფოთებული ექსპერტები. ამიტომაც ითხოვენ ახლა დემოკრატები პოლიციის გააქტიურებას, მათთვის დაფინანსების გაზრდას. აქტიურად ცდილობენ, სამსახურში დააბრუნონ დათხოვილი პოლიციელები, რაც ახლა საკმაოდ ძნელი გასაკეთებელია. ბოლო პერიოდში ცოტა ვინმე თუ მიდის პოლიციაში სამუშაოდ. თუნდაც ყველა გაგდებული პოლიციელი ერთბაშად დაბრუნდეს სამსახურში, ქვეყანაში წესრიგის აღდგენას დიდი დრო დასჭირდება.

გასულ კვირას ერთ-ერთმა პოლიციელმა, რომელიც მონაწილეობდა 6 იანვარს კაპიტოლიუმზე შტურმის მოგერიებაში, თავი მოიკლა. ასეთია ოფიციალური ვერსია. სამწუხაროდ, სუიციდის შემთხვევები სამყაროში ბევრია, მაგრამ ეს უკვე მეოთხე პოლიციელია, რომელიც კაპიტოლიუმის შენობას იცავდა და თავი მოიკლა. მიზეზი უცნობია. არცერთ მათგანს სიკვდილის წინ ტრადიციული წერილი არ დაუტოვებია. უცნაურია, მაგრამ პოლიციელების სუიციდის ფაქტებზე გამოძიება არ დაწყებულა. უფრო მეტიც — აკრძალულია!

**გია ბურდული**
551 71 27 07







# თავად სრულყოფილება – ესპანეთის მეფე ფელიპე VI

ბევრი ადამიანი ესპანეთის მეფე ფელიპე VI-ს სრულყოფილებად მიიჩნევს. ხალხი მას იცნობს, როგორც მოსიყვარულე მეუღლეს და მზრუნველ მამას, სამი დიპლომისა და მრავალმილიონიანი ქონების მფლობელს, მომხიბვლელ მამაკაცს... ესპანელები განსაკუთრებით კეთილგანწყობილები არიან მის მიმართ, როცა მამას, ყოფილ მეფეს ხუან კარლოსს ადარებენ, რომელიც არაერთხელ ყოფილა გარეული კორუფციულ და სექსუალურ სკანდალებში.

## „მეფეს წარმოდგენაც არ ჰქონდა, რა არის კანონიერი და რა – არა“

„მეფეს წარმოდგენაც არ ჰქონდა, რა არის კანონიერი და რა — არა. ერთხელ მან მითხრა, რომ მაროკოს მმართველმა სამი მილიონის ღირებულების უძრავი ქონება მაჩუქა, მან (ხუან კარლოსმა) კი მთხოვა, რომ მის სახელზე გადაგვეფორმებინა. მე ვუთხარი, რომ ამას ფულის გათეთრებად ჩათვლიდნენ და ციხეში მოვხვდებოდი“, — კერძო საუბარში ჰყვებოდა ხუან კარლოსის ყოფილი საყვარელი.

გერმანელ პრინცესა კორინა ცუ საინ-ვიტგენშტეინის ეს საუბარი ჩუმად ჩაიწერეს და სამი წლის შემდეგ ესპანეთის მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში მოხვდა. ის დაწვრილებით ჰყვებოდა, როგორ მიჰქონდათ სარსუელის სასახლეში ყოფილ მმართველს და მის თანაშემწეებს მილიონობით ევრო, ხუან კარლოსი ოჯახის დანახარჯებს ოფშორებში არსებული თავისი ფონდებიდან ნაღდი ფულით ფარავდა. შედეგად, ხუან კარლოსის მიმართ სისხლის სამართლის ორი საქმე აღიძრა — ესპანეთსა და შვეიცარიაში. მისი რეპუტაცია განადგურებული იყო. განსაკუთრებით მძიმედ მამასთან დაკავშირებული სკანდალები მეფის ვაჟმა, ფელიპემ გადაიტანა, რომელიც ტახტზე 2014 წელს ავიდა.

ხუან კარლოს I ქვეყანას 39 წელი მართავდა. მან ესპანეთში გაატარა დემოკრატიული რეფორმები, მოახდინა პოლიტიკური პარტიების ლეგალიზება და მიიღო ახალი კონსტიტუცია, რომელიც უფლებებისა და თავისუფლებების გარანტიებს იძლეოდა, მაგრამ მისი დამსახურები მაშინვე დაივიწყეს, როცა გაიგეს, რომ მამის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეობით 2,2 მილიონი ევრო მიიღო და გადასახადი არ გადაუხდია.

ხუან კარლოსის რეიტინგი უფრო დაეცა 2012 წელს ბოსტვანაში მომხდარი ამბის გამო. მეფე აფრიკაში სპილოებზე სანადიროდ ფინანსური კრიზისის დროს გაემგზავრა, როცა უმუშევრობამ ქვეყნის მოსახლეობის 26 პროცენტი მოიცვა. ქვეშევრდომები აღაშფოთდნენ, რომ მეფე დროის გასატარებლად მათ ხარჯზე გაემგზავრა. მედიასაშუალებები ვერაფერს გაიგებდნენ, დაცემისას მეფეს თეძოს ძვალი რომ არ გაეტეხა.

ყველაფერი კიდევ უფრო გაართულა ცნობამ იმის შესახებ, რომ მეფე საზღვარგარეთ საყვარელთან, 49 წლის გერმანელ პრინცესა კორინა ცუ საინ-ვიტგენშტეინთან ერთად იმყოფებოდა, მოგზაურობა კი საუდელმა მაგნატმა დააფინანსა.

დედოფალი კვლავაც ევროპის სამეფო ოჯახების წარმომადგენელთა შორის ყველაზე მოდურად და ელეგანტურად მიიჩნევა. ის ძირითადად პასტელის ტონების სამოსსა და საფირონისა და ბრილიანტის სამკაულებს ატარებს. სოფია საბერძნეთის მეფისა და ჰანოვერის პრინცესას შვილია. მან ათენის უნივერსიტეტში შეისწავლა პედაგოგიკა და არქეოლოგია. არის ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტების საპატიო დოქტორის ხარისხის მფლობელი.

## ისევ ძველი ამბები

ხუან კარლოსის გადადგომიდან ოთხი წლის შემდეგ კიდევ ერთი უსიამოვნო ამბავი ამოტივტივდა 100 მილიონი დოლარის შესახებ, რომელიც მას საუდის არაბეთის ყოფილმა მეფემ აჩუქა და შვეიცარიის ბანკში ინახებოდა.

მედიაში ინფორმაციის გაჟღერების შემდეგ, ყოფილი მონარქი 11 მილიონ დოლარად ღირებულ ვილაზე გადავიდა, რომელიც აბუდაბიდან 15 კმ-ის მოშორებით, კუნძულზე მდებარეობს. ორსართულიანი რეზიდენცია 4 ათასი კვ. კმ ფართობის ნაკვეთზე მდებარეობს და პლაჟთან პირდაპირი მისასვლელი აქვს.

ესპანეთის ახალი მმართველი — მეფე ფელიპე ცდილობს, ყველას აჩვენოს, რომ მამას არ ჰგავს და ცდილობს, მოკრძალებულად იცხოვროს. მან უარი თქვა მემკვიდრეობაზე, რომელის დატოვებასაც მამამისი აპირებდა.

ფელიპემ საკუთარი შემოსავლები 20 პროცენტით შეამცირა, ასევე უარი უთხრა ხუან კარლოსს ბიუჯეტიდან ყოველწლიურად 200 ათასი ევროს გადახდაზე.

ფელიპე მადრიდის გარეუბანში მდებარე სარსუელის სასახლეში ცხოვრებას ამჯობინებს. ეს რეზიდენცია ჯერ კიდევ XVII საუკუნეში აშენდა და თავიდან მეფეების „სამონადირეო სახლად“ მიიჩნეოდა. ახლა იქ მონარქი და მისი მეუღლე ლეტიცია ცხოვრობენ ორ ქალიშვილთან ერთად.

სასახლე კლასიკურ სტილშია აგებული. ყველგან ნატურალური ხის ავეჯი და ძვირფასი ხალიჩებია, კედლებს ცნობილი ესპანელი მხატვრების ნამუშევრები ამშვენებს. აქვეა მეფე ფელიპეს პირადი ბიბლიოთეკაც.

შვებულებას ოჯახი ან კანარის კუნძულზე ან პალმა-დე-მაიორკაზე ატარებს.





## მეფის კოცნა

მონარქიის კრიტიკოსები პერიოდულად ადანაშაულებენ მეფე ფელიპეს სიმდიდრის სიყვარულში და აცხადებენ, რომ ის მამამისის მილიონების ხარჯზე ცხოვრობს, რომლებსაც ოფშორებში მალავს. თუმცა, ამის ვერავითარი მტკიცებულებები ვერ მოჰყავთ. ისე, ესპანელებს უყვართ თავიანთი მეფე და პატივისცემით დონ ფელიპესაც ეძახიან.



ფელიპეს კორონაციას ანტიმონარქიული გამოსვლები დაემთხვა, მაგრამ ახალი მმართველი დაპირდა, რომ ის ქვეყანას გააერთიანებს და ქვეშევრდომებმაც დაუჯერეს.

მეფე შეიძლება თავშეკავებული მოგეჩვენოთ, მაგრამ ახლობლები ამბობენ, რომ ის კეთილია. ის თავის თანამოსამსახურეებთან მეგობრობს სამხედრო აკადემიიდან. ლონდონში ვიზიტისას, ოთხი წლის წინათ, მან სასიამოვნოდ გააოცა დედოფალი ელიზაბეთ II, რომელსაც ლოყები დაუკოცნა აღლუმის დროს. ამით მან აჩვენა, რამდენად მეგობრობენ ევროპელი და ბრიტანული სამეფო ოჯახები.

ფელიპე მამაზე პოპულარულია. ესპანელებს უხარიათ, რომ სამეფო ოჯახი წელიწადში მხოლოდ 9 მილიონ დოლარს ხარჯავს. შედარებისთვის, მონაკოს სამეფო ოჯახის შესანახად 50 მილიონია გამოყოფილი.



ფელიპეს უყვარს ოჯახთან და შვილებთან ერთად სადილობა და იახტ-კლუბის შეჯიბრებებში მონაწილეობის მიღება. მამამისთან შედარებით, რომელსაც ათეულობით რომანი ჰქონდა, ის ძველმოდურ მეოჯახედ გამოიყურება. ამასთან, სხვა საკითხებში ის საკმაოდ პროგრესულია. ფელიპე პირველი ესპანელი მონარქია, რომელმაც სასახლეში ლგბტ მოძრაობის წარმომადგენლები მიიღო.

მონარქმა აუქციონზე გაყიდა ყველა ის ძვირფასი ნივთი, რომელიც მამამისს აჩუქეს. ხუან კარლოსის სპორტული მანქანების გაყიდვით მიღებული 500 ათასი ევრო ხაზინაში დააბრუნა. გარდა ამისა, აუკრძალა თავისი ოჯახის წევრებს ძვირფასი და ექსტრავაგანტური საჩუქრების მიღება. როდესაც ფელიპე ტახტზე ადიოდა, სამეფო ოჯახის რეიტინგი ძალიან დაბალი იყო, მისი მმართველობისას კი ბევრი რამ გამოსწორდა.

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22

# „საერთო გაზეთი“ - როგორია და როგორი უნდა იყოს იგი?

## ჩვენს რესპონდენტებს ერთი კითხვით მივმართეთ: რას ფიქრობენ „საერთო გაზეთზე“ და რა კუთხით უნდა განვითარდეს იგი?



**ელიზბარ ჯაველიძე, მწერალი, აკადემიკოსი:** დღევანდელი ჟურნალისტიკა, ეს არის თავის მოჭრა.

დღეს მე, მხოლოდ ორ გაზეთს ვკითხულობ — „საერთო გაზეთს“ და „ასავალ-დასავალს“.

„საერთო გაზეთი“ დღეს ჩემთვის შვებაა, იმიტომ რომ, მისი მთავარი პრინციპია, როგორ გადავარჩინოთ ქართველი ერი, საქართველო და როგორ ვიხსნათ ქართული ცნობიერება იმ უბედურებისაგან, რაც დღეს არის გაბატონებული. ეს მსოფლიო დონის ქარბუქი, წარღვნაა, რასაც ფაშისტური ლიბერალიზმი ჰქვია. თქვენი გაზეთი სწორედ ამის წინააღმდეგ იბრძვის.

ბატონ ვახტანგს კარგად ვიცნობ — შესანიშნავი მწერალი და რედაქტორია. იგი სავსებით სწორ გზას ადგას. სხვაგვარად, დღეს ერისა და ქვეყნის ხსნა წარმოუდგენელია. მთავარი მაინც საზოგადოების განწყობაა. როცა „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი ვიყავი, ტირაჟი 27 ათასიდან, უცებ, 375 ათასამდე ავიდა. იმიტომ რომ, ქართველ ხალხში ეროვნული ცნობიერების განწყობა იყო. დღეს ეროვნული ცნობიერება მინავლდა. როგორც ილია ამბობდა: საერთო სული დავკარგეთ. ამიტომ, „საერთო გაზეთის“ როლი და მნიშვნელობა განსაკუთრებულია.

გაზეთის პრინციპია სიმართლის თქმა, რასაც მივესალმები.

გაზეთს მოცულობის გაზრდაც წაადგება. მასალა არის, ჯერ კიდევ შემორჩენილია ხალხი, ვინც ნორმალურად აზროვნებს. დავამტკიცოთ, რომ პრესას სიმართლისთვის ბრძოლა შეუძლია და იგი, ყოველთვის გამარჯვებული იქნება. მიგულეთ, „საერთო გაზეთის“ ერთგულ კაცად და მკითხველად.

**სოსო მანჯავიძე, ისტორიკოსი, პოლიტოლოგი:** „საერთო გაზეთი“ ჩემთვის ძალიან საყვარელი, გამორჩეული გაზეთია. მისი რედაქტორი ბატონი ვახტანგი გახლავთ თვალსაჩინო ქართველი, მწერალი, პუბლიცისტი, რომელიც გამოირჩევა თავისი ღირსეული პოზიციით. მას ჰყავს ძალიან კვალიფიციური ჟურნალისტების გუნდი, რომელთაც კარგად იციან რა არის ჟურნალისტიკა, ეთიკა, გამართულად ფლობენ ქართულ ენას, კარგად გადმოსცემენ



რესპონდენტის აზრს. გაზეთის თემატიკა მისასალმებელია. წარმატებებს გისურვებთ.

**შოთა გლურჯიძე, მხატვარი:** „საერთო გაზეთს“ ყველაფერს საუკეთესოს ვუსურვებ. ჩემთვის, ძალიან მნიშვნელოვანი გაზეთია. აბსოლუტურად, განსხვავებულია სხვა მედიარესურსიდან, რაც საქართველოში ფუნქციონირებს და ამითაც არის საინტერესო. მისი რედაქტორის ვახტანგ ხარჩილავას მიმართ დიდი სიმპატიით ვარ განწყობილი, როგორც ძალიან წესიერი და ეროვნული კაცის მიმართ. მას დიდ პატივს ვცემ. „საერთო გაზეთში“ დაბეჭდილი ჩემი ინტერვიუები, ყოველთვის, გამორჩეულია. ასე



რომ, მე ეს გაზეთი ძალიან მიყვარს და სულ ვკითხულობ. ჩემთვის ერთ-ერთი გამორჩეული მედია-საშუალებაა.

**დიმიტრი ლორთქიფანიძე, დამოუკიდებელი უფლებადამცველი:** მინდა, სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ „საერთო გაზეთი“ დღეს არსებულ ბეჭდურ მედიას შორის ერთ-ერთი გამორჩეული ფლაგმანია. დიახ, ფლაგმანია გამომდინარე იქედან, რომ მასში მოყვანილი არგუმენტები, ანალიზი ყოველთვის მაღალკვალიფიციურია და საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევს. „საერთო გაზეთი“ გარკვეულ ფაქტებს



იმ რაკურსით აშუქებს, რასაც ხალხი სხვა საინფორმაციო წყაროებიდან ვერ ღებულობს. ეს არის კლასიკური პრესა, რომელიც ინარჩუნებს ამ ინერციას ყველაზე საუკეთესო ტრადიციების გათვალისწინებით.

მინდა, პირველ რიგში, ბატონი ვახტანგ ხარჩილავას მიმართ ჩემი ღრმა პატივისცემა გამოვხატო. იგი, გახლავთ ერთ-ერთი ნათელი წერტილი, ქართული მწერლობის ღირსეული წარმომადგენელი. ბატონი ვახტანგი ბუნებით ესთეტი ადამიანია და შესაბამისად, მის საქმიანობაში ძალიან კარგად იკვეთება პასუხისმგებლობა, რასაც იგი გაზეთის მიმართ ავლენს. მას, დიდ წარმატებას ვუსურვებ, ხოლო გაზეთის შემოქმედებით ჯგუფს — კიდევ უფრო მეტ განვითარებას.

**იგორ კვესელავა, პოლიტოლოგი:** დავიწყოთ იმით, რომ თავად გაზეთის სახელწოდება ზუსტად არის შერჩეული. დიახ, ეს სწორად მიგნე-



ბული სათაურია, იმიტომ, რომ „საერთო გაზეთი“ არ ეკუთვნის რომელიმე პარტიას, ჯგუფს, კლანს, მხოლოდ ღარიბს ან საშუალო ფენის წარმომადგენელს, მხოლოდ ინტელიგენტს ან პროფესორს და ა.შ. ეს არის საერთო — ქართული საზოგადოების ყველა ფენის, კლასისთვის მისაღები გაზეთი. ზუსტად ვიცი, რომ ამ გაზეთს სიამოვნებით კითხულობს ყველა, რადგან იღებენ ამომწურავ, სწორ ინფორმაციას პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ მოვლენებზე, ასევე, უცხოეთზე, საქართველოს ურთიერთობებზე და ა.შ.

მე, აქ, ვკითხულობ, როგორც ხელისუფლების წარმატებების შესახებ, რაც სავსებით სწორია, ასევე, სერიოზულ კრიტიკასაც. ძალიან სასიამოვნოა, რომ „საერთო გაზეთი“ საზოგადოებას არა მარტო მშრალ ინფორმაციას, არამედ ამა თუ იმ პრობლემების შესახებ ამომწურავ ანალიტიკას აწვდის. ამიტომ არის „საერთო გაზეთი“ ასეთი კარგი და ყველასგან გამორჩეული.

ძალიან მომწონს რედაქტორის სვეტი. აქ ჟღერდება პოზიცია, რომელიც საზოგადოებრივ აზრს გამოხატავს. „საერთო გაზეთი“ ანალიტიკური სახისაა, რომელიც მხოლოდ ინფორმაციის მიმწოდებელი კი არა, არამედ ერთგვარი მრჩეველია. მრჩეველთა ინსტიტუტი არ არსებობს, სამაგიეროდ თქვენი გაზეთი გამოდის მრჩევლად. სწორედ ეს არის პრესის დანიშნულება — საზოგადებას ის ინფორმაცია მიაწოდოს, რასაც ხალხი მოკლებულია. გაზეთის ფორმატი ისეთია, ყველა ინფორმაციას მოიცავს. ზუსტად ვიცი, რომ კვირიდან კვირამდე მკითხველი ოთხშაბათ დღეს იმ იმედით ელოდება, რომ წაიკითხავს და მიიღებს სასიკეთო, მართალ ინფორმაციას და ჩვენი საზოგადო პოლიტიკური ცხოვრების შესახებ ბევრ რამეს გაიგებს.

**სოსო ცინცაძე, პოლიტოლოგი:** მე ძალიან ცოტა გაზეთთან ვთანამშრომლობ, მათ შორის, გამორჩეული ადგილი უჭირავს „საერთო გაზეთს“. ვიღაცამ ჭორი დააგდო — პრო-რუსული პრესააო. მე, თქვენს გაზეთს პრო-რუსულობა ვერაფერში შევატყვე.

თქვენთან მუშაობს ჩემი უახლოესი მეგობარი გელა ზედელაშვილი.



ის ისეთი პრო-რუსია, როგორც მე პრო-ტიბეტელი ან პრო-უცხოპლანეტელი.

საერთოდ, ჩემი აზრი ასეთია: ქვეყანაში უნდა იყოს მრავალფეროვნება — ყველა მიმართულების გაზეთი უნდა არსებობდეს. აქ ძალიან მარტივი მათემატიკაა — გაზეთი გამოდის თუ მას მკითხველი ჰყავს. თუ გაზეთს მკითხველი ჰყავს ე.ი. ის სიცოცხლისუნარიანია და მას უფლება აქვს მზის ქვეშ ადგილი ჰქონდეს. მკითხველი არის მისი პირადობის მოწმობა. სამწუხაროდ, დღეს ჩვენში არ არის ცივილიზებული დისკუსია, კამათი, არამედ არის იარლიყების მიწებება. თუ მავანს არ მოსწონხარ, ე.ი. მტრის გაზეთი ხარ. ვერაფერს გახდებიან, აკრძალვები არ შველის, მაინც წაიკითხავს ხალხი. ჩემი თაობა აკრძალულ ხელნაწერებს ვკითხულობდით. „დოქტორი ჟივაგო“ მაშინ წავიკითხე, როცა ეს 5 წელი ციხეში ჩაჯდომით ისჯებოდა. ავიღოთ, ნებისმიერი ქვეყანა. საფრანგეთში რა, არ არის ანტიდემოკრატიული გაზეთები? — რამდენიც გინდათ. ინგლისში არ არის? — ომის დაწყების წინ ინგლისში გერმანელებს თავიანთი გაზეთი ჰქონდათ. ანუ, ფაშისტური გაზეთი გამოდიოდა. ჩვენთან, ბოლო დროს ყველა სფეროში უკულტურობას უფრო ხშირად ვაწყდები, ვიდრე კულტურას. თქვენს გაზეთს გამხნევება ნამდვილად არ სჭირდება. გაზეთი გამოდის, ცოცხლობს, მკითხველი ჰყავს. ეს არის მთავარი.

**ნიკუშა შენგელაია, მხატვარი:** „საერთო გაზეთის“ მიმართ ძალიან დადებითად ვარ განწყობილი. თქვენს გაზეთში ვკითხულობ იმ ადამიანების აზრს, რომელთაც სიტყვა



ეთქმით თავისი კომპეტენციიდან და იმ დამოკიდებულებიდან გამომდინარე, რასაც ქვეყანაზე ფიქრი ჰქვია. ასეთ მიდგომას სხვა გაზეთებში იშვიათად ვხვდები. ვფიქრობ, „საერთო გაზეთმა“ განვითარება ზუსტად ამ მიმართულებით უნდა გააგრძელოს — ისეთ ადამიანებს გაესაუბროთ, რომელთაც საკმარისი კომპეტენცია აქვთ და ქვეყანაზე გული შესტკივათ. მკითხველს სწორედ მათი აზრი აინტერესებს.

არიან ადამიანები, რომლებიც ტელევიზიებში არ არიან გამოჭიმულნი, მაგრამ გული სამშობლოსთვის უძგერთ.

„საერთო გაზეთი“ ამ მიმართულებით მუშაობს და ეს ძალიან მისასალმებელია.

დიდი პატივისცემით ვარ განწყობილი რედაქტორის მიმართ.

ჩემი რჩევაა, უღირსების დასკვნებს ნუ უსმენთ. მათი ლანძღვა ლოცვასავით არის. როცა ადამიანი რაღაცას წარმოადგენს, ყოველთვის თავდასხმის ობიექტი ხდება. არარაობებს არ უნდა უსმინოთ. დაწყებული გზა გააგრძელეთ და წინ და წინ იარეთ.

**ზაზა შათირიშვილი, ფილოსოფოსი:** „საერთო გაზეთი“ გამორჩეულია იმით, რომ ძალიან ეროვნული გაზეთია. თუ ეროვნულობა პუტინიზმია, ილია ჭავჭავაძეც პუტინისტი ყოფილა. სხვა რა უნდა თქვა, ასეთ ბრალდებებზე. ისეთი დრო მოვიდა, ძალიან ბევრი თავდასხმა იქნება, იმიტომ რომ, ყველა ადამიანი, ვინც საკუთარ რუსოფობიას პატრიოტიზმად ასაღებს, ნებისმიერ პატრიოტ ადამიანს თავს დაესხმება. სწორედ, ამით არის „საერთო გაზეთზე“ თავდასხმა განპირობებული. საჭიროა შინაგანი მედეგობა, რათა საკუთარი ძალისხმევით ამ ყველაფერს წინააღუდგე. პატრიოტული სიმულაცია თავს ესხმის რეალურ პატრიოტებს. ეს არის ჩვენი



დღევანდელი მდგომარეობა. ჩვენ ვცხოვრობთ სიმულაციურ პატრიოტიზმში. ანუ, რეალურად, გავრილოვის ღამეში. ამიტომ გაზეთს, მის რედაქტორს, მედგრად დგომას და დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანას ვუსურვებ.

**ნანა კაკაბაძე, არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტ. პატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე:** „საერთო გაზეთი“ არის ის გამორჩეული გაზეთი, სადაც დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი აზრის გაჟღერების პრობლემა, არასდროს ყოფილა. მიხარია, რომ „საერთო გაზეთი“ არ აღმოჩნდა იმ პოლიტიკურ მხარეზე, რომელ მხარესაც დღეს გაზეთების და ტელევიზიების უმეტესობა დგას. მათ ვითომ ოპოზიცია ჰქვიათ, სინამდვილეში, ეს ქვეყნის ნგრევაზე ორიენტირებული ძალაა. „საერთო გაზეთი“ ამ ძალას არ დანებდა, არ გაიყიდა ამ თითქოს გაპიარებულ, მოდაში შემოსულ „პრადვინუტ“ სიტუაციაზე. ამისთვის დიდი მადლობა.

მე და ჩემნაირ ადამიანებს საშუალება გვაქვს თქვენი გაზეთის მეშვეობით აზრი გამოვთქვათ და განსხვავებული პოზიცია დავაფიქსიროთ. ქართული მედია მთლიანად რომ არ



დაემსგავსა საბჭოთა მედიას და ნათელი წერტილი რომ არსებობს, ეს „საერთო გაზეთის“ დამსახურებაცაა. ამისთვის ულრმესი მადლობა. წარმატებებს და წინსვლას გისურვებთ.

მოამზადა
**თამარ შველიძემ**
555 23 28 24



# სადიდგოროდ თქმული

ძვირფასო ქართველებო, მე, 87 წლის ხევსური, ზაქრო გიგაური, დიდგორობას გილოცავთ დიდგორიდან. პოეტს უთქვამს, დიდგორით დიდი გული აქვს ქართველსო, მაგრამ სხვებთან შედარებით, მე კიდევ უფრო დიდი გული მაქვს, რადგან ქვემო ქართლის ამ თვალწარმტაც კუთხეში დავიბადე და ვცხოვრობ, სადაც დიდგორი და მარაბდაა, სადაც აუღებელი ბირთვისები და უძველესი სამშვილდის ციხე-ქალაქია, სადაც მთელ ევროპაში ხელთუქმნელი, ფიტარეთისა და გუდარეხის მონასტრებია. აქ მოედინება საქართველოს საამაყო მდინარე, დიდგორის მთების ნაჟური — ალგეთი. დიდგორობაზე მასპინძლად ითვლება ყველა თეთრიწყაროელი და ქვემო ქართლელი, მათ შორის მეც. ჩემი მამაპაპისეული სახლი სოფელ ორბეთში, პირდაპირ გასცქერის დიდგორს.

დიდგორული გამარჯვება და დიდგორელთა დიდი გული დაგვებედოს „ყოველთა ქართველთა“. მოგესალმებით საქართველოს პირველი სადროშო, სახელოვანი ქვემო ქართლი თავისი საბარათიანოთი, საორბელიანოთი, ხუნან-გარდაბნითა და რუსთავით. დღესასწაულს გილოცავთ ლეკვებიანი ალგეთის ხეობა გუდარეხელი ბიჭებით, მომხვედრთა ლეშს რომ ყრიდნენ ალგეთის წყალში მტკვრის ჩასახერგად. დიდგორობას გილოცავთ სისხლით მორწყული მარაბდის მიწა, ცხრა ძმა რომ ჩაუკრავს მკერდში დედასა და დასთან ერთად. ჩვენთან ერთად ზეიმობს ამ დღესასწაულს საქართველიოს ძველი დიდების უტყუარი მოწმე — თრიალეთი წალკა-ბედენითა და კლდეკარით, სადაც, ებრაელი პროფესორის თქმით, „ქართველებმა დედამიწაზე პირველებმა შეკაზმეს ცხენი და ბედენის კულტურა ჩაიტანეს ევროპის გულში — ავსტრიაში“.

დიდგორობას გილოცავთ საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის ამოუწურავი მარანი — დმანისის მიწა, ვახუშტის უკვდავების წყალი რომ გადმოსჩქეფს მკერდიდან. ჩვენთან ერთად არის მოზეიმე ძველი ბოლნისი, ტანძია — სულხან-საბას სულის სავანე. მოგესალმებათ ლომთგორაზე ამაყად გადმომდგარი ქართველი დედა ორი „ბოკვერით“, შიშველი ხმალი რომ ჩაუბღუჯავთ შიშველი ხელებით და ეროვნული უკვდავებისა და მარადიული რწმენის სიმბოლოდ ქცეულან.

ზაქრო გიგაური,
თეთრიწყარო





„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი“
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
სარედაქციო კოლეგია: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შველიძე, მარიამ ჯანჯღავა, გია ბურდული, ნატა ივანიაძე, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კველიშვილი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.
http://www.saertogazeti.ge E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს
„ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99